


600/
1950/2



ავტორები და ტექნიკა



მარიამელ-პოველიანი

ქართველი

8

1950

სასანოვადოს სსი მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს სსრ განციერებათა აკადემიის ყოველთვის განციერება-კონფერენცია შერჩევი

1950 აგვისტო N 8

რედაქციის მისამართი:
ლესელიძის ქ. № 22, ტელ. 3-46-49

პასუხი ამანაგება

ამხანაგ სანუეევს

პატივცემულო ამხანაგო სანუეევ!

გიპასუხებთ თქვენს წერილზე დიდი დაგვიანებით, რაღაც მხოლოდ გუშინ გადმომცეს თქვენი წერილი ცენტრალური კომიტეტის აპარატიდან.

თქვენ უკეთესობად სწორად გესმით ჩემი პოზიცია დალექტების საკითხში.

„კლასობრივი“ დიალექტები, რომლებსაც უფრო სწორი იქნება უარგონები ვუწოდოთ, ემსახურებიან არა ხალხის მასებს, არამედ ვიწრო სოციალურ ზედაფენას. ამასთან მათ არა აქვთ თავიანთი საკუთარი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. ამის გამო ისინი ვერასგზით ვერ განვითარდებიან დამოუკიდებელ ენებად.

ადგილობრივი („ტერიტორიული“) დიალექტები, პირიქით, ემსახურებიან ხალხის მასებს და აქვთ თავიანთი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. ამის გამო ზოგიერთი ადგილობრივი დიალექტი ერების შექმნის პროცესში შეიძლება საფუძვლად დაედოს ეროვნულ ენას და განვითარდეს დამოუკიდებელ ეროვნულ ენად. ასე მოხდა, მაგალითად, რუსული ენის კურსკ-ორიო-

ლის დიალექტის (კურსკ-ორიოლის „მეტყველების“) მიმართ, რომელიც საფუძვლად დაედო რუსულ ეროვნულ ენას. იგივე უნდა ითქვას უკრაინული ენის პოლტავა-კიევის დიალექტზე, რომელიც საფუძვლად დაედო უკრაინულ ეროვნულ ენას. რაც შეეხება ასეთი ენების დანარჩენ დალექტებს, ისინი კარგავენ თავისთავადობას, უერთდებიან ამ ენებს და ქრებან მათში.

ხდება პირიქითი პროცესებიც, როცა იმ ეროვნების ერთიანი ინა, რომელიც ჯერ კიდევ ერი არ გამხდარა განვითარების აუცილებელი ექონომიკური პირობების უქონლობის გამო, კრახს განიცდის ამ ეროვნების სახელმწიფო ბრივი დაშლის შედეგად, ხოლო ადგილობრივი დიალექტები, რომლებიც ჯერ კიდევ არ შედულებულია ერთ ენად,—ცოცხლდებიან და დასაბამს აძლევენ ცალკე დამოუკიდებელი ენების შექმნას. შესაძლებელია, რომ სწორედ ასეთი იყო საქმის ვითარება, მაგალითად, ერთიანი მონილოლური ენის მიმართ.

II. სტატიი

1950 წლის 11 ივლისი

ამხანაგებს დ. ბერკინსა და ს. ფურერს

თქვენი წერილები მივიღე.

თქვენი შეცდომა ის არის, რომ ერთმანეთში აურიეთ ორი სხვადასხვა რამ და ამხ. კარშენინი-კოვასადმი ჩემს პასუხში განხილული საგანი შეცვალეთ სხვა საგანით.

1. მე ამ პასუხში გაქრიტიკებ ნ. ი. მარს, რომელიც, ლაპარაკობს რა ენასა (ბერკინს) და აზროვნებაზე, ენას სწყვეტს აზროვნებას და ამრიგად იდეალიზმში ვარდება. მაშასადამე, ჩემს პასუხშიც ლაპარაკია ნორმალურ ადამიანებზე, რომლებსაც ენა აქვთ. ამასთან მე ვამტკიცებ, რომ ასეთ ადა-

მიანებს აზრები შეიძლება დაებადოთ მხოლოდ ენობრივი მასალის ბაზაზე, რომ ენობრივ მასალასთან დაუკავშირებელი შეშველი აზრები ენის მეონე ადამინებს არა აქვთ.

ნაცვლად იმისა, რომ მიიღოთ ან უარყოთ ეს დებულება, თქვენ ლაპარაკობთ ანომალიურ, უენო ადამინებზე, ყრუმუნჯებზე, რომლებსაც ენა არა აქვთ და რომელთა აზრები, რასაკვირველია, არ შეიძლება წარმოიშვას ენობრივი მასალის ბაზაზე. როგორც ხედავთ, ეს სულ სხვა თემაა, რომელსაც მე არ შევხებივარ და ვერც შევხებოდი, რაღაც

ზნათმეცნიერებას საქმე აქვს ნორმალურ ადამიანებთან, რომლებსაც ენა აქვთ, და არა ანომალიურ, ყრუ-მუნჯ ადამიანებთან, რომლებსაც ენა არა აქვთ.

თქვენ განსახილველი თემა შეცვალეთ სხვა თემით, რომელზეც მსჯელობა არ ყოფილა.

2. ამხ. ბელკინის წერილიდან ჩანს, რომ იგი ათანაბრებს „სიტყვების ენას“, (ბგერითი ენა) და „უსტების ენას“ (ნ. ი. მარის მიხედვით „ხელის“ ენას). იგი აღბათ ფიქრობს, რომ უესტების ენა და სიტყვების ენა თანაბარმნიშვნელოვანია, რომ ერთ დროს ადამიანთა საზოგადოებას არ ჰქონდა სიტყვების ენა, რომ მაშინ „ხელის“ ენა ცვლილა სიტყვების ენას, რომელიც შემდეგ წარმოიშვა.

მაგრამ თუ ამხ. ბელკინი ნამდვილად ასე ფიქრობს, იგი სერიოზულ შეცდომას სხადის. ბგერითი ენა ანუ სიტყვების ენა ყოველთვის იყო ადამიანთა საზოგადოების ერთადერთი ენა, რომელსაც შეეძლო ადამიანთა ურთიერთობის სრულფსოვანი საშუალება ყოფილიყო. ისტორიას არ ახსოვს ადამიანთა არც ერთი საზოგადოება, თუნდაც ყველაზე ჩამორჩენილი, რომელსაც არ ჰქონოდა თავისი ბგერითი ენა. ეთნოგრაფია არ იცნობს არც ერთ ჩამორჩენილ მცირე ხალხს, თუნდაც ისეთს ან უფრო მეტად პირველყოფილს, ვიდრე, ვთქვათ, გასული საუკუნის აგსტრალიელები ან ცეცხლის მიწის მცხოვრებნი იყვნენ, რომელსაც არ ჰქონოდა თავისი ბგერითი ენა. ბგერითი ენა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ის ძალაა, რომელიც დაეხმარა ადამიანებს გამოჰყოფოდნენ ცხოველთა სამყაროს, გაერთიანებულიყვნენ საზოგადოებებად, განეკითარებინათ თავიანთი აზროვნება, მოწყოთ საზოგადოებრივი წარმოება, წარმატებით ებრძოლათ ბუნების ძალებთან და მიეღწიათ იმ პროგრესისათვის, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაქვს.

ამ მხრივ ეგრეთწოდებული უესტების ენის მნიშვნელობა მისი უკიდურესი სიღარიბისა და შეზღუდულობის გამო — სრულიად უმნიშვნელოა. ეს, არსებითად, ენა კი არ არის, ან თუნდაც ენის სუ-

როგატი, რომელსაც შეეძლოს ასე თუ ისე შეცვალოს ბგერითი ენა, არამედ უაღრესად შეზღუდულ საშუალებათა მქონე დამხმარე საშუალებება, რომლითაც ადამიანი ზოგჯერ სარგებლობს მისი მეტყველების ამა თუ იმ მომენტის ხაზგასმისათვის. უესტების ენა ისევე არ შეიძლება გავუთანაბროთ ბგერითს ენას, როგორც არ შეიძლება პირველყოფილი ხის თოხი გავუთანაბროთ თანამედროვე მუხლუხა ტრაქტორს, რომელზეც მიბმულია ხუთკორბუსიანი გუთანი ან ტრაქტორის მწყრივად სათესი მანქანა.

3. როგორც ჩანს, თქვენ უწინარეს ყოვლისა განტერესებთ ყრუ-მუნჯები, ხოლო შემდეგ — ენათმეცნიერების პრობლემები. როგორც ჩანს, სწორედ ამ გარემოებამ გაიძულათ მოგემართათ ჩემთვის მთელი რიგი კითხვებით. რას იზამ, რაკი თქვენ დაუინებით მოითხოვთ, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო დავაკმაყოფილო თქვენი თხოვნა. მაშ ასე, რა შეიძლება ვთქვათ ყრუ-მუნჯებზე? მუშაობს თუ არა მათი აზროვნება, ებადებათ თუ არა მათ აზრები? დიახ, მათი აზროვნება მუშაობს, მათ აზრები ებადებათ. ცხადია, რაკი ყრუ-მუნჯები მოკლებული არიან ენას, მათი აზრები არ შეიძლება წარმოიშვას ენობრივი მასალის ბაზაზე. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ყრუ-მუნჯთა აზრები შიშველია, დაკავშირებული არ არის „ბუნების ნორმებთან“ (ნ. ი. მარის გამოთქმა)? არა, არ ნიშნავს. ყრუ-მუნჯთა აზრები წარმოიშვება და მათ არსებობა შეუძლიათ მხოლოდ იმ სახეთა, აღქმათა, წარმოდგენათა ბაზაზე, რომლებიც მათ მხედველობის, შეხების, გემოვნების, ყნოსვის გრძნობათა მეოხებით უყალიბდებათ ყოფა-ცხოვრებაში გარესამყაროს საგნებისა და მათი ურთიერთობის შესახებ. ამ სახეთა, აღქმათა, წარმოდგენათა გარეშე აზრი ცარიელია, მოკლებულია რამე შინაარსს, ე. ი. იგი არ არსებობს.

II. სტატიი

1950 წლის 22 ივნისი

ამხანაგ ა. ხოდოპოვს

უცვლელი უნდა დარჩეს.

უნდა ვთქვა, რომ ორივე ეს ვარაუდი დიდად მცდარია.

რამდენიმე მაგალითი.

1. გასული საუკუნის ორმოციან წლებში, როცა მონობლისტური კაპიტალიზმი ჭერ არ იყო, როცა კაპიტალიზმი მეტად თუ ნაკლებად უმტკივნეულოდ გითარდებოდა აღმავლი ხაზით, ვრცელდებოდა მის მიერ ჭერ კიდევ დაუკავებელ ახალ ტერიტორიებზე, ხოლო განვითარების უთანაბრობის კანონს ჭერ კიდევ არ შეეძლო მთელი ძალით ემოქმედნა, — მარქსი და ენგელსი მივიღნენ

თქვენი წერილი მივიღე.

პასუხი ცოტა დავაგიანე მუშაობით მეტად დატვირთულობის გამო.

თქვენი წერილი მდუმარედ ეყრდნობა ორ ვარაუდს: ვარაუდს, რომ შესაძლებელია ამა თუ იმ ავტორის ნაწარმოებთა ციტირება იმ ისტორიული პერიოდისაგან მოწყვეტით, რომელსაც ციტატი ეხება, და, მეორე, ვარაუდს, რომ მარქსიზმის ესა თუ ის დასკვნა და ფორმულა, რომლებიც მიღებულია ისტორიული განვითარების ერთ-ერთ პერიოდის შესწავლის შედეგად, სწორია განვითარების კველა პერიოდისათვის და ამიტომ

დასკვნამდე, რომ სოციალისტურ რევოლუციას არ შეუძლია გაიმარჯვოს ერთ რომელიმე ქვეყანაში, რომ მას შეუძლია გაიმარჯვოს მხოლოდ ყველა ან შეტწილ ცივილიზებულ ქვეყნებში საერთო დარტყმის შედეგად. ეს დასკვნა შემდეგ ყველა ბარქსისტისათვის სახელმძღვანელო დებულება გახდა.

მაგრამ XX საუკუნის დამდეგს, განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, როცა ყველასათვის ცხადი გახდა, რომ წინამონოპოლისტური კაპიტალიზმი აშკარად გადაიზარდა მონოპოლისტურ კაპიტალიზმად, როცა აღმავალი კაპიტალიზმი მომაკვდავ კაპიტალიზმად გადაიქცა, როცა ომმა გამოამჟღავნა მსოფლიო იმპერიალისტური ფრონტის გაუკურნებელი სისუსტენი, ხოლო განვითარების უთანაბრობის კანონმა წინასწარ განსაზღვრა, რომ სხვადასხვა ქვეყნებში პროლეტარული რევოლუცია სხვადასხვა ღროს მწიფდება, — ლენინი მარქსისტული თეორიის საფუძველზე მივიდა დასკვნამდე, რომ განვითარების ახალ პირობებში სოციალისტურ რევოლუციას სავსებით შეუძლია გაიმარჯვოს ერთს, ცალკე აღებულ ქვეყანაში, რომ ყველა ქვეყანაში ან მეტწილ ცივილიზებულ ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციის ერთსა და იმავე ღროს გამარჯვება შეუძლებელია ამ ქვეყნებში რევოლუციის მომწიფების უთანაბრობის გამო, რომ მარქსისა და ენგელსის ძველი ფორმულა აღარ შეესაბამება ახალ ისტორიულ პრიობებს.

როგორც ვხედავთ, აქ გვაქვს ორი სხვადასხვანაირი დასკვნა სოციალიზმის გამარჯვების საკითხებზე, რომლებიც არა მარტო ეწინააღმდეგება ერთიმეორეს, არამედ კიდევაც ერთიმეორეს გამორიცხავს.

რომელიმე მედავითნესა და თალმუდისტს, რომლებსაც ციტატები მოჰყავთ ფორმალურად, საჭმის არსში ჩაუწვდომლად, ისტორიული პირობებისაგან მოწყვეტით, — შეუძლიათ თქვან, რომ ერთ-ერთი ეს დასკვნა, როგორც უთუოდ მცდარი, უნდა უკუვაგდოთ, ხოლო მეორე დასკვნა, როგორც უთუოდ სწორი, უნდა გავაგრცელოთ განვითარების ყველა პერიოდზე. მაგრამ მარქსისტებს არ შეუძლიათ არ იცოდნენ, რომ მედავითნეები და თალმუდისტები ცდებინ, მათ არ შეუძლიათ არ იცოდნენ, რომ ორივე ეს დასკვნა სწორია, მაგრამ არა უთუოდ, არამედ თვითეული თავისი დროისათვის: მარქსისა და ენგელსის დასკვნა — წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდისათვის,

ხოლო ლენინის დასკვნა — მონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდისათვის.

2. ენგელი თავის „ანტი-დიურინგში“ უმიმდინარეობა რომ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სახელმწიფო უნდა მოკვდეს. ამ საფუძვლზე, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, მედავითნეებმა და თალმუდისტებმა, რომლებიც ჩვენს პარტიაში მოიპოვებოდნენ, იწყეს იმის მოთხოვნა, რომ პარტიას მიეღო ზომები ჩვენი სახელმწიფოს უსწრაფესი კვლომისათვის, სახელმწიფო ორგანოების დაშლისათვის, მუდმივ არმიაზე ხელის აღებისათვის.

მაგრამ საბჭოთა მარქსისტები, ჩვენს ხანაში მსოფლიო ვითარების შესწავლის საფუძველზე, მივიდნენ დასკვნამდე, რომ, როცა არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, როცა სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა მხოლოდ ერთ ქვეყანაში, ყველა სხვა ქვეყანაში კი ბატონობს კაპიტალიზმი, გამარჯვებული რევოლუციის ქვეყანამ კი არ უნდა შეასუსტოს, არამედ ყოველმხრივ უნდა გააძლიეროს თავისი სახელმწიფო, სახელმწიფოს ორგანოები, დაზვერვის ორგანოები, არმია, თუ ამ ქვეყანას არ სურს, რომ იგი განადგუროს კაპიტალისტურმა გარემოცვამ. რუსეთის მარქსისტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ენგელსის ფორმულას მხედველობაში აქვს სოციალიზმის გამარჯვება ყველა ქვეყანაში ან მეტწილ ქვეყნებში, რომ ეს ფორმულა არ შეეფარდება იმ შემთხვევას, როცა სოციალიზმი იმარჯვებს ერთს, ცალკე აღებულ ქვეყანაში, ხოლო ყველა სხვა ქვეყანაში კაპიტალიზმი ბატონობს.

როგორც ვხედავთ, აქ გვაქვს ორი სხვადასხვანაირი ფორმულა სოციალისტური სახელმწიფოს ბედის საკითხზე, რომლებიც ერთიმეორეს გამორიცხავს.

მედავითნეებსა და თალმუდისტებს შეუძლიათ იქვან, რომ ეს გარემოება ქმნის აუტანელ მდგომარეობას, რომ საჭიროა ერთ-ერთი ფორმულა უკუვაგდოთ, როგორც უთუოდ მცდარი, ხოლო მეორე, როგორც უთუოდ სწორი, — გავავრცელოთ სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ყველა პერიოდზე. მაგრამ მარქსისტებს არ შეუძლიათ არ იცოდნენ, რომ მედავითნეები და თალმუდისტები ცდებინ, არამედ თვითეული თავისი დროისათვის: საბჭოთა მარქსისტების ფორმულა — ერთს ან რამდენიმე ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პერიოდისათვის, ხოლო

ენგელსის ფორმულა — იმ პერიოდისათვის, როცა ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის თანმიმდევრული რობითი გამარჯვება გამოიწვევს სოციალიზმის გამარჯვებას მეტწილ ქვეყნებში და როცა, ამრიგად, შეიქმნება აუცილებელი პირობები ენგელსის ფორმულის გამოსაყენებლად.

ასეთი მაგალითების რიცხვი შეიძლებოდა გაგვედიდებინა.

იგივე უნდა ითქვას ენის საკითხზე ორი სხვადასხვანარი ფორმულის შესახებ, რომლებიც აღებულია სტალინის სხვადასხვა ნაწარმოებიდან და რომლებიც ამს. ხოლოპოვს მოჰყავს თავის წე- რილში.

ამს. ხოლოპოვი იმოწმებს სტალინის ნაწარმოებს „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში“, სადაც გაკეთებულია დასკვნა, რომ, ვთქვათ, ორი ენის შეჯვარედინების შედეგად, ერთ-ერთი ენა ჩვეულებრივ გამარჯვებული გამოდის, ხოლო მეორე კლიება, რომ, მაშასადამე, შეჯვარედინება იძლევა არა რომელიმე ახალ, მესამე ენას, არამედ ამკვიდრებს ერთ-ერთ ენას. შემდეგ იგი იმოწმებს მეორე დასკვნას, რომელიც აღებულია სტალინის მოხსენებიდან საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე, სადაც ნათქვამია, რომ მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმის გამარჯვების პერიოდში, როცა სოციალიზმი განმტკიცდება და ყოფაცხოვრებაში დამკვიდრდება, ეროვნული ენები გარდუებალად უნდა შეერთდნენ ერთ საერთო ენად, რომელიც, რასაკვირველია, არ იქნება არც ველიკორუსული, არც გერმანული, არამედ იქნება რაღაც ახალი ენა. ეს ორი ფორმულა ერთმანეთს რომ შეადარა და დაინახა, რომ ისინი არათუ არ ემთხვევიან ერთმანეთს, არამედ გამორიცხავენ ერთიმეორეს, ამს. ხოლოპოვი სასოწარკვეთილებას ეძლევა. „თქვენი სტატიიდან, წერს იგი წერილში, მე გვიგე, რომ ენათა შეჯვარედინებით არასოდე ს არ შეიძლება შეიქმნას რომელიმე ახალი ენა, სტატიამდე კი მტკიცედ ვიყავი ღარწმუნებული, საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე თქვენი გამოსვლის თანახმად, რომ კომუნიზმის დროს ენები ერთ საერთო ენად შეერთდებიან“.

აშეარაა, რომ ამს. ხოლოპოვი, რაკი აღმოაჩინა წინააღმდეგობა ამ ორ ფორმულას შორის და რაკი ღრმად სწამს, რომ წინააღმდეგობა ლიკვიდირებულ უნდა იქნას, საჭიროდ თვლის თავიდან მოიშოროს ერთ-ერთი ფორმულა, როგორც მცდარი, და ხელი ჩასჭიდოს მეორე ფორმულას, როგორც უცელა დროისა და ქვეყნისათვის სწორს, მაგრამ

სახელდობრ რომელ ფორმულას ჩასჭიდოს წე- ლი, — ეს მან არ იცის. გამოდის რაღაც გამომარეობა. ამს. ხოლოპოვი ვერც კი მიმ- ხვდარა, რომ ორივე ფორმულა შეიძლება სწორი იყოს, — თვითეული თავისი დროისათვის.

ასე მოსდით ყოველთვის მედავითნებასა და თალმუდისტებს, რომლებიც, რაკი ვერ სწვდებიან საქმის არს და ციტატები მოჰყავთ ფორმალურად, იმ ისტორიულ პირობებთან დაუკავშირებულად, რომლებსაც ციტატები ეხება, მულამ ვარდებიან გამოუვალ მდგომარეობაში.

ამავე დროს კი, თუ საკითხში არსებითად გავირკვევით, გამოუვალი მდგომარეობისათვის არავითარი საფუძველი არ არის. საქმე ის არის, რომ სტალინის ბროშურა „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში“ და სტალინის გამოსვლა პარტიის XVI ყრილობაზე გულისხმობენ ორ სრულიად სხვადასხვა ეპოქას, რის შედეგადაც ფორმულებიც სხვადასხვა გამოდის.

სტალინის ფორმულა მის ბროშურაში, იმ ნაწილში, რომელიც ენების შეჯვარედინებას ეხება, გულისხმობს ეპოქას სოციალიზმის გამარჯვებულ ძალას წარმოადგენენ, როცა ეროვნული და კოლონიური ჩაგვრა ძალაში რჩება, როცა ეროვნული განკერძოებულობა და ერთა ურთიერთუნდობლობა განმტკიცებულია სახელმწიფოებრივი განსხვავებით, როცა ჭერ კიდევ არ არის ეროვნული თანასწორუფლებიანობა, როცა ენათა შეჯვარედინება ხდება ერთ-ერთი ენის ბატონობისათვის ბრძოლის გზით, როცა ჭერ კიდევ არ არის პირობები ერთა და ენათა მშვიდობიანი და მეგობრული თანამშრომლობისათვის, როცა დღის წესრიგში დგას არა ენათა თანამშრომლობა და ურთიერთგამდიღრება, არამედ ზოგი ენის ასიმილაცია და სხვა ენების გამარჯვება. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში შეიძლება იყოს მხოლოდ გამარჯვებული და დამარცხებული ენები. სწორედ ამ პირობებს გულისხმობს სტალინის ფორმულა, როცა იქ ნათქვამია, რომ, ვთქვათ, ორი ენის შეჯვარედინება შედეგად იძლევა არა ახალი ენის შექმნას, არამედ ერთ-ერთი ენის გამარჯვებას და მეორის დამარცხებას.

არა შეეხება სტალინის მეორე ფორმულას, რომელიც აღებულია გამოსვლიან პარტიის XVI ყრილობაზე, იმ ნაწილში, რაც ეხება ენათა შეერთებას ერთ საერთო ენად, აქ იგულისხმება სხვა

ეპოქა, სახელდობრ — მსოფლიო მასშტაბით სო-
ციალიზმის გამარჯვების შემდგო-
მი ეპოქა, როცა მსოფლიო იმპერიალიზმი აღარ
იქნება, ექსპლატატორული კლასები და მხობილი
იქნებიან, ეროვნული და კოლონიური ჩაგრა ლი-
კიდირებული იქნება, ეროვნული განკერძოებუ-
ლობა და ერთა ურთიერთუნდობლობა შეიცვლება
ერთა ურთიერთნდობითა და დაახლოებით, ეროვ-
ნული თანასწორუფლებიანობა განხორციელდება,
ენათა ჩახშობისა და ასიმილაციის პოლიტიკა ლიკ-
ვიდირებული იქნება, ერთა თანამშრომლობა მო-
გვარდება, ხოლო ეროვნულ ენებს შესაძლებლობა
ექნებათ თავისუფლად გაამდიდრონ ერთმანეთი
თანამშრომლობის გზით. გასაგებია, რომ ამ პირო-
ბებში ლაპარაკიც არ შეიძლება ზოგი ენის ჩახშო-
ბისა და დამარცხებაზე და სხვა ენების გამარჯვე-
ბაზე. აქ საქმე გვექნება არა ორ ენასთან, რომელ-
თაგან ერთი მარცხდება, მეორე კი ბრძოლაში გა-
შარჯვებული გამოდის, არამედ ასობით ეროვნულ
ენასთან, რომელთაგან ერთა ხანგრძლივი ექონო-
მიური, პოლიტიკური და კულტურული თანა-
მშრომლობის შედეგად გამოიყოფა ჭერ ყველაზე
მეტად გამდიდრებული ერთიანი ზონალური ენე-
ბი, შემდეგ კი ზონალური ენები შეერთდებიან
ერთ საერთო საერთაშორისო ენად, რომელიც, რა-
საკვირველია, არც გერმანული ენა იქნება, არც
რუსული, არც ინგლისური, არამედ იქნება ახალი
ენა, რომელმაც შეითვისა ეროვნული და ზონალუ-
რი ენების საუკეთესო ელემენტები.

მაშასაღამე, ორი სხვადასხვანაირი ფორმულა
შეესაბამება საზოგადოების განვითარების ორ
სხვადასხვა ეპოქას, და სწორედ იმიტომ, რომ ისი-
ნი მათ შეესაბამებიან, ორივე ფორმულა სწო-
რია, — თვითეული თავისი ეპოქისათვის.

იმის მოთხოვნა, რომ ეს ფორმულები ერთმა-
ნეთს არ ეწინააღმდეგებოდნენ, რომ ისინი ერთმა-
ნეთს არ გამორიცხავდნენ, — ისეთივე უაზრობაა,
როგორი უაზრობაც იქნებოდა იმის მოთხოვნა,
რომ კაპიტალიზმის პატიონობის ეპოქა არ ეწინააღ-
მდეგებოდეს სოციალიზმის ბატიონობის ეპოქას,

რომ სოციალიზმი და კაპიტალიზმი ერთმანეთს არ
გამორიცხავდნენ.

მედავითნებს და თალმუდისტებს მარქსიზმი,
მარქსიზმის ცალკეული დასკვნები და ფორმულე-
ბი მიჩნიათ დოგმატების კრებულად, რომლებიც
„არასოდეს“ არ იცვლება, მიუხედავად საზოგა-
დოების განვითარების პირობების ცვლილებისა.
მათ ჰგონიათ, რომ თუ დაიზეპირებენ ამ დასკვნებ-
სა და ფორმულებს და შეუდგებიან მათს წაღმა-
ულმა ციტირებას, შეეძლებათ გადაწყვიტონ ყო-
ველი საკითხი იმ ვარაუდით, რომ დაზეპირებული
დასკვნები და ფორმულები ყველა დროისა და
ქვეყნისათვის, ცხოვრების ყველა შემთხვევისათ-
ვის გამოაღებათ. მაგრამ ასე ფიქტი შეუძლიათ
მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომლებიც ხედავენ
მარქსიზმის ასოს, მაგრამ ვერ ხედავენ მის არსს,
იზეპირებენ მარქსიზმის დასკვნებისა და ფორმუ-
ლების ტექსტებს, მაგრამ არ ესმით მათი ში-
ნარსი.

მარქსიზმი არის მეცნიერება ბუნებისა და საზო-
გადოების განვითარების კანონთა შესახებ, მეც-
ნიერება ჩაგრული და ექსპლოატირებული მასების
რევოლუციის შესახებ, მეცნიერება ყველა ქვეყა-
ნაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, მეცნიე-
რება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის
შესახებ. მარქსიზმი, როგორც მეცნიერება, არ შე-
ძლება ერთ ადგილზე იდგეს, — იგი ვითარდება
და სრულყოფილი ხდება. თავის განვითარებაში
მარქსიზმი არ შეიძლება არ მდიდრდებოდეს ახალი
გამოცდილებით, ახალი ცოდნით, — მაშასადამე,
ცალკეული მისი ფორმულები და დასკვნები არ
შეიძლება არ იცვლებოდეს დროთა განმავლობაში,
არ შეიძლება არ შეიცვალოს ახალი ფორმულები-
თა და დასკვნებით, რომლებიც შეესაბამება ახალ
ისტორიულ ამოცანებს. მარქსიზმი არ ცნობს
უცვლელ, ყველა ეპოქისა და პერიოდისათვის სა-
ვალდებულო დასკვნებსა და ფორმულებს.
მარქსიზმი ყოველგვარი დოგმატიზმის მტერია.

II. სტალინი

1950 წლის 28 ივლისი

ფურნალი „ბოლშევიკი“, № 14



განპი ბოლუშევიზმის მატიანეში

შესრულდა 15 წელი იმ დღიდან, რაც დიდი ლენინის მოწაფე, დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი ლავრენტი პავლეს-ძე ხერია თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტოვის ქრებაზე გამოვიდა ისტორიული მოხსენებით თემაზე — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური თანამიზაციების ისტორიის საკითხისათვის“.

ამხანაგ ლ. პ. ბერიას ეს მოხსენება იყო დიდი მოვლენა ლენინ-სტალინის პარტიის იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ესი წარმოადგენდა ახალ სიტყვას ბოლშევიზმის ისტორიაში და ავსტრა სერიოზულ ჩარეცხს პარტიულ-ისტორიულ ლიტერატურაში.

დიდი სტალინი 1931 წელს თავის ისტორიულ სტატიაში „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ“ აყრენდა რა პარტიული ორგანიზაციების უზრადლების ცენტრში ბოლშევიკური პარტიის ისტორიის შესწავლის ამოცანას, წერდა „... სათანადო სიმაღლეზე ავიყვანოთ ბოლშევიზმის ისტორიის საკითხები, ჩვენი პარტიის ისტორიის შესწავლის საქმე დავაყენოთ მეცნიერულ, ბოლშევიკურ რელსებზე და გავამახვილოთ უზრადლება ჩვენი პარტიის ისტორიის ტროცკისტულ და უცელა სხვა ფალსიფიატორთა წინააღმდეგ, სისტემატურად ჩამოვლიდით მათ ნიღაბი“.

ამხანაგ ლ. პ. ბერიას აღნიშნული მოხსენება არის ჩვენი პარტიის ისტორიის საკითხების სწორედ ასეთ მეცნიერულ, ბოლშევიკურ რელსებზე დაუყენების შესანიშნავი ნიმუში. თავის მოხსენებაში ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ უტყუარი ისტორიული ფაქტებისა და დოკუმენტების მარქსისტულ-ენინური ანალიზის საფუძველზე მოვცა ამიერკავკასიის ბოლშევიკური იორგანიზაციების ისტორია, ამინდა პარტიის ისტორიის გაშუქებაში დაშვებული დამახანგებანი და ბოლო მოულო ფაქტების გაყალბებას ჩვენი პარტიის ამ ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი ორგანიზაციის ისტორიის საქმეში.

თავის მოხსენებაში ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ პირველმა გააშენა მეცნიერული სიღრმით ამიერკავკასიის მუშათა რევოლუციური მოღვაწეობა ამიერკავკასიაში, ამომწურავად დაახასიათა პოლიტიკური ბრძოლის ლენინური სკოლა, საიდანაც გამოვიდა დიდი ლენინის საქმის გენიალური გამგრძელებელი, მსოფლიო პროლეტარიატის ხელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი; ამ მოხსენებით გაიცნო პარტიამ და მოელმა საბჭოთა ხალხმა პროლეტარული რევოლუციის საქმისათვის თავდადებული მებრძოლები, ამიერკავკასიის რევოლუციურ-მარქსისტული ინტერნაციონალისტური ფრთის საუკეთესო წარმომადგენლები, ამხანაგ სტალინის უახლოესი მეგობრები და თანამებრძოლები ლაზა კეცხველი, საშა წულუკიძე, ვიქტორ კურნატოვსკი, გორგი თელია და სხვ. თავის მოხსენებაში ამხანაგმა ბერიამ ამავე დროს დაუნდობლად ამინდა მუშათა კლასის უცელა მტერი, მოღალატე, ვისთან ბრძოლებშიც ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით იზრდებოდა და მტკიცდებოდა ამიერკავკასიის ბოლშევიკური იორგანიზაციები.

ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ თავის მოხსენებაში მოვცა აზალუმდიდრესი მასალა დიდი სტალინის რევოლუციური მოღაწეობის შესახებ ამიერკავკასიაში. „ამიერკავკასიის ბოლშევიკების — ამბობდა ამს. ლ. პ. ბერია, — მოეცოვებათ უდიდესი ისტორიული გამოცდილება ლენინური პარტიის მშენებლობისათვის ბრძოლისა, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მიმდინარეობდა ჩვენი პარტიის ხელადის ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით.“

ამიერკავკასიის ბოლშევიკური იორგანიზაციების მოელი ისტორია, ამიერკავკასიისა და საქართველოს მოელი რევოლუციური მიძრაობა მისი ჩასახვის პირველი დღეებიდანვე განუყრელად დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის მუშაობათან და სახელთან“.

ისტორიულ მოხსენებაში — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური იორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, — ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ უამრავი ფაქტების საცუდველზე გვიჩვენა თუ როგორ ჩაუყარა საცუდველი საქართველოსა და ამიერკავკასიაში ლენინურ-ისკრულ სოციალდემოკრატიულ იორგანიზაციას ამხანაგმა სტალინმა თავის თანამებრძოლებითან — ს. წულუკიძესთან, ლ. კეცხველთან და თბილისში მყოფ რუს სოციალ-დემოკრატითან ერთად; როგორ იძრძოდა და იძარჯებდა ეს იორგანიზაცია ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მარქსიზ-ლენინიზმის შტრების წინააღმდეგ, პირველი რიგში ქართველი „ლეგალური მარქსისტების“ წინააღმდეგ, ბურჯუაზიისა და მემამულების ყველა და ყველებგარი დამქაშის წინააღმდეგ ბრძოლაში; როგორ გადაიქცენ დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ლენინურ-ისკრული მიმართულების ეს იორგანიზაციები ჩვენი პარტიის მტკიცე და მებრძოლ დასყიდენად ამიერკავკასიაში, მძლავრ პარტიულ იორგანიზაციად, რომელიც მეთაურობდა, რაზმავდა და წარმართადა ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების რევოლუციურ ბრძოლას თვითმპრობელობისა და ბურჯუაზიის წინააღმდეგ, სოციალისტური რევოლუციისათვის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

შემოლოდ ამხანაგ ლ. პ. ბერიას მოხსენების საცუდველზე გახდა შესაძლებელი ამიერკავკასიის ბოლშევიკური იორგანიზაციების ისტორიის მეცნიერული შესახვა. ამასთან ერთად ამ უშნიშვნელოვანებსმა ნაშრომში უდიდესი როგორ შევასრულა ამიერკავკასიის ბოლშევიკური იორგანიზაციების გმირულ ბრძოლების სახელოვანი ტრადიციების დამკიდრების, პარტიული რიგების იდუურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და პარტიული იორგანიზაციების ბოლშევიკური სიფხოზლის გაძლიერების საქმეში. ამხანაგ ლ. პ. ბერიას ეს ნაშრომი გადაიქცენ მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების, ინტელიგენტური შრომის ყველა მუშაობათვის შთავონების მძლავრ წარმოდ, მან ახალ მაღალ საცუდველზე აიცვანა მათი შემოქმედება, რის შედეგადაც მრავალი ახალი შესანიშნავი ქმნილებით გამდიდრდა მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების დარგებით. ეს უშნიშვნელოვანები ნაშრომი კვლავ

ასალ-ასალი წარმატებების შოპოვებისათვის აღაფრთოვანებს მათ თავიანთ შემოქმედებითს მუშაობაში.

ნაშრომი „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ გვიჩვენებს თუ როგორ იქმნებოდა და მტკიცდებოდა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა, თუ რა უდიდეს ყურადღებას აქვთ და ამ საქმეს თავიდანვე დიდი სტალინი, როგორ ზრდით საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მუშებსა და გლეხებს ძმური სოლიდარობისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. „თანამშრომლობა და ურთიერთდასმარება, — აღნიშნავდა ამსანაგი ლ. ბერია თავის სიტყვაში წინასარჩევნო კრებაზე 1950 წლის 9 მარტს,— საბჭოთა ხელისუფლების წლებში ერთ-ერთი პირობა იყო, რამაც ხელი შეუწყო თვითული ხალხის ერთეულით კულტურისა და ეკონომიკის სწრაფ განვითარებას და ამასთან ასაზრდოებდა და ავითარებდა პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს, როგორც ერთა თანამეგობრობის საფუძვლს. ამიერკავკასიის ხალხთა ეს ისტორიული თანამეგობრობა კვლავაც უნდა მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს.“

ამ შიძართულებით დიდი აშოცანები დგას ჩვენი მეცნიერება ბისა და ტექნიკის მუშაკების წინაშეც. შემოქმედებით მეცნიერული თანამეგობრობის კიდევ უფრო მეტი ძალით განაიღება ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მეცნიერებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა ამ ამოცანის შესრულების საქმეში.

ახლა, როცა საბჭოთა ხალხი უმაგალითო შრომით ფინანსულშია ჩაბმული იმის შემდგომი ხუთწლედის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის, როცა ჩვენი ქვეყანა შევიდა სოციალიზმის ვშენებლივის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანადათანობით გადასვლის პერიოდში, ჩვენი კადრების მარჯენსტულ-ლენინური იდეებით აღზრდას ერთ-ერთი პირველხარისხის მნიშვნელობა ენიჭება. ამხანაგ ლ. პ. ბერიას ღირსშესანიშნავი ნაშრომი „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, რომელიც განდი ბოლშევიზმის მატიანეში, ყოველთვის იყო და დარჩება ჩვენი პარტიული და უბარტიო კადრების, საბჭოთა მეცნიერების მოღვაწეთა შემოქმედებითი შთაგონების წყარო.



საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის ცნობებით, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა გამომცემლობამ გასული წლების მანძილზე ამხანაგ ლ. პ. ბერიას ნაშრომი რუსულ ენაზე გამოიშვა რვაჯერ, 2.067.000 ცალი საერთო ტრაქით. წიგნი გამოიცა აგრეთვე სსრ კავშირის ხალხთა 17 ენაზე 700.000 ცალად.

ამხანაგ ლ. პ. ბერიას ნაშრომი დიდი ტირაჟით გამოიცა ინგლისურ და გერმანულ ენებზე.

15 წლის განმაგლობაში წიგნი „მიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ საქართველოში 16-ჯერ გამოიცა 275.600 ცალი საერთო ტირაჟით. ქართულ ენაზე ამხანაგ ლ. პ. ბერიას ნაშრომი შეიძლება გამოიცა 155.000 ცალად, რუსულ ენაზე — 100.000 ცალად, აფხაზურსა და ისტურ ენებზე — სამ-სამჯერ.

ფოტოზე — ამხანაგ ლ. პ. ბერიას წიგნი, გამოცემული სხვადასხვა ენებზე.



სტახანოვური მოძრაობის 15 წლისთავი

აკოდენციური

ეკონომიკურ მფრიდავათ კანდიდატი

1935 წლის 30 აგვისტო ბრწყინვალე ფურცელს ჭარმიადგენს საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. ამ ღღეს ღონეცის აუზის მნგრეველმა ალექსი სტახანოვმა საფუძველი ჩაუყარა ნამდვილ ხალხურ მოძრაობას—სტახანოვურ მოძრაობას, რომელიც სოციალისტური შრომის ნაყოფიერების ზრდის მძლავრ ბერებულ იქცა.

მას შემდეგ განვლო 15 წელმა. ეს პერიოდი სავსეა უდიდესი მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობის მოვლენებით. ამ ხნის განმავლობაში, როგორც ომადგელი ხუთწლედების, ისე ომის პერიოდისა და ომისშემდგომი სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტისათვის ბრძოლაში სტახანოვურმა მოძრაობამ, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, უდიდესი ძალა და ცხოველმყოფელობა გვიჩვენა.

სტახანოვურ მოძრაობაში მხურვალე განსახიერება ჰქოვა ჩვენი ქვეყნის კულტურულ-ტექნიკურმა აღმავლობამ, შრომელთა მასების მხრივ საერთო სახელმწიფო ბრივი ინტერესების გაგებამ, საბჭოთა პატრიოტიზმა.

როგორც ცნობილია, სტახანოვურმა მოძრაობამ, სოციალისტური მრეწველობის ნოვატორებმა ძირიფესვიანად დაარღვიეს ძველი ტექნიკური ნორმები, ძველი საპროექტო სიმძლავრეები, ძველი საწარმოო გეგმები და შრომა ახალი გაცილებით უფრო მაღალი ტექნიკური ნორმების, საპროექტო სიმძლავრეების, საწარმოო გეგმების საფუძველზე მოაწყეს, რაც სოციალისტური მრეწველობის აღმავლობის საქმეში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენას ჭარმოადგენს.

ჭერ კიდევ 1935 წლს სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირზე ამხანაგი სტალინი, ეხებოდა რა სტახანოვური მოძრაობის მნიშვნელობას, ამბობდა: „განა ცხადი არ არის, რომ სტახანოველები ნოვატორები არიან ჩვენს მრეწველობაში; რომ სტახანოვური მოძრაობა წარმოადგენს ჩვენი ინდუსტრიის მომავალს; რომ იგი შეიცავს მუშათა კლასის მომავალი კულტურულ-ტექნიკურ აღმავ-

ლობის თესლს, რომ იგი გვიხსნის იმ გზას, რომელიც ერთადერთია შრომის ნაყოფიერების იმ უმაღლესი მაჩვენებლების მისაღწევად, რომლებიც საჭიროა სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასასვლელად და გონიერივი შრომისა და ფიზიკური შრომის დაპირისპირების მოსასპობად“?

სტახანოვური მოძრაობის მთელმა განვლილმა პერიოდმა ნათლად დაადასტურა ამხანაგი სტალინის ამ სიტყვების უდიდესი სისწორე და გენიალობა. ამჟამად ჩვენში ცოტანი როდი არიან ისეთი სპეციალისტები, რომლებიც მთლიანად დაეუფლენ თავიანთი საქმის ტექნიკას და წინსწევენ მას.

საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს და პატივს სცემს მოწინავე ტექნიკის შემოქმედთა შრომას. საუკეთესოები საუკეთესოთა შორის—მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკები დაჯილდოებული არიან სტალინური პრემიით, ბევრ მათგანს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

ომის შემდეგ საბჭოთა სპეციალისტების—ინჟინერების, ტექნიკოსების, კონსტრუქტორების და სხვათა მიერ შექმნილია მაღალმწარმოებლური მანქანები — ავტომობილები, დაზგები, ლოკომოტივები, ტრაქტორები, სამოთ კომბაინები, ექსკავატორები, კომბაინები სოფლის მეურნეობისათვის, მძლავრი ტურბინები, გენერატორები, მანქანები სამშენებლო სამუშაოებისათვის და სხვა მრავალი შესანიშნავი კონსტრუქციები.

მაგრამ ტექნიკის განვითარების საქმეს ჩვენში მარტო ცნობილი ადამიანები როდი სწყვეტები. ძლიერ ხშირად ნოვატორებად გვევლინებიან „პატარა“ აღამიანები, რომლებიც გაბედულად არღვევენ ძელ ტექნიკურ ნორმებს და მტკიცედ მიდიან წინ. ესენი არიან მოწინავე მუშები, კოლმეურნეები, ბრიგადირები, სამშენებლის უფროსები და მრავალი სხვა, რომლებმაც თავი ისახელეს სტახანოვური მუშაობის მეთოდებით.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ გზებს ზოგჯერ კაფავენ არა მეცნიერებაში საყოველთაოდ ცნობილი აღაშიანები, არამედ მეცნიერულ სამყაროში სრულიად უცნობი ადამიანები, უბრალო ადამიანები, პრაქტიკოსები, საქმის ნოვატორები“.

ჩვენს ქვეყანაში საყოველთაოდ ცნობილი გახდა ლიდა კარაბელნიკოვის, თევდორე კუზნეცოვის, პავლე ბიკოვის, ალექსანდრე ჩუტკინის და სხვათა სახელები. ისინი წარმოების ნოვატორობის ბრწყინვალე მაგალითებს იძლევიან. მოწინავეთა გამოცდილების მდიდარ საგანძურში თავისი წვლილი შეაქვთ ქართველ სტახანოველებსაც — მრეწველობაში: ნიკოლოზ მესტვირიშვილს, კ. ილურიძეს, ვახტანგ ბაისანაშვილს და სხვ. სოფლის მეურნეობაში — სიქო მახათელაშვილს, მ. კაკალაშვილს, ჩ. ქვახხიას, უ. კილაძეს და სხვ.

უდიდეს პატრიოტულ საქმეს წარმოადგენს კარაბელნიკოვის მასალებისა და ნედლეულის კომპლექსური ეკონომისის მეთოდი. ამ მეთოდმა ფართო გავრცელება პოვა ჩვენს ქვეყანაში. ამ მეთოდის საშუალებით შესაძლებელი ხდება ზუსტი, კულტურული მუშაობის უმაღლესი დონის მიღწევა, რომლის შედეგად ძირიფასი ნედლეულის ნაკლები რაოდენობის ხარჯით პირველხარისხოვან პროდუქციას ვდებულობთ.

მთელ საბჭოთა კავშირში საყოველთაო მოწონებისა და მასობრივ მხარდაჭერის საგნად გადაიქცა ამს. ჩუტკინის ინიციატივა საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვების შესახებ, აგრეთვე ამს. ბიკოვის ლითონის ჩქაროსნული ჭრის მეთოდი ლითონის გადამმუშავებელ მრეწველობაში და სხვ. ცხადია ამ სტახანოვური მეთოდების ფართოდ დანერგვას სოციალისტურ მრეწველობაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ამ მეთოდების ფართოდ დანერგვით დიდ წარმატებებს აღწევენ სტახანოველები საქართველოს საწარმოებშიც. მაგალითისათვის დაგასახელოთ თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმელების ფარიყა. კარაბელნიკოვის მეთოდის მიხედვით აქ მიღწეულ იქნა მასალებისა და ნედლეულის დიდი ეკონომია. მხოლოდ 1950 წლის აპრილისა და მაისის განმავლობაში დაზოგილია 234 ათასი მანეთი. ძვირფასი მასალების ცალკე სახეების მიხედვით დაზოგილ იქნა: რბილი ტყავსაქონელი — 170501 კპ. დეციმეტრი, მაგარი ტყავსაქონელი — 54392 კპ. დეციმეტრი, რეზინა — 25837 კპ. დეც., გრანიტოლი — 25,023 კპ. დეც., საკერავი ძაფი — 4429 კოჭი, მეცენის ძაფი — 115 კგ., ტექსი — 1147 კგ. და სხვ. ფაბრიკამ აპრილსა და მაისში მასალების კომპლექსური ეკონომისის ხარჯზე გამოუშვა 17 ათასი წყვილი ფეხსაცმელი.

სტახანოვური მუშაობის გაუმჯობესებული შეცვლილები ინერგება რესპუბლიკის სხვა სტატუსების შეცვლილები. მაგალითად, ორჯონიქიძის სახელობის ქარხანაში ფართოდ ინერგება ლითონის ჩქაროსნული ჭრის მეთოდი. 1950 წლის დასაწყისიდან ამ ქარხნის მექანიკურ და ინსტრუმენტალურ სამქროებულები პირველად დაინერგა ჩქაროსნული მეთოდი და მოყველე ღრმული თვალსაჩინო წარმატებები იქნა მიღწეული. ხარატმა ამს. გორამ ჩქაროსნული მეთოდით რედუქტორების ლილვაკების დამუშავების დრო 10-ჯერ უმცირა.

სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლისა და წარმოების ნოვატორობების გამოცდილების საფუძვლზე თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა გამოშვებული პროდუქცია თბილისის თამბაქოს პირველ ქარხანაში. წარმოების საუკეთესო ნოვატორობებს შორის აქ შეიძლება დაგვასახელოთ პაპიროსის გამტენ მანქანების მექანიკოს-მრეგულირებელი მიხეილ ნიკაძე. ის ემსახურება 22 მანქანას, ნორმა კი 12 მანქანაა. მიმღინარე წლის 5 თვის განმავლობაში ამს. ნერგაძემ 22 მანქანიდან 10 მიღიონი პაპიროსი მიიღო გეგმის ზევით. აღნიშნულ ფაბრიკაში მსგავსი მაგალითების დასახელება მრავლად შეიძლება. სერიონოვის სისტემის საგილზე მანქანების ბრიგადას შორმის ნაყოფიერების გადიდების საუკეთესო მაჩვენებლების მიღებისათვის პროფექციურთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს გადაწყვეტილებით და კვების საკავშირო სამინისტროს ბრძანებით „საუკეთესო ღირსების ბრიგადის“ წლება მიენიჭა.

გასაგებია, რომ ამ და სხვა მრავალ ასეთ ფაქტს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენი რესპუბლიკისათვის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირისათვის.

სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლის ბაზაზე, წარმოების ნოვატორების რიცხვის განუხრელი ზრდისა და სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღიონიანი მასების მონაწილეობით, განუწყვეტლივ იზრდება არა მარტო სოციალისტური შორმის ნაყოფიერება, არამედ მექანიზაციის ღონე, ტექნიკა. თავის მხრივ მექანიზაციის ღონის ამაღლება და ტექნიკის განუხრელი ზრდა განუსაზღვრელად ფართოებს სტახანოვური მოძრაობის ბაზას, აპყავს იგი კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე; ფართოდ ინერგება როგორც ინდივიდუალური სტახანოვური, ისე კოლექტიური — სამჭროების, საწარმოების და სხვ. სტახანოვური მუშაობის მეთოდები და ფორმები.

რა თქმა უნდა, სტახანოვური მეთოდებით მუშაობა შესაძლებელია მხოლოდ მეურნეობის სოციალისტური სისტემის პირობებში, რაც ამ სისტემის ერთ-ერთ ღიდულ უპირატესობას გვიჩვენებს მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით,

წარმოების კაპიტალისტური წესის პირობებში, სადაც შრომა მძიმე ტვირთად, შეურაცყოფისა და დამცირების საქმედ არის გაღაეცეული, სადაც შრომის ნაყოფიერების ყოველი გაღიღება კაპიტალისტების გამდიდრების ახალ საშუალებას წარმოადგენს, შეუძლებელია სტანციური მეთოდებით მუშაობა. იქ ფაბრიკა საპყრობილეა მუშებისათვის, რადგან ამ ფაბრიკასა და ქარხანაში სისხლსაც ხორცის აცლიან მუშას. სულ სხვა საქმეა შრომა ჩვენში, საბჭოთა კავშირში. აქ შრომა გაღაეცეულია „... სახელის საქმედ, დიდების საქმედ, სიმამაცის საქმედ, გმირობის საქმედ. არაფერი ამის მსგავსი არ არის და არც შეიძლება იყოს კაპიტალისტურ ქვეყნებში. იქ, მათთან, კაპიტალისტებთან, ყველაზე უფრო სასურველი საქმე, რომელიც საზოგადოებრივ მოწონებას იმსახურებს, არის რენტა, პროცენტებით ცხოვრება, თავისუფლად ყოფნა შრომისაგან, რომელსაც სამარცხვინო საქმედ სთვლიან. ჩვენთან, საბჭოთა კავშირში, პირებით, ყველაზე უფრო სასურველ საქმედ, რომელიც საზოგადოებრივ მოწონებას იმსახურებს, ხდება შესაძლებლობა იყო შრომის გმირი, შესაძლებლობა იყო დამკვრელობის გმირი, პატივისცემის შარავანდედით შემოსილი მილიონ მშრომელთა შორის“ (ი. სტალინი).

საბჭოთა ადამიანების პრიცეპულად ახალი და გოვიდებულება შრომისადმი, ახალი შეხედულება შრომაზე, ყველაზე უფრო ნათელ გამოხატულებას პოლობს მასობრივი, ჰეშმარიტად ხალხური სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში. საკმარისია აღნიშნოთ, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში ამჟამად ჩამოულია მთელი ჩვენი საწარმოების — მუშების, ინუინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამახურეთა 90%-ზე მეტი, კოლმეურნე გლეხობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა დიდი უმრავლესობა.

სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა, სტანციელთა და წარმოების ნოვატორთა ღვიძლ საქმეს წარმოადგენს სამრეწველო მოწყობილობათა უკეთესად გამოყენებისათვის ბრძოლა, აგრეთვე პროგრესული ნორმების ღანერგვა, წარმოების კულტურის ამაღლება, ნედლეულისა და მასალების ეკონომიკური ხარჯვა.

ეს ძირითადი ამოცანის გადაწყვეტისათვის ბრძოლა — ბრძოლაა კომუნიზმისათვის, ბრძოლაა კიდევ უფრო უკეთესი ცხოვრებისათვის, ბრწყინვალე მომავლისათვის. ეს კარგად აქვს შეგნებული

საბჭოთა ხალხს — მუშებს, კოლმეურნე გლეხობას, ინტელიგენციას, რომელთაც ამ დიაფორაქმისა, კომუნიზმის საქმის განხორციელებისათვის მავს და ხელმძღვანელობს ლენინ-სტალინის პარტია, დიდი სტალინი.


განუსაზღვრელი და ამოუწურავია საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ძალა, განუსაზღვრელია სოციალისტური კონომიკის აღმავლობისა და მისი შემდგომი გიგანტური განვითარების შინაგანი შესაძლებლობანი. წარმოების მუშაკებისა და მეცნიერების მოღვაწეების შემოქმედებითი დამეგობრება უდიდეს მოვლენას წარმოადგენს მრეწველობის შინაგანი რეზერვებისა და შესაძლებლობათა კიდევ უფრო ეფექტურად გამოყენებისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, მთელი ჩვენი ეკონომიკის სტრატიგი განვითარებისათვის.

სტანციური მოძრაობის განვლილი 15 წლის პერიოდის შესანიშნავი წარმატებები კიდევ უფრო მეტად აღაფრთვონანებს საბჭოთა ხალს, კიდევ უფრო აძლიერებს საბჭოთა ცხოველმყოფელი პატჩიორიზმის გრძნობას, ერთგულებას და თავდადებას საბჭოთა მთავრობისადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი.

ყველგან კაპიტალისტურ ქვეყნებში მშრომელ მოსახლეობას სულს უხუთავს შიმშილი და უკიდურესი სიღარისე. ბურჟუაზიული მთავრობები ამერიკა-ინგლისის იმპერიალისტების მეთაურობით ახალი ომის გაჩაღებისა და პირდაპირი აგრესის საქმეს ემსახურებიან. ამის საუკეთესო მაგალითს კორეის საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების უხეში, ყაჩაღური, შეიარაღებული ჩარევა წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირის მშრომელები, რომლებიც წარმატებით აშენებენ ახალ, მაღალ საზოგადოებრივ წყობილებას — კომუნიზმს, ჩაბმული არიან მშვიდობიან შემოქმედებით შრომაში, სასტიკად გმობენ იმპერიალისტების ავაზაკურ საქმიანობას და მხურვალედ უჭერენ მხარს მშვიდობიანობის საქმეს მთელს მოთვლიოში.

ასეთ ვითარებაში სტანციური მოძრაობისა და სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო ფართოდ გაშლა, წარმოების ნოვატორების საგმირო საქმეები უდიდეს მნიშვნელობას იდენტური რაც საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის უდიდეს თანაგრძნობას და სიყვარულს იმსახურებს.



ახალი ტექნიკა ქვანას შირის პრეცესობაში

გ. გელასახოვი

კომისია „ქვანას შირის“ უფროხი ინიციატივი, მეორე რანგის სამთო დარეკტორი

ღიდგა ბელადმა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა საბჭოთა მეშემტექნიკის მოცანად დაუსახა ყოველმხრივ განავითარონ მძიმე და შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია. ბელადის ამ მითითების განხორციელებისათვის ბრძოლაში ქვანას შირის მრეწველობამ სერიოზულ შედეგებს მიაღწია.

გასული წლის ბოლოსათვის საწმენდ სანგრევებში დამთავრებული იყო ძირითადი პროცესების მექანიზაცია: ქვანას შირის გამოყელვისა — 99 პროცენტით, ლავებიდან გამოტანისა — 99,5 პროცენტით, ქვანას შირის ზიდვისა მიწისქვეშა გამონამუშევრებში — 93 პროცენტით და რეინიგზის ვაგონებში დატვირთისა — 99,5 პროცენტით.

განვლილი წელი ქვანას შირის მრეწველობაში აღინიშნა შახტების ტექნიკური შეიარაღების არა მარტივ რიცხობრივი ზრდით, არამედ ღრმა ხარისხობრივი ცვლილებებითაც ქვანას შირის ამოღების ტექნიკაში. ქვანას შირის მრეწველობაში მძლავრი სამაქანათმშენებლო ბაზისა და მსხვილი საპროექტო-საქონსტრუქტორო ორგანიზაციების შექმნამ უზრუნველყო ახალი სტულყოფილი და მაღალნაკოფიერი სამთო მანქანების — სამთო კომბაინების შექმნა.

ეს მანქანები საშუალებას იძლევიან მოვახდონოთ შახტებში ყველაზე უფრო მძიმე და შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია, ისეთებისა, როგორიც არის გამოყელვა, ქვანას შირის მონგრევა და დატვირთვა. შახტებში ახალი ტექნიკის დანერა-გვამ ძირფესვიანათ შესცვალა მეშახტეების შრომა, აიყვანა იგი ტექნიკური კვალითიყაციის ახალ კიდევ უფრო მაღალ დონეზე.

იმ მიზნით, რომ სასხელოდ იქნას შესრულებული ამხანაგი სტალინის ისტორიული დავალება — ქვანას შირის ამოღება ჩვენს ქვეყანაში აყვანილი იქნას 500 მილიონ ტონამდე წელიწადში, საჭიროა ფართოდ გაიშალოს ქვანას შირის ამოღების ყველა პროცესის მექანიზაცია, გაბედულად დაინერგოს უახლესი ტექნიკა და ამის შედეგად მიღწეულ იქნას შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდა, საჭიროა უფრო ეფექტურად გამოვიყენოთ სამთო მანქანების მოვლა ის რაოდენობა, რაც ამჟამად შახტებში მოიპოვება და ყოველდღიურად მრავლდება.

სამთო კომბაინებს შორის ყველაზე უფრო სრულყოფილი და უნივერსალურია კომბაინი „დონბასი“, რომლის კონსტრუქტორები არიან ინჟინერები ა. დ. სუკაჩი, მ. ვ. გორგოვი და ვ. ნ. ხორინი. ეს კომბაინი შექმნილია მძლავრი საყელავი მანქანის „მვ—60“ ბაზაზე. კომბაინი „დონბასი“ მიღებულია ქვანას შირის საშუალო სიმაგრის და რბილ, დამრეც და დახრილ ფენებში გაყელვის, მონგრევისა და დატვირთვისათვის.

გაყელვის სიღრმე 1,6 — 2,0 მეტრამდე აღწევს, ქვანას შირის ფენის მინიმალური სიმძლავრე 0,8 მეტრს შეადგენს.


ორი ელექტროძრავის საერთო სიმძლავრე 68 კილოვატია.

კომბაინის ზომებია: სიგრძე — 4410 მილიმეტრი, სიგანე — 720 მილიმეტრი, სიმაღლე — 710-1000 მილიმეტრი, წონა — 6000 კილოგრამი.


ახალი კონსტრუქციის კომბაინებიდან აღსანიშნავია აგრეთვე „ვომ—2“ (გამყელავ-მომგრევი მანქანა, მეორე მოღელი) და ს. ს. მაკაროვის სისტემის კომბაინი „ვმ—6 მ“, რომელმაც დიდი გამოყენება ჰქონდა ყარაგანდის ქვანას შირის აუზში.

ამჟამად ასობით კომბაინი „დონბასი“ მუშაობს საბჭოთა კავშირის ქვანას შირის სხვადასხვა აუზებში.

სამთო კომბაინების გარდა ქვანას შირის შახტებში მუშაობენ გამყელავ-დამყრელი მანქანები. ამ ტიპის მანქანებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ვპმ—1“ მარკის მანქანა, რომელიც დაპროექტებულია „გიპროუგლემაშ“-ის მუშაკების მიერ სტალინური პრემიის ლაურეატის ვ. პ. მარტინენკოს ხელმძღვანელობით. ეს არის პირველი სერიული მანქანა, რომელიც განკუთვნილია წმენდით



სამთო კომბაინი „დონბასი“.




გამყელავ-დამტკირთავი მანქანა „ვპ-1“.

სანგრევებში ქვანახშირის დაყრის მექანიზაციისათვის.

მანქანა „ვპ-1“ შექმნილია სერიული საყელავი მანქანების „გტ-3“; „მვ-60“ და „ქმ-1“ ბაზაზე, რომელსაც გორლოვკისა და კოპეისკის განკანათშენებელი ქარხნები ამზადებენ. აღრე შექმნილი ამ ტიპის მანქანებთან შედარებით ეს მანქანები გაძოირჩევიან უფრო მეტი წარმადობით, კომპაქტურობით, უფრო საიმედო და მოხერხებული არიან მუშაობაში. მანქანის ასეთი მონაცემები შესაძლებლად ხდიან მის გამოყენებას სხვადასხვა სამთო-გეოლოგიურ პირობებში.

ამ მანქანების საცდელმა ექსპლოატაციამ ნათელყო, რომ მათი საშუალებით შეიძლება განხორციელდეს ლავებში ქვანახშირის დაყრის მექანიზაცია 75 პროცენტამდე. ისინი ერთნახევარჯერ ზრდიან ლავის მუშების შრომის ნაყოფიერებას და საგრძნობლად აუმჯობესებენ სანგრევში მუშაობის პირობებს.

გამყელავ-დამყრელი მანქანების გამოყენების უფერტურობა ბევრად არის დამოკიდებული ლავების სათანადო მომზადებასა და მუშაობის სწორორგანიზაციაზე. ქვანახშირის ფენების სიმძლავ-




ფუჭი ქანის შტკირთავი მანქანა „უმ3-1“.

რესთან შეფარდებით არსებობს სამი ტიპის გამყელავდამყრელი მანქანები.

კარგი შედეგები მოგვცა მუშაობაში გრძელებული ქვანახშირის დამტკირთავი მანქანამ „ს-153“, რომელიც წარმატებით არის გამოყენებული შტრეკების გაყვანის დროს ქვანახშირის დასატკირთავად. ცნობილია, რომ შტრეკების გაყვანის შემთხვევაში ქვანახშირის ხელით ტვირთვას სჭირდება მთელი სამუშაო დროის 60—75 პროცენტი. ამგვარად ქვანახშირის დატკირთვის ხერხი განსაზღვრავს როგორც გაყვანის სიჩქარეს, ისე სანგრევში მომუშავე მუშების შრომის ნაყოფიერების დონეს.

„ს-153“ ტიპის ქვანახშირის მტკირთავი მანქანა საშუალებას იძლევა მექანიზებული იქნას გაყვანის ციკლის ასეთი შრომატევადი პროცესი, როგორიცაა სანგრევიდან ქვანახშირის გატანა და მისი დატკირთვა გასაზიდ მექანიზმებზე, საგრძნობლად მსუბუქდება შტრეკის გამყვანთა შრომა, მუშის შრომის ნაყოფიერება ცვლაში 0,68 მეტრამდე იზრდება, ასევე იზრდება სამთო გამონამუშევრების გაყვანის სიჩქარე (ხელით დატკირთვასთან შედარებით). „ს-153“ ტიპის მანქანის გამოყენებით გამყვანთა მოწინავე ბრიგადები ოვეში გადიან 150—200 მეტრ შტრეკს, რაც 3-4-ჯერ აღემა-




ნახშირის სატკირთავი მანქანა „უმ3-153“.

ტება ასეთ გამონამუშევრების გაყვანის საშუალო სიჩქარეებს.

საბჭოთა კავშირის მთელ რიგ აუზებში წმენდით სამუშაოები ტარდება დამუშავების მთლიანი სისტემით, გამომუშავებული სივრცის ნაწილობრივი ამოცორვით. საყორე ზოლების ამოცვანა ძლიერ შრომატევადი პროცესია, რომლის ხარჯები დიდ გავლენას ახდენს ქვანახშირის თვითდირებულებაზე. ამ სამუშაოს შესრულებას სჭირდება აგრეთვე დიდიძალი მუშა-ხელი.

იმ მიზნით, რომ გააღვილებულ იქნას ამ ოპერაციის შესრულება, ამეამად ტარდება საცდელი სამუშაოები ლავების ჭერის მართვის გადაყვანაზე მთლიანი ჩამოქცევის გზით და ლითონის ჯარგვალების გამოყენებით. ჯარგვალების გამოყენებამ

საგომნობლად (10—30 პროცენტამდე) შემცირა სამაგრი მასალის ხარჯი და 20—40 პროცენტით საჭირო მუშა-ხელი, 25—40 პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფირება და სხვ. აქ მოყვანილი ციფრებიდან ნათელი ხდება, თუ რამდენად ხელსაყრელია ლითონის ჯარგვალების გამოყენება ჭერის მართვის დროს.



გადამტვირთავი მანქანა „პმ—1“.

საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მრეწველობისათვის ახალ მიღწევად უნდა ჩაითვალოს მძლავრი ფენების შრეობრივი დამუშავების შემთხვევაში ლითონის ბადის გამოყენება. ამჟამად შრებს შორის რჩება ქვანახშირის ფენის საგრძნობი ზოლი, რომლის სიმძლავრე 0,6—1,0 მეტრამდე მეტყეობს, და რომელიც შემდეგ სამუღლოდ იყარგება მიწის წიაღში. სანამ მთლიანად იქნება ათვისებუ-

ლი მძლავრი ფენების დამუშავება ჰიდროლიკური კუსების მეთოდით, გარდამავალ პერიოდში ლითონის ბადის გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ეს მეთოდი ამცირებს ქვანახშირის დანაკარგებას და მთლიანად შეუძლებელს ხდის მიწისქვეშა ხანძრების გაჩენას.

ქვანახშირის შახტებში სულ უფრო და უფრო ფართო გამოყენებას პოულობს წმენდითი და მოსამზადებელი სანგრევების ლითონით გაძაგრება. ამ მიმართულებით, უკანასკნელ დროს გამოშვებულია მრავალი ტიპის სხვადასხვა ლითონის ბიგები.

დიდათ აუმჯობესებს მიწისქვეშ მომუშავეთა შრომის პირობებს დღის სინათლის ნათურების გამოყენება, რომელიც კიდევ ერთი მეათო მაგალითით საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი ზრუნვისა საბჭოთა მეშახტების შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის.

ეჭვს გარეშეა, რომ საბჭოთა კავშირის მეშახტეთა დიდი კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ბოლომდე და რაც შეიძლება ნაყოფიერად გამოიყენოს ახალი მძლავრი ტექნიკა და ამით სასახლოდ შეასრულოს მეშახტეთა საუკეთესო მეგობრის, დიდი სტალინის დავალება ქვანახშირის ამოღების შემდგომი ზრდის შესახებ.

სტალინის სახელობის შახტის XV წლისთავი

ჩვენი ქვეყნის შესანიშნავი და ულამაზესი კუთხი — აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა მდიდარია არა მარტო საუკეთესო კურორტებით და განვითარებულ სოფლის მეურნეობით, მდიდარია იგი წიაღისეულითაც, კერძოთ — კარგი ხარისხის ქვანახშირით.

ქვანახშირის მრეწველობა აფხაზეთში შეიქმნა საბჭოთა პერიოდში, სტალინური ხუთწლედების მანძილზე. 1923 წლის ამავნა ფ. ე. ძერეინსესის ინიციატივით დაისვა საკითხი ტავარებელის ქვანახშირის საბაზოების ფართოდ შესწავლისა და დაზუშავების შესახებ. საბაზოს დიდი ნის ისტორია აქვთ. მისი არსებობა მოსახლეობამ ადრიდანვე იცოდა, მაგრამ მეფის მთავრობა არაფერს აკეთებდა ამ საბაზოს ასათვისებლად.

1923 წლიდან დაიწყო სისტემატური გეოლოგიური-საძიებო სამუშაოები. ამ მუშაობას თითქმის 10 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ინიციატივი-გეოლოგი ვ. ვ. მოკრინისკი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის აფხაზეთის ქვანახშირის საბაზოების შესწავლაში.

შეიქმნა სპეციალური ტრესტი „ტეგვარჩელშენი“. უგზონა, საცხოვრებელი ბინების უქონლობა, საბაზოს დიდი გეო-

ლოგოტიპი აშლილობა დიდათ აძრელებლენ მშენებელთა კოლექტივის მუშაობას. მომავალი შახტის დაცილი დაუსახლებელი იყო, მის მაღალ და ხშირ ტყეებში დათვები და სხვა ცხოველები თარეშობდნენ.

უახლოესი სოფელი კვეზანი დაშორებული იყო 12 კილომეტრით. შახტის მშენებლებმა შესძლეს ყველა სინერგიას გადალახვა და 1935 წლის გაზაფხულზე რამდენიმე წლის თავდაცებული და ენერგიული შრომა დამთავრდა პირველი შახტის ექსპლოატაციაში გადაცემით. შემდეგში ამ შახტს ხალხთა დიდი ბელადის იოხებ ბესარიონის-ძე სტალინის სახელი მიეკუთვნა.

მეშახტეთა კოლექტივმა ენერგიული, სტანციონური შრომით სტალინური ხუთწლედების მანძილზე არა ერთი სასახლო ფურცელი ჩასწერა საქართველოს ქვანახშირის მრავალობის განვითარების საქმეში, ამჟამად შახტში ქვანახშირის ამოღების თითქმის ყველა პროცესი მექანიზებულია. აქ პირველად საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში აითვისეს და მუშაობენ გამყელებული დამტკირთავი მანქანები, მმიმე ტიპის გამყელავი მანქანები. ბურღავა სწარმოებს უახლესი კონსტრუქციის ელექტრობურდებით. ქვანახშირის ზიდვა ლავა

ბერდან და შტრეკებში ხდება შომხვეტი ტრანსპორტიორების საშუალებით, ხოლო გამოტანაზე მუშაობენ მძღვანი მაწის-ქეშა ელმავლები. ამჟამად უახტში ნახშირის ამოღების თითქმის ყველა ძირითადი პროცესი მექანიზების საშუალებით სრულდება.

საბჭოთა მანქანათმშევრებლობის უკანასკნელი მიღწევა—ქვანახშირის კომბანი „დონბასი“, რომლის პირველი ექიმის-ლარი ამ დღეებში მიიღეს ტყვარჩელში, განკუთვნილია სტალინის სახელობის შახტისათვის, რომელიც ახალი მექანიზების სამრეწველო გამოცდის თავისებურ ლაბორატორიად გადაექცა. ესეს გარეშე, რომ შახტის მოწინავე კოლექტივი ამ ახალ მანქანასაც კარგად ითვისებს. ამ კომბანების მეორებით ტყვარჩელის შახტების პირობებში მიღწეული იქნება ქვანახშირის ამოღების კომპლექსური მექანიზაცია.

სტალინის სახელობის შახტის კოლექტივი სახართველოს ქვანახშირის კომბანატის შახტებს შორის მოწინავე სახელმწიფო გეგმების შესრულების საქმეშიც. განსაკუთრებული წარმატებით მუშაობს შახტი მეოთხე სტალინურ ხუთწლედში. იგი ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს გეგმას, რის შედეგადაც ხუთწლედის ოთხ წელიწადში შახტმა ქვეყანას გეგმის ზევით ათეულ ათასობით ტონა ქვანახშირი მისცა. ასევე წარმატებით მუშაობს შახტის კოლექტივი 1950 წელს. მან ერთ-ერთმა პირველთაგანამდე შესძლო აპრილსა და მაისში კარგი მუშაობით დაეფარა ის დაკალისი, რომელიც ზამთრის თვეების მძიმე პირობებით იყო გამოწვეული. ამჟამად შახტის კოლექტივი ისე წარმართავს თავის მუშაობას, რომ წლეური გეგმა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 33-ე წლისთვისათვის შესრულდოს. განუწყვეტლივ იზრდება შახტში შრომის ნაყოფიერება. ამ ზრდამ გეგმით გათვალისწინებულ ნორმას გადაჭრა.

შახტის კოლექტივმა შეკრი სახარგაზლო საქმით ისახელა თავი. ერთ-ერთი მათგანი შემდეგში მდგომარეობს. თავის მუშაობის მანძილზე შახტმა უკვე მოლია ის მარაგი, რომელიც მისი ამუშავების დროისათვის მოიპოვებოდა. მეშაბტეთა კოლექტივმა გამაღლა ბრძოლა შახტის არსებობის ვალის გაგრძელებისათვის. საიდეო-მოსამზადებელი სამუშაოების ახალი მეთოდით წარმართვის შედეგად, შახტს შეემატა ახალი საექსპლოატაციო ველები. მუშაობა ამ მიმართულებით გრძელდება და არსებობს სრული საფუძველი იმისა, რომ

წლისაც შახტს შეემატება ქვანახშირის საგრძნობი მარაგი. ასე სასწაულებს ამდენს ამ შახტის მუშებისა და ინტენსუტ—შემუშაობა.

ამ შახტიდან დაწყო შრომითი ბიოგრაფია ბევრი შეშახტისა, რომლებიც ამჟამად აფხაზეთის ქვანახშირის მრეწველობის ძირითად დასაყრდენ ძალას წარმოადგნენ და რომლებსაც წინ მიჰყავთ მრეწველობის ამ დარგის შემდგომი განვითარების საქმე. ესენია: გამყვანი ივანე ლონსკო, ზეინკალ, პავლე ანტონოვი, მარქშტერილერი თედორე დიმიტრიევი, მოძრაობის უბნის ათისავი ფერდორა კუზმინა, გამყელავი მანქანის შემანქანე ივანე ლსტაბი, გამყვანები ნიკოლაორე უსატენკო, ნიკოლოზ ბოგატიჩი, თედორე შარევკა და სხვები, რომლებიც თათქმის შახტის ექსპლოატაციის პირველი დღეები მუშაობენ აქ.

რიგით მუშათ დაწყო მუშაობა შახტში ნიკოლოზ ხუნტუამ, ბევრი შრომითი მამაცობის ფურცელი ჩასწერა მანშახტის წარმატების ისტორიაში. დღეს იგი ხელმძღვანელობს იმ უბნის კოლექტივს, რომელიც ქვანახშირის ახალ ველებს ამზადებს.

ინეინერი-მექანიკოსი ნიკოლოზ რევიშვილი ახალგაზრდა სპეციალისტი იყო, როდესაც პირველად ჩამოვიდა ტყვარჩელში სამუშაოდ. ამჟამად ის ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ მთავარი მექანიკოსის საპასუხისმგებლო თანამდებობას ასრულებს.

ამავე შახტში დაწყო მუშაობა უბნის უფროსად 1935 წელს სამთო ინეინერია არქიპ ლაბახუამ, აქ გამოვიდიდა მოსი ორგანიზატორული ნიჭი და დღეს ის დაწინაურებულის ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ მთართველად.

შახტის მიმდინარე წლის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ელმავლის მემანქანე ამბროსი ბერტონამ, გამყვანმა იყო კობახიძემ, უბნის უფროსმა ნიკოლოზ გუგუშვილმა და სხვებმა.

შრომისა და ბრძოლის სასახლო გზა განვლო 15 წლის მანძილზე სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა, მან ჩაუყარა საფუძველი აფხაზეთში ქვანახშირის მრეწველობის განვითარების საქმეს, მისი აქტიური მონაშინებით გაფართოვდა და განმტკიცდა სახალხო მეურნეობის ეს წამყვანი დარგი.



როგორ მიღო ადამიანი რკინა

გიორგი გერვანიშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ჰელასათვის კარგად არის ცნობილი რკინის ნიშვნელობა აღამიანის თანამედროვე კულტურაში. აღამიანმა მიაღწია იმას, რომ შესძლო ფართოდ გამოყენებინა თავისი საჭიროებისათვის ბუნებრივი ენერგია—მდინარეთა და ქარის ენერგიის, ბუნებრივი სათბობების სითბური ენერგიის სახით. წინათ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდნენ აღამიანი და მის მეტ მოშინაურებული ცხოველები, მაგრამ, რაც უფრო მეტად ეუფლებოდა აღამიანი ბუნებრივ ენერგიას, მით მეტად თავრსუფლდებოდა იგი მექანიკური ძრავის მოვალეობისაგან. ამ გათავისუფლების დონე და ინტენსივობა დამოკიდებული იყო არა ზარტო ტექნიკის, არამედ აგრეთვე დამიანთა საზოგადოების განვითარებაზე.

მაგალითად, კაპიტალისტურ საზოგადოებაში, სადაც გაბატონებული კლასების მთავარი საზრუნავია სარგიანობა, მოგება, — კოლონიური მონების უდიდესი იაფი სამუშაო ძალისა და უმუშევართა მრავალრიცხვანი არმიის არსებობა ხელს უშლის ბუნებრივი ენერგიის, როგორც მამოძრავებელი ძალის, ფართო გამოყენებას იმ დროს, როდესაც ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში ინტენსიურად ხორციელდება. უამრავი ლონისძება, რათა აღამიანის წილად დარჩეს მხოლოდ შემოქმედებითი შრომა, რაც თვით აღამიანის ბუნებას შეადგენს.

მაგრამ როგორ შესძლო აღამიანმა ბუნებრივი ენერგიის გამოყენება? ამისათვის მან ენერგიის წყარო სპეციალური მექანიკური ჯაჭვის სამუშებით დაუკავშირა სამუშაო იარაღს, რომლის სახელწოდებაა მანქანა.


მაგრამ მანქანების დასამზადებლად საჭიროა თუჭი, ფოლადი, რომლებიც რკინისაგან მიიღება.

იქედან გასაგებია რკინის უდიდესი როლი კაცობრიობის ისტორიაში.


სხვა საშენი მასალებისაგან, რომლებიც აღამიანს მოეპოვება (ხე, ქვა, მიწა), ყოვლად შეუძლებელია თანამედროვე მანქანის აგება. რაც შეეხება სხვა მეტალებს, ისინი დედამიწაზე, რკინისთან შედარებით, განსაზღვრული რაოდენობით მოიპოვება და არ იძლევიან ისეთი მაღალი ხარისხის

მქონე შენაღნობებს, რომლებიც აუცილებელია სამანქანათმშენებლო მასალებისათვის, როგორსაც იძლევა რკინა. გამონაკლისს წარმოადგენს ოლუმინი, რომელიც დედამიწის ქერქმი იმყოფება მისი წონის 8%-ის რაოდენობით. მაგრამ ალუმინის მიღება რთულია. ამის გამო მან პრაქტიკაში გამოყენება მხოლოდ სულ უკანასკნელ დროს ჰპოვა და, ჯერ-ჯერობით, ალუმინის შენაღნობების, როგორც სამანქანათმშენებლო მასალის, თვისებები ჩამოუვარდება რკინის შენაღნობების სეთივე თვისებებს. გარდა ამისა, თვით ალუმინის მიღება შეუძლებელია იმავე რკინისგან აგებული აგრეგატები თუ არ გვექნა.

მაგრამ როგორ მიიღო აღამიანმა რკინა, როგორც სამშენებლო მასალა?



ნახ. 1. მიწაში ამოთხრილი პირველყოფილი ქურა.



ნახ. 2.

საქმე იმაშია, რომ ბუნებაში რკინა არ გვხვდება თვითნაბად მდგომარეობაში. იგი, როგორც შემადგენელი ნაწილი, შედის ე. წ. რკინის მაღნებში. მაგრამ რკინის მაღნის ნატეხი არც შესახედაბით, არც თავისი ფიზიკური თვისებებით სრულებით არ მოგვაგონებს რკინას: თავისი თვისებებით იგი სავსებით ჩვეულებრივი ქვაა, რომელიც არაფრით განსხვავდება სხვა ქვებისაგან.

ბუნებაში არ მიმდინარეობს მაღნიდან რკინის თავისთავად გამოყოფის პროცესი. მაღნიდან რკინის ხელოვნურად მიღება კი იმდენად რთულ ფიზიკურ-ქიმიურ პროცესს წარმოადგენს, რომ ის, ცხადია, სრულიად მიუწვდომელი იყო პირველყოფილი ადამიანისათვის.

ამგვარად, თავდაპირველად ადამიანს წარმოდგენა არ ჰქონდა იმაზე, თუ რა არის რკინა, არ იცოდა, რომ იგი ზოგიერთი ქვის შემაღვენლობაში შედის და, რასაკირველია, არაფერი გაეგებოდა იმის, თუ როგორ შეიძლებოდა ამ ქვიდან რკინის მიღება. მიუხედავათ ამისა, მან მაინც მოახერხა რკინის მიღება ქვიდან. როგორ მოხდა ეს?

ამაში ულიდესი როლი ითამაშა ცეცხლის დაუფლებამ. მთელი რიგი მოსაზრებები ადასტურებენ, რომ თავდაპირველად ადამიანმა ცეცხლის მოპოვება არ იცოდა. მას შეეძლო მზამზარეული სახით მიეღო ცეცხლი, რომელიც შეიძლებოდა გაჩენილიყო ვულკანების ამონთხევისას, მეხის დაცემით, ბოლიდის ჩამოვარდნისას, ზოგიერთ მტვრისებურ ნივთერებათა თვითანობით და სხვ.

მაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათი იყო. ამიტომ პირველყოფილი ადამიანი იძულებული ხდებოდა დაეცვა ცეცხლი, მიეღო ზომები იმისათვის, რომ იგი არ ჩამერალიყო. ამის დამადასტურებელ საბუთებს იძლევან სიტყვები, რომლებიც თანამედროვე ენებშიც კი არის დარჩენილი, აგრეთვე ლეგენდები, რომლებიც ჩვეულებრივად ისტორიული ფაქტების ანარეკლს წარმოადგენენ, მაგალითად, კერა—ცეცხლი და ოჯახი, კომლი—კვამლი (ჭართულში), დამ, რაც კვამლსაც ნიშნავს და კომლსაც (რუსულში), უკრაინული „კурень“, შესაძლოა ფრანგული fumer და famille. ეს ნიშნავს, რომ ცეცხლი (კერა, კერია) წარმოადგენდა რაღაც მუდმივს, რომლის გარშემო თავს იყრიდა ოჯახი.

ლეგნდებიდან შეიძლება დავა-სახელოთ ლეგენდა ამირანზე (პრომეთეზე), რომელმაც უდიდესობის მოსტაცა ცეცხლი და ადამიანებს გადასკა. ეს ლეგენდა ნათლად მოწმობს, რომ თავის დროზე ომები სწარმოებდა ცეცხლის ფლობისათვის.

თავისთავად ცხადია, ადამიანს რომ ცეცხლის მოპოვებიც სცოდნიდა, საჭირო არ იქნებოდა ომები ცეცხლისათვის.

და სწორედ ის გარემოება, რომ ადამიანმა თავდაპირველად არ იცოდა ცეცხლის დანთება, არამედ იძულებული იყო მუდმივ ეზრუნა მის დაცვაზე, გადაიქცა მიზეზად უდიდესი კულტურული გადატრიალებისა მის ცხოვრებაში. სწორედ აქ დაეუფლა ის მეტალურგიას, ისწავლა რკინის მოპოვება ქვიდან.

ეს რომ უფრო ნათელი გახდეს, მოგვიხდება პატარა ექსკურსის გაცეთება ქიმიაში. როგორც ცნობილია, რკინის მაღნი წარმოადგენს რკინის უანგეულების ნარევს „ფუჭ“ მინერალურ ქანებთან. რკინის უანგეული—ეს არის რკინის და უანგბადის ნაერთი. მაღნიდან რომ რკინა მივიღოთ, რკინას უნდა წავართვათ უანგბადი — აღვადგინოთ რკინა, შემდეგ უნდა გავაღნოთ ფუჭი ქანი, რომელიც, გათხევადებულ მდგომარეობაში მყოფი, ჩამოდინდება აღდგენილი რკინისაგან. რკინის აღსაღენად იხმარება ნახშირბადი, რომელიც ადვილად იერთებს უანგბადს.

რკინის უანგეულის მიერ უანგბადის დაკარგვის პროცესი თანდათანობით მიმდინარეობს. 700°-ს ზევით იგი მთლიანად ჰკარგავს უანგბადს.

მეორე პროცესს წარმოადგენს „გაწიდება“, ე. ი. ფუჭი ქანების გაღნობა და მიღებული წილის ჩამოდინება რკინისაგან, რომელიც ამ შემთხვევაში იქნება არა გამდნარ, არამედ ცომის მდგომარეობაში.

რკინის აღდგენა საქმაოდ დაბალ (4000) ტემპერატურაზე იწყება, მაგრამ მისი საბოლოო აღდგენა და, რაც მთავარია, ფუჭი ქანების „გაწიდება“ (დნობა) მოითხოვს საქმაოდ შალალ — 700-დან 1000°-დე ტემპერატურას. ტემპერატურის დაწევისას რეაქციის სიჩქარე უაღრესად ეცემა.

დავუბრუნდეთ ახლა პირველყოფილ კოცონს, რომელიც ადამიანს განუწყვეტლივ უნდა დაეცვა, რათა არ ჩამერალიყო.

რახან ცეცხლი განუწყვეტლივ ენთო, ცხადია, საჭირო იყო გზის გადაღობა მისი გავრცელებისათვის. ამ მიზნით პირველყოფილმა ადამიანმა, აღბათ, მიმართა იმავე საშუალებას, რასაც მიმართავთ ჩვენც, როცა საღმე მინდვრად ან ტყეში ცეცხლს ვაჩაღებთ: მან ქვები შემოავლო ცეცხლს გარშემო. ამ ქვებს შორის შეიძლებოდა რკინის

მაღნის ნატეხებიც ყოფილიყო. ზოგჯერ ეს ქვები შეიძლება შიგ ცეცხლში მომხვდარიყენენ.

ასეთი ქვები ძლიერ ხანგრძლივი დროის გამავლობაში რჩებოდნენ ცეცხლში საკმაოდ მაღალ ტემპერატურაზე და ეხებოდნენ ნახშირს, რომელიც კოცონში იმ ადგილებში მიიღებოდა, სადაც ჰაერი ნაკლებად აღწევდა.

კოცონის საშუალო ტემპერატურა შესაძლოა არც კი იყო საკმაო სრული აღდგენისა და ფუჭი ქანების „გაწიდებისათვის“, მაგრამ ცალკე შრეებში, სადაც ნახშირი წარმოიქმნა, უკანასკნელი შეიძლებოდა წინასწარ გახურებულიყო ჰაერის შეულშევლად და შემდეგ მომხდარიყო მისი ურთიერთქმედება ასევე გამთბარ ქანგბადთან. მაშინ ამ ადგილზე, მცირე დროით მაინც, შეიძლებოდა წარმოშობილიყო მეტად მაღალი ტემპერატურა, რომელიც თუნდაც მაღნის ნაწილის სრულ აღდგენას და გაწიდებას გამოიწვევდა. ასეთი ნაწილი შესაძლოა ძლიერ მცირე ყოფილიყო, მაგრამ, კოცონის ხანგრძლივი (წლების განმავლობაში) არსებობის გამო, ასეთი შემთხვევები იძლენად ბევრი იყო, რომ, ბოლოს-დაბოლოს, უნდა მომხდარიყო მაღნის თითქმის სრული აღდგენა. აღამიანს არ შეეძლო არ შეემჩნა, რომ ზოგიერთი ქვა ცეცხლში ხანგრძლივად ყოფილისა თვისებებს, ხდება ჭელადი და უფრო მკვრივი, ე. ი. მან თავისი იარაღებისათვის მიიღო უფრო მაღალი ღირსების მასალა. ეს იყო რეინა.

შემდეგში იდგა მხოლოდ წარმოების გაუმჯობესების, ე. ი. წარმადობის გადიდების (პროცესების დაჩქარების) და უფრო სუფთა მასალის მიღების საკითხი.

ამასთან ერთად ადამიანს არ შეეძლო არ შეემჩნია მაღალი ტემპერატურისა და ნახშირის გავლენა მაღანზე. მას ისიც არ გამოეპარებოდა, რომ დახურულ სივრცეში (გამოქვაბულში) კოცონი მეტი სითბოს იძლეოდა, ვიდრე ღია ადგილებში. ამიტომ იმ მიზნით, რომ კოცონს მეტი სიმხურვალე ჰქონოდა, მან უკანასკნელი კედლით შემოფარგლა, ე. ი. ქვების პირველ მწერივზე შემდეგი მწერივები დააწყო. მაგრამ ამით წყდებოდა ჰაერის შეტანება საწვავში, რომელიც ბუნებრივი წევით ატანდა მასში. ამიტომ საჭირო გახდა კედლის ფუძეში ნახვრეტის გაკეთება. მაგრამ ბუნებრივი წევა უქვე აღარ იყო საკმაო იმისათვის, რომ ჰაერი გამოეტარებია საწვავის შედარებით სქელ ფენში, ამიტომ ნახვრეტის გაკეთება იწყეს გაბატონება.

ბული ქარების მიმართულების მხრიდან, მაგრამ იქმნა პირველყოფილი ქურა.


1-ლ ნახ-ზე ნაჩვენებია ასეთი ქურა. რასაკვირველია ასეთი ქრევის დრეკადობა ძლიერ მცირე იყო. გარდა ამისა, თვით ქრევა შემთხვევით ხასიათს ატარებდა. ამიტომ აღამიანი შემდეგში გადავიდა ქრევაზე საბერველებით, რომელთაც ის მოკლულ ცხოველთა ტყავისაგან ამზადებდა.

ამავე დროს, რასაკვირველია, მას არ შეეძლო არ შეენიშნა, რომ ნახშირი გაცილებით უფრო ძვირფას სათბობს წარმოადგენს, ვიდრე ხე. ამასთან ერთად მან შეამჩნა, რომ ნახშირი ჩნდება კოცონის იმ ადგილებში, სადაც ჰაერი არ ატანს ან სადაც ჰაერის შეტანება განხელებულია. ამგვარად მან ისწავლა ახალი, ხელოვნური სათბობის — ხის ნახშირის მიღება ხის მასალის გამოწვით მერქნის სკეციალურ გროვებში, ჰაერის შეუტანებლად. მან იწყო ამ ნახშირის გამოყენება, მერქნის ნაცვლად, მაღნიდან რეინის მისაღებად. ამ მომენტიდან მეტალურგიული კოცონი მეტალურგიულ ქურად გადაიქცა.


მე-2 ნახ-ზე ნაჩვენებია ასეთი ქურა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში, მესამე ნახ-ზე კი — მდ. ბოგონის რაიონში (იაკუტეთი) ნაპოვნი ქურის სქემატური ნახაზი, მეოთხე ნახ-ზე — უფრო სრულყოფილი ქურა, ცნობილი კატალონიური ქურის სახელწოდებით. ასეთი ქურები, გაცილებით უფრო დიდი ხნოვანობის, მრავალრიცხვითი არქეოლოგიური გათხრებისა და უძველესი მეტალურგიული კერების ძიებისას ნაპოვნია ჩვენშიც. ამ საკითხებზე ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მუშაობენ.

როგორც ვხედავთ, იაკუტეთში, ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში და ესპანეთში აგებული ქურები თითქმის ერთნაირია. რაიმე წაბაძვზე, ცხალია, ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ეს მსგავსება მხოლოდ იმას მოწმობს, რომ პირველყოფილი ქურების შექმნა ერთნაირ პირობებში ხდებოდა.

იაკუტეთში ნაპოვნი ქურა გამოივლია განსვენაშირი



ნახ. 3. ციცასაბერი ქურის სქემატური ნახაზი (ცენტრალური ჭრილი).



ნახ. 4. კატალოგიური ქურა (ჭრილი): а) ხის ნახშირი,
ბ) ჭრილი.

ნებულმა აყადემიკოსმა ბაიკოვმა. მისი სიტყვით,
დაახლოებით 1 მეტრი სიმაღლის ქურა „წარმო-
ადგენს კვალრატული ფუძის მქონე ხის გვიმს,
ამოვსებულს თიხით, რომელშიც დატვებულია
ლუმელის სამუშაო სიგრცე. გვიმის წინა კედელში
არის ნახვრეტი ჰაერის საქრევად, წილის გამო-
საშვებად და რკინის გამოსაღებად. მუშაობის
დროს ეს ნახვრეტი დახურულია და მასში გადის
მხოლოდ საქშენი. ღუმელი ახურებენ შეშით, რის.
შემდეგ ლორფინზე მოყრიან სუფთად გაცრილი
ნახშირის 10 სმ-დე სისქის ფენას, განალაგებენ მას
ჰაერიზონტალურად და დახურავენ ნახვრეტს ისე,
რომ მასში გადის მხოლოდ საქშენი. ამის შემდეგ
აპოვებენ ცეცხლს და მთელ ღუმელს აავსებენ ნახ-
შირით, რის შემდეგ სახერველით უბერავენ ჰა-
ერს. როცა ნახშირი რამდენიმედ დაიწვის და მისი
დონე საკერძესთან დაიწევს, ზევიდან ისევ უმატე-
ბენ ნახშირს და მოყრიან დამტვრეულ მაღანს,
დაახლოებით 3 კგ რაოდენობით და ასე იქცევიან

16 კვ მარნიდან საშუალოდ მიიღებოდა 6,5 კგ რებინა.

თუ მატერიალურ ბალანსს გამოვიანგარიშებთ, მივიღებთ, რომ „100 კგ მაღანი იძლევა 39 კგ რკინს და 43 კგ წილას, ე. ი. 60 კგ რკინს მაღნიდან აღდგება 39 კგ ანუ 65% რკინა, იყარგება (წილაში გადაღის) 21 კგ ანუ 35% რკინა“.

ნახშირის ხარჯი 1 კგ რეინაზე 4-5 კგ აღწევს.

რეინის ასეთი დიდი დანაკარგი და ნახშირის ასეთი დიდი ხარჯი შემდეგით აიხსნება.

ქურის მცირე სიმაღლის გამო, წვის პროდუქტები სწრაფად ტოვებენ მას — ვერ ასწრებენ თავისი სითბოს გადაცემას კაზმისათვის (ნახშირისა და მაღნისათვის), რის გამოც მაღალი ტემპერატურის მისაღებად საჭირო ხდება ქვანახშირის მნიშვნელოვანი რაოდენობის ხარჯვა. მეორე მხრით, ქურის მცირე სიმაღლის გამო, მაღალი ტემპერატურა მთელს ქურაში ნაწილდება და, მაშასადამე, მაღანი ერთბაშად ხვდება მაღალი ტემპერატურის არეში, საღაც შესაძლებელია თხევადი სისტემების წარმოქმნა.

ଅମ୍ବାରାଳ, ଶ୍ରେମାନ୍ତରୀଣ ଜ୍ଞାନାଶି, ଏ. ଏ. ପି. କ୍ରିଷ୍ଣା
ଦେବ ଜ୍ଞାନାଶି, ମାନ୍ଦନାଲାଙ୍କ ଶୁଭ୍ରାଲୁଙ୍କ ମିଳେବଳା
ରୁକ୍ଷିନ୍ଦ, ନାଥଶିଖରଚାଳୀଙ୍କ ମହିରୁ ଶୈମପ୍ରେସ୍‌ରେ
ଗାୟକ୍ରମନିଲୀ ପ୍ରକାଶିତ ସାହିତ, ରାମେଲ୍‌ଶାହ ଶୈମଦ୍ଵେଶ
ସାମ୍ବିକ୍ରମଲାଙ୍କ ଗ୍ରହମମଳିଂଶ୍ବ ଉଠାନେ ଫ୍ରେମିଟ ପ୍ରିଣ୍ଟିଂବଙ୍କେ
ଅସେତମା ଜ୍ଞାନାମ ମନ୍ଦିରାବଳୀ ଆତମା ଶ୍ରେଣିତାଙ୍କୁ
ସାନ୍ତୋଷ କିମ୍ବା ଶ୍ରେଣିତାଙ୍କୁ ପରିବର୍ତ୍ତନ କରିବାକୁ ପାଇଲା
ଏକ ମନ୍ଦିରାବଳୀ ଯୁଦ୍ଧିରେ ଗାଢାତ୍ରିରାଲ୍‌ମେବା ମେତ୍ରାଲ୍‌ମୁରଗିରା-
ଶି—ଏକ ମିଳେବେ ତୁମ୍ଭି ରା ପ୍ରିନ୍ଟିଂବଙ୍କେ ଜ୍ଞାନା ପରିମିତ-
ମା ଏକ ଶ୍ରେଣିକାବଳୀ.



საგორის გელიორდაცის ეკონომიკი მნიშვნელობა

პროფესორი ნიკოლოზ იაჩვილი

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

„არავთარ ხელისუფლებას, გარდა ჩვენი მომზღვიში
საგარეო ხელისუფლებისა, არ უეპლო განვითაროვანების
ქართველ ხალხის ეს ძირი ხნის ოცნება“.

3. 6. ჩარჩვის

სამგორს აშენებს მთელი ქართველი ხალხი, კუმუნისტური პარტიას, საბორია მთავრობის ხელმძღვანელობით. საქართველო ამ მშენებლობაზე სარგებლობს ღილი რცხის ხლის მხარდაჭერით. საკ. კ. ბ. (8) ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს მთავრობის მინისტრთან საბორია დახმარებით.

სამკორის. მშენებლობა დაიწყო და ხორციელდება დიდი
ბეჭდოების ი. სტალინის პირადი მითითებით.

* * *

სამორის სახელით ცნობილია თბილისის ჩრდილო და
ჩრდილო-აღმოსავლეთ შესახუწე მიკროლი, დაბლობით ას-
თასი ჰექტარზე ფართობი, რომელიც მოკარსა და იორს შო-
რის ძღვებრეობს. ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთით იგი
მიმდენილა კომპონენტების მთებშე. ეს ტერიტორია ვე-
ლოვანია და ტბა-ზოგისული წარმოშობისა, ფორმირებულია
მცირეულ და შესამცულის მერიმის პერიოდებში და წარმოდ-
ებულ შირავებს ზეპარ-ს ბუნგბრივ გაგრძელებას თვით თბილ-
ის მისამართებრივ.

სამინისტროს რელიეფი, მოინარეთა გეოლოგიური მოქმედებრთ კალაპოტის ცელის გამო, ერთობ დანაკვთულია. განაპირობის ნაშილებში იგი დასერილია მტკრითა და ორით, ხოლო წაულებ აკებში — მცარეშეყლანი და ზაფხულობით მარილი მჩაღლირიცხვინ შენაჯებით (საცენის, თეთრისევე, შარტონის ჭყალი, ლოჭინის ხევი, ნორის ჭყალი და სხვ.).

ამის შედეგად სამგორის ტექილორია ჩამდენიმე შემზარღულ გარემორფოლოგიური ერთეულისაგან შესდგება და შეიცვალ შემდეგ ვაკებსა და ზეგნებს: ორხევის დაბლობი (7.000 ჰექტარი), მარტივობის წყალსა და საცხვებისი წყალს შეარის მდებარე ვაკე (5.000 ჰექტარი), სამგორის მინდონია (7.000 ჰექტარი), ფინანსის დაბლობი (13.000 ჰექტარი), ვარდაბარის ველი (16.000 ჰექტარი).


სამგორის მოსახლეობა ტერიტორიაზე, აღნიშნულ ვაკეებსა და დაპლობთა გარდა, მდებარეობენ რიგი გრძელისებური გორიკები და განცალევებული მაღლობები (მასთა, ტაბერი, დიდი, დიდგორა, ახლოსაფლისა და ე. წ. კაცალერის ყორანის ჭმალებანი და სხვ), რომელთა საერთო ფართობი 8.500 ჰექტარს აღწევს. ეს ფართობი თვითდინებით ვერ მოიწყვევდა

ბა და მიზრომ აქ სხვადასხვა ტუპის მექანიკური სარწყაფი ნა-
გებობანი მოეწყობა.

ქალაქ თბილისშე მოკრული სამგრარის აღნიშვნული ტერიტორია საცხებით უზრუნველყოფილა ტრანსპორტით (ბაქო-თბილისის და კახეთის რკინიგზები, თბილის-ოქლაგის, თბილის-სიღნაღმის, თბილის-გარდაბანის გზატკეცილები და სხვა). ეს ტერიტორია ძვირფას რაიონს წარმოადგენს ბუნებრივი პირობების მხრივაც. ნიადაგური და თეატრალუ პირობების მიხედვით აქ შეიძლება გაშენდეს თითქმის ყოველნარი სითბოს მოყვარული ძვირფასი სასოფლო-სამუშაოენ კულტურა (ხელოვნები, გაზი, ბალეტი, მინდვრის სასტრატო, საკეთები და ტეატრული მცენარეები) და ამ ბაზაზე დიდად განვითარდეს მიცხვნელების ძარითად დარგები.

მაგრამ სამგორზე ამჟამად გამოყენებულია მიწების დახულებით 15% — 14.000 ჰეკტარამდე.

*) ბრუტო-ფართობი — საერთო ფართობი, ნეტო-ფართობი — საკუთრივ სასოფლო-სამეურნეო კულტურებით დაჭავებულია ან მათგვის განკუთვნილი ფართობი.



სოფ. ალექსეევკა, რომელთაც კახელებმა „გაიპარა“ უწოდეს, რადგანაც წყალი არ იყო და შოთახლეობის დიდი ნაწილი აქედან გაიქცა.

ეს გამოყენებაც ფრიად ექსტენსიურია. საკარმიძმო მა-წების ფართობი უდრის 780 ჰექტარს; 14.000 ჰექტარი და მუშავებული მიწიდან 12.300 ჰექტარი მემინდვრეობას უჭი-რასს: ბალგი გაშენებულია 350 ჰექტარზე, ვენახევი — 230, ბოსტან-ბაღია — 450 და დანარჩენი ამგვარი კულტურები — 670 ჰექტარზე. ეს ნეოსნარგაბანიც მხოლოდ ადგილობრი-დი მცირერიცხოვნი არხებისა და მდინარეთა თუ ხევისპირა საჩუავ მეწებზე გაშენებული. ურწყავი მიწები კი, და ისიც ზევითა შეფერებულ ზოგ ფერლობზე, გამოყენებულია თავთა-ვიანი ჰურეულისათვის. საჩუავი აქ ითებება სიმბორი, მზისუმზირა, საკედი ბალახები და სხვ. ურწყავი მიწებზე ყო-კლებურად როდია უზრუნველყოფილი აქტური მწირი მო-სავალიც კი (3—5 ცენტ. ჰური და ქერი). მხოლოდ შედარე-ბოთ უცხვიმინ წლებში იღებენ ამ მოსავალსაც... და რაღა საკვარველია, რომ აქ მცეცხველეობაც მცირე მოცულობისა და მდარე ხარისხისაა. პირუტყავი უპირატესად მომთაბარე-ობს და დაბალი პროდუქტიულიბით ხსიათდება.

ამ გარემოებათა ერთადერთი მიზეზი ამჟამად არის ატმოს-ფერული ნალექების დიდი სიმცირე (260—780 და საშუა-ლოდ 450 მმ) და სარწყავი წყლის თითქმის სრილი უქონ-ლობა რაიონში. აქტური ნიადაგებში გრუნტის წყლებიც ძალ-ზე ღრმად მდგებარეობს და მცენარისათვის არხებითად მი-უწდომელი რჩება. მდგომარეობას კიდევ უფრო ის ამწვა-ებდა, რომ აქ ზაფხულობით დიდი სიცემბია (30—40%; სა-შუალო წლიური ტემპერატურა 130 უდრის) და ძლიერი, ხშირი ქარები ქრის, რაც მეტად აშრობს მიწას და ამანდა გამდებლი გვალვის ხასიათს აძლევს.

მაისის ბოლოდან იქტომბრამდე ამ ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე ბული და ქარსაცხე სუფეეს, არებარე ვარაბრუკუ-ლია, არსად საჩრდილობელი ხე არ ჩანს, არსად ყელის გა-სასეველებელი წყარო არ მოიპოვება, სუნთქვა სჭირს, ხალხი და ცხოველები გაიზინულია...

* * *

ეს არ იყო სამგორშე ისტორიულ წარსულში. XIX სა-შუალები თამარის დროს და შემდეგშიც დიდანის სამგორის მეტ ნაწილს ჭობორტიდან გამოყვანილი არის რწყავდა. აქ ბალვენა-ბოსტარი და ფარა-ნაზირ-ჯოგიანი ბარაქია-ნი სოფლის მეურნეობა ყვაოდა. დღემდე შემორჩენილი სა-ხელწოდებები — რუსთავი (ბოსტან-ქალაქი) და სხვ. ამის უდაო საბუთია.

მაგრამ საქართველოს მრავალსაუკუნევანი ისტორიული წარსული ცხოვრების სიღრების ნამეტნავად უძარა სია-ვებ — ბათოყავის, ბერქა-ყენის, ფელალ-ელ-დინის, თემურ-ლევნის, მურვან-ყრუს, მაკ-აბაზის, აღა-მამიძან-ბანის და სხვათ ბარბაროსის გაუუკაციალა და მხარე. მრავალჯერ

განმეორებულ სისლისმღვრელ იმებს გაუძლო ამ რაიონმა. შაპ-აბაზის მიერ მოწყობილმა ულეტამ და კახეთიდან 70.000 კაცის ფერევიდანში გადასახლებამ წელში გასტეხა სამგორის მეურნეობა — დანგრა სარწყავა ნაგებობანი, მოსახლე სო-ფერ-ქალაქები, ამოიხოცა ხალხი, გაწყდა სხვა ცოცხალი არ-სება... და ეს კუთხე, თბილისის კარიბჭებათან, ლიდი ნინო ღარჩა ადამიანის გამამშვენებელ ხელს მოკლებული, ბუნე-ბის სტეინური ძალების მნგრეველ გალონქაში. ოდენდაც აყვავებული მხარე უდაბნოდ იქცა.

ბევრჯერ უცდით ამ ისტორიული უკუღმართობის გამოს-წორება. მუდამ მოუსვენარი, აბგარსხებული და ცენტრზე მცდომარე ერეკლე II ბოულობდა დროს და საშუა-ლებას ქვეყნის სამეურნეო აღორძინების საკითხებ-ზე ზრუნვისათვისაც. მან მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩაატა-რა მორწყვისა და ამ რაიონში სიცოცხლის დაცვიდრებისათ-ვის. დღემდე შემორჩენილია ერთეული საკედლუკ ნაგებო-ბა არხისა, რომლითაც უნდა მორწყულიყო 700—800 დესეტ. (2,000 კცევა) მიწა.

შემდეგ, 1840-48 წ. წ. მეურისაცვალმა ვორონცოვმა მო-აწყო საგამოკვლევო მუშაობა, ხოლო ინენინგჩა ბაგრატიონ-მუხრანულმა ჩაატარა მშენებლობა იმ არხისა, რომლითაც ირწყვილია სოფ. სართიშალის მიწები, არა ქართველებისა, არამედ გერმანელ კოლონისტთათვის (ყოფ. სიც. როზენფელ-დი).

1864—67 წ. წ. ამიერკავკასიის რკინიგზის შეენებლობა-სან და აგშირებით მოწვეულმა უცხოელმა ინენინგჩა ბელიშ და გაბამ, სხვათაშორის, შედგინებს 12 სარიგაციო პროექ-ტი. რომელთაგან ერთი სამგორის ეხებოდა, მაგრამ ის არც ტექნიკურად იყო ღირსშესანიშნავი და არც განხორციელ-ბულა.

სამგორის მორწყვის საკითხი ძველ დროში საკარასენელად 1913 წ., დასხვა თბილისის თვითმართველობაში, მაგრამ ამა-ოდ. შედეგი არც ამას მოყოლია.

* * *

რეალური საქმიანობა, როგორც ჩვენი ცხოვრების სხვა მნახალ დარგში, ისე სამგორის გასაცოცხლებლადაც, საქარ-თველობში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ და-იწყო.

სარიგაციო-ენერგეტიკული მშენებლობის დაუყოვნებლივ გაშლისათვის ამიერკავკასიასა და საქართველოში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი ლენინის ცრინილ წერილს ამიანგ სერგო იოზონიერის სახელში, რომლითაც ამიერკა-ვკასიის კომუნისტებს ლენინი უჩემდება ყოველმხრივ განვითარებინათ კვეყნის მდიდარი საწარმოო ძალები (თეთრი ნატერი, განსაკუთრებით მორწყვა და სხვა).

ემთავითვე დაიწყო სამგორის ირიგაციის დაგეგმებაც. შესდგა სატანადო პროექტების ჩაგი სქემები, მაგრამ ეს სქემები ფრიად სამორიგენტაციო და მრავალნაკლიანი ვეო.

1928—30 წ. წ. სამგორის პროექტირების საქმე ზევეთრ წლადაგზე სდგება. მას სათავეში ჩაუდგა გამოხენილი წესინერი პეტრე მამრაძე. პარტიამ და მთავრობამ ყოველგვარი პირობა შექმნას სქმის წირმატებისათვის. წყალთა მეურნეობას ორგანოებში გამოყოფილი იქნა სამგორის პროექტირების ცალკე სამმართველო. გამშალა მრავალმხრივი საკვლევაძიებო სამუშაოები. აღიზარდა ახალგაზრდა ნიჭიერ ინჟინერთა შრავალრიცველი კალრი, დაგროვდა ძეირფასი მასალა, საჭარმო გამოყდილება.

ქართველი ხალხის დადი მოამაგოს ამხანავ ლავრენტი გერიას თაოსნობით 1935 წ. შესდგა ზემო სამგორის ე. წ. პირველი რიგის სამუშაოების ტექნიკური პროექტი (ინკ. შ. ახალგაცი) და სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის მისი ათვისების გენერალური გეგმა (ნ. იაშვილი). აღვილზე ჩატარდა ავტორიტეტული ექსპერტისა (პროფ. გრიშინი, პროფ. მიხაილოვი და სხვ.). 1941 წლის იანვარში პროექტი განიხილეს სათანადო ორგანოებმა და შესაძლო იქნა ცნობილი მშენებლობის დაწყება. თბილისში მოწყო ცალკე საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციები. მკვლევართა და მშენებლთა პირველი პარტიები მინდვრად გავიდნენ. მაგრამ სამუშაო ომის დაწყების გამო მუშაობა შეჩერდა.

პიტლერული ურლების განადგურების შემდეგ სამგორის საკითხი კვლავ დღის წესრიგში დაისხვა.

სსრ კაშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების 1946—1950 წლების ხუთწლანი გეგმის კანონის ტ. 61-ში სწერია: "... გაიშალოს სამგორის სარტყევი სისტემის და პირობისადგურების მშენებლობის სამუშაოები".

ქართველი ხალხისათვის ღიდი წნის სანატრელ სამუშაოთა განსახორციელებლად კვლავ შემოკრებენ სხვადასხვა პროფესიისა და კალიფიურის კადრები. ინკ. შ. ახალგაცი პროექტის დაზუსტებას შეუდგა, ინკ. ა. ყიფშიძე მშენებლობას ხელმძღვანელობდა. მთ მხარში ამოუღენენ ახალგაზრდა ტექნიკური კადრები.

* * *

სამგორის სამრიგაციო მშენებლობა გრანდიოზული პიდარტექნიკურ-ენერგეტიკული ამოცანაა. პირველყოვლისა აღ-სანიშნავია, რომ სამგორის მშენებლობით სამი ღიდი საკითხი გადაწყდება: ამჟამად სოფლის მეურნეობაში მეტწილად გა-მოუყენებელ უდიდესი ტერიტორიის მორწყვა და მომდევნო

სასოფლო-სამუშაოები ათვისება, რესპუბლიკის ჰიდროენერგეტიკული ბაზის გაფართოება და ქ. თბილისის კეთილმოწყობის მისამართი გაუმჯობესება.

ეს აგებულ იქნება მთელი რიგი ფრიად რთული და ნაორ-ნარი საინტერესო ნაგებობანი.


ისტიგციის დარგში

ე) სათავო ნაგებობანი ორი დაკავშირებული მთავარი ელექტრისაგან შესღება. ერთა სინონის წყალსაცავი. აქ ძალზე მაღალი წნევის გამო და წყლის ნორმალური ხარჯის უზრუნველსაყოფად აგებულ იქნება წყალსაცებ მექანიზმითა რთული სისტემა. თავი გამოუშევებს სათანადო რაოდენობის წყალს, რომელიც იდენტური იქნება მდ. იორის ბუნებრივი კალაპოტით. მეორე, სოფ. პალდისთან აშენდება სათავო წავერობა. აქ მდინარის მარჯვენა მხარეზე გაღმოვა ზედა მაგისტრალური არხი, რომელიც იორის წყლის ერთ ნაწილს სამგორის ველზე გადაიყვანს, მეორე ნაწილი კი წაედინება ისევ იორის ბუნებრივი კალაპოტით და მას სარწყავად გამოიყენებენ სოფლები: ხაშმი, პატარძეული, თორილიაური, საგარეჭო, გიორგიშვილი, ნინოშვილი, თეღოწმინდა, მანავი, ბაღიაური და სხვ.

ბ) ზედა მაგისტრალური არხი გაყვანილი იქნება ფრიად რთულ რელიეფზე და მოგრძავს 14.600 ჰექტარ მიწას. სანამ გაშლილ ველზე გავიდოდეს, იგი გაივლის რამდენიმე ვერტიკალს 13 კმ საერთო სეგრძნით (ერთი მათგანი სურამის ცნობილი რეინიგზის გვირაბზე იღდავ ნაკლებადა). 10 კმ მანძილზე არხი ხევ-გორაკებს გადაივლის, ამ არხზე იაგება ღია გალერეები, დიუკერები, სიღონები, აკედუები, ხილები, წყალსაცებები და მრავალ სხვა რთული საინჟინრო ნაგებობა. არხი მოელ მანძილზე ბერონის ფილებით მოპირკეთდება.

ზედა მაგისტრალური არხი წყლით უზრუნველყოფს სოფლებს: ნორიოს, ლენინის, წითელუბანს, მარტყოფს, დიდა და პატარა ლილოს, ახალსოფელს, საცხენის, თეთრეხევს, მუხრანვანს, სართიქალას, უჯარმას და ორი ახალი საკოლმეურნეო სოფლის მიწებს. ამ არხით წყალი ჩაედინება.

გ) თბილისის პირა წყალსაცავში, ე. წ., თბილისის ზღვაში, რომელიც წარმოქმნება სამი მლაშე ტბის—ავლაბრის, კუეიისა და იალლუნიანის ირგვლივ ტაფილი მიღების დამდებილობისაგან. თბილისის წყალსაცავიდან სხენებული ჯებირის ევეშ 525 მეტრი სიგრძის გვირაბით გაყვანილ წყლები გამართება



ლოჭინის ხევი წყალდიდობის დროს დიდ ზარალს აუკრიბებს მისახლეობას, ზაფხულში კი თითქმის შრება.

დ) ქვედა შაგის ტ
რალური არცით.

ამ არხს გაცილებით უფრო მარტივი ტრასა აქვს, ვიდრე ზედა მაგისტრალურ არხს, მაგრამ მდ. ლომინშე არჩის გადასატარებლად და ჯეირნის ველზე გასავლელად აგებული იქნება 1.125მ სიგრძის დიუკის. შემდეგ არზი ჩრდილო-დამოსავლებრივი გამართება და ჩავარდება ჯანგირისევში, ეს არზი 22.000 ჰექტარი მიწას მორწყავს რესტავრი, ველში, გარდაბანში, აღტაგლიაში, ყარატა-ფაში და 16 ახალ საკოლმეურნეო სოფელში.

გ) გლდან-ლ მაღელის (6 კმ) და მახათას (4 კმ) განმანაში იღებელი ცალევ გამოიყვანება თბილისის წყალსაცავიდან ჩრდილო-დასავლეთ მხარეზე. ისინი მექანიკური წყალსაცავით იმშვავებენ და მორწყავენ დაახლოებით 2.500 ჰექტარ მიწას.

ზემო სამგორის სარწყავი ქსელი ურთილესი საინჟინრო ნაერობაა. მიუხედავთ ამისა, ამ არხს საკომანდო ტერიტორიაზე მაინც დარჩება ზოგი ბორცვ-გრაუება, რომლებიც თვითდინებით ვერ მოიჩინება. აქ ნაგარაულევია ხელოვნური საწვიმარი დარგარების გამართვა და ამ უპირატესად მკვეთრად დაფურებულ ფართობთა მნიშვნელოვანი ნაწილის გატყიანება ერთხაის საწინააღმდეგოდ.


ამგამდ მიმდინარეობს მუშაობა ზემო სამგლო ის მოსახურშეცვად. ამის შედეგად მიღებული გამოცდილების, შექმნილი მძლავრი ტექნიკური ბაზის და მომზადებული კადრების შემცირებით, მომავალში გაადვილდება ქემო სამგლო 46.500 ჰექტარის მორწყავაც საგარევის, ფაქტობრივის და სილალის რაონებში; ეს ნაერობა ბევრად უფრო მარტივი იქნება ამ მიწების გამოთანაბრტებული ვაკე რელიეფის გამო და გაცილებათ უფრო იაფაც დაჭდება; იგი მოემსახურება აგრეთვე ელდარის ველის მშენებაც.

ამგარად, სამგორის საინიციაციო სისტემა გენერალურ ასკერტში მორწყავს: ზემო სამგორის 56.500 ჰექტარ ბრუტო ანუ 37.000 ჰექტარ ნეტო ფართობს, ქვემო სამგორის 46.500 ჰექტარ ბრუტო და 31.000 ჰექტარ ნეტო ფართობს; გათავისებულ-ლრმა ლელის გამანაშილებლებთ — 2.500 ჰექტარ ბრუტო ანუ 2.000 ჰექტარ ნეტო ფართობს, ე. ი. სულ 95.600 ჰექტარ ბრუტო ანუ 70.000 ჰექტარ ნეტო ფართობს.

2. ჰიდროენერგეტიკის დარჩევი

სიონისა და თბილისის ორი უზარმაზარი წყალსაცავის მარაგის ურთიერთდაკავშირებულად გამოიყენებით და მათ მდებარეობის სიმაღლეთა დიდი განსხვავების გამო, მათ შორის გაყვანილ ზედა მაგისტრალურ არზზე წარმოქმნილ წყალვარდნებზე შესაძლო ხდება რამდენიმე ელსადგურის გაება და ენერგიის მნიშვნელოვანი რაოდენობის გამომუშავებისათვის. სწორედ ამის გამო

შლ. იორის ბუნებრივი დებიტი, რასაკეირველი, საკიარისი არ არის სსენებული მოცულობით არც მორწყვისა და არც ელექტროენერგიის გამომუშავებისათვის. სწორედ ამის გამო



სოფელი, რომელის მიწები თურქიაც ნაწილობრივ ირწყვება, ხალ-ვენას-მოსტნებით არის დაფარული.

აგება ზემოთ დასახელებული ორი ვეებერთელ წყალსაცავა წყლის ბუნებრივი ღიანების მრავალწლიანი რეგულირებისათვის. საქართვისა ღიანიშნოს, რომ მათ წყლით გაცემისათვის საჭიროა მდ. იორის ბუნებრივი ღიანება 2-3 წლის განმავლობაში.

თბილისის წყალსაცავიდან ზაფხულის რწყვაზე დაბარეული წყლის მარაგი (ზედა მოძრავი ფენა) ზამთარში შეიცვალის წილის წყალსაცავიდან გადამშვებული წყლით. ზედა მაგისტრალურ არხში გამოვლისას ეს წყალი ბუნებრივ ვარდინლებზე აამუშავებს პირველ რიგში სამს, საბოლოოდ კი — ხუთ ელექტროსადგურს.

3. ჩალაშის ეოთილორმყობის გაუმჯობესება

თბილისში ზაფხულში ღიანი სიცემები იცის. ქალაქში ქარებს მტვერი და ბული შემოაქვს; იგა ჭერ კიდევ ღიანიდან მცენარეულობით, ჰავა ერთობ მშრალა, ჰასიათდება დაბალი შეფარდებითი ტენიანობით. ქალაქი გაცილებით მეტ წყალსაცავიდებს, ვიდრე ახლა ღებულობს.

ამ პირობებში უღიერესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ქალაქის გეორგი იქნება „თბილისის ზღვა“, რომელიც ყოველ წლიურად (უმთავრესად ზაფხულში) აორთქლებს 15 მილონ კუბ. მეტრ წყალს და ღიათ გაზიმიერებს ქალაქის ჰავას. საჩუავი და სამეცნიერო-კომუნალური დანიშნულების წყლის სიუხვე შესაძლებლად განდის ქალაქის ქუჩებისა და მოედნების უხვად მოსხეულება-გარისებებს, პარკებისა და სკერების რეგულარულ მოწყვებას. მათათა მთა და თბილისის სხვა მიდამოები ტყით დაიფარება. თბილისში მტვერი და ბული ნაკლებ შემოვა, მათ ნაცვლად ქალაქში ნელი სიონ შემოიჭრება.

„თბილისის ზღვაზე“ მოწყვობა თევზზე მეურნეობა და წყლის სპორტის სადგურები. „თბილისის ზღვაზე“ ირგვლივ გაშენდება კურორტები პლიაზებით, კოტევებით, დასაცენტრებით სახლებით, დაიგეგმება და გაშენდება კულტურისა და ღამებისათვის ახალი პარკები, ჩევრი დებაზ-ბაზე კადევ უფრო გამშვენირდება და მომხიბლავი გახდება.



აქ შედებნება „თაოლისის ზღვა“.

სამგორის მშენებლობის ძირითადი დანიშნულებაა თბილისის მახლობელი მიწების მოჩუპვა და ინტენსიური სოფლის მეურნეობის გაჩაღება.

მორჩუპვის შემდეგ ზემო სამგორის მიწებზე (არსებული 24 კოლმეურნეობის წარმოების ძირებულ გარდაქმნასთან ერთად) მოჩუპვის 18 აბალი კოლმეურნეობა. არსებულ 3.700 კომტს 15.000 სული მცხოვრებით მიემატება 16.000 სული (4.000 კომლი), რომელიც გამოსახლდება საქართველოს შეიცდროდ დასახლებული და მთავრიანი რაიონებიდან.

დაისურაცებული ფართობი ნეტო გაზირდება ერთი სამაც და ის შემდეგნაირად განაწილდება: ბალი — 6.000, ვენაძი — 5.500, ბოსტანი — 7.000 და ინტენსიური მემინდვრეობა საკედები და სასურსათო კულტურებით — 19.000 ჰექტარი. გარდა ამისა, გაშენდება სამეურნეო დანიშნულების და ერთი საჭინააღმდეგო ტყე — 1.500 და მინდონსაცავი ტყის ნარგავები — 1.350 ჰექტარზე. სარჩუავი ქსელი დაიგერს 3.200, გვალვანი და არსებული გზები — 1.100, სპეც-დანიშნულების და სხვადასხვა არგანიზაციების მიწები — 1.800 ჰექტარი, შედარებით ნაკლებ გამოსაყენებელი ფართობი შეაღენს — 5.930 ჰექტარს, 2.500 ჰექტარს დაიკავებს ქალაქის ახალი ზომები და წყალსაცავი.

ხარისხობრივად და რაოდენობით დიდათ განვითარდება მეცხველეობა. კოლმეურნეობებში პირადი სარგებლობის პირუტყვას გარდა დამატებით მთაშენებენ: ძროხას — 4.000, დედალორს — 1.000, ცეკვასა და თხას — 30.000 სულს, ქათამს — 20.000 ფრთას, ფუტკას — 5.000 სკას; გაჩაღება აგრეთვე მეაბრეშემეობაც. ამაზე ნაკლები როდი იქნება პირადი სარგებლობის მეცხველეობაც.

ამნაირად გაიშლება საკოლმეურნეო მაღალპროდუქციული წარმოება, რომელიც თბილის, რუსთავს და მახლობელ კურორტებს უნდა მიაწვდის საღრიო ნუგბარ უზრუნველყოფა, ბოსტანი, ქორფა, ბოსტრეულის, მოუხდელ რეს, ახალ ნაღებს, მაწინას, არავანს, კვერცხს, ხორცს, თაფლსა და სხვა ძვირფას მაღლუშებად და მცირეტრანსპორტულ პროდუქციას.

სოფლის მეურნეობის საერთო შემოსავალი, შესაღარის ფასებით, გაღიღდება დაახლოებით 20-ჯერ (280 მლნ. მანეთი; ნაცვლად 14 მლნ. მანეთისა). ამ მშენებლობის პროცესში ერთხელ კიდევ მთელი სიძლიერით გამოვლინდება საკოლმეურ-

ნეო წარმოების აურაცხელი უპირატესობანი, უფრო ფართოდ გაიშლება საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი ნიჭი საესპერიტ კეთილმოწყობილი სოციალისტური სოფლების მშენებლობაში. მორჩული მაწების სასოფლო-სამეურნეო ათვა-სება — მოწინაც საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაცია მთელ სამელიორაციო რაიონში დაგდება რამდენიმე ასეული მილიონი მანეთი, მაგრამ გამართული სისხლჭარბი მეურნეობა დიდი გარდამეტით და უმოკლეს დროში აანაზღაურებს ამ დანასაღვეს.

* * *

სამგორის მშენებლობა ფართო ფრონტით და მაღალი ტემპით მიმდინარეობს. სულ უფრო და უფრო იზრდება მუშაობის მასშტაბი. ზედა მაგისტრალური არხის ტრასაზე უკვე მოწყობილია 4 სააღმშენებლო უბანი: უკარმის, ვაზიანის, ლილის და მდაშე ტბების არხზე განაშენებულია მბურღავების, მცენარებელთა, მეექსიკატრონების და სხვათა ბრივადები. ექვე არიან მთელი საქართველოს სხვადასხვა კუთხოდან ჩამოსული მრავალრიცხვობაზე კოლმეურნები. მშენებლობა აღჭურვილია მოწინაც ტექნიკით. ეს მუშაობს 5 სკრეპ-რი (თოთოეული ერთი ჩაბოვლით თხრის 13,5 კუბ. მეტრ მცის და ყრას მინებულ ადგილზე, რითაც რამდენიმე ათასი კაცის მაგიერობას ასრულებს), 6 ბულდოზები, 2 ბრომებ გრუიდერი, 3 საბურღალი აგრეგატი და სავა მრავალი ტექნიკური საშუალება.

სამგორის მშენებლობა მთლიანად და მაღალხარისხოვნად შესრულდება. მისი სანალბომეურნეობრივი უცემერიანობა გაღდა აჭარებებს ჩვენს ყველაზე თაბაზ გარაუდებს. მის თავდება შემოქმედებითი საქართველოს ის დიდი პათონი, რომლითაც აღტკინებულია ამ საქმეზე მომზავე ყველა კოლმეურნე და კვალიფიციური მტება, ინუინერი და ტექნიკონი, ქალი და ქაცი, სოფლელი და ქალაქელი. წარმატება უდავოა, რადგან ქართველი ხალხის ამ მუშაობას ხელმძღვანელობს საბჭოთა მთავრობა და კომუნისტური პარტია, მათ შრომითი ენთუზიაზმის ურთებს ასამის საყვარელი ბელადის დღი სტალინის შურადება, მზრუნველობა და დაბმარება.

აბრაზიული გასაღები და გათი გამოყენება

დავით გავაჩიძე გვირი

ტექნიკის შეცნოებითი კონდიტორი

აბრაზიულის სახელწოდებით გაერთიანებულია მასალები, რომლებიც ხევის, ლესვისა და გაპრიალების მიზნებისათვის იხმარება. ამ მასალებმა ფურთო გამოყენება პპოვეს ლიიონდამმამუშავებელ მრეწველობაში.

მანქანის ნაწილებისა და მექანიზმების ზომებისა და ფორმების სიზუსტე, მექანიზმებისა და მათი ნაწილების ხარისხი, ურთიერთშემცვლელობა, შექანიზმების მედეგობა ცვეთისა და კორნზის მიმართ, უდიდესი სიმტკიცას მქონე და სალი ლითონების დამუშავება ბურბუშელას მოხსნით და სხვა,—უმთავრესად აბრაზიული მასალებით ხორციელდება.

მაგალითად, თუ ავილებთ საავტომობილო, სატრაქტორო და საავიაციო მოტორების ან ლითონ-მჭრელი ჩარხების მშენებლობას, ხელსაწყოთა და ზუსტი მანქანების დამზადებას, აბრაზიული მასალები აქ ფართოდ იხმარება. ამ მანქანების ნაწილები მზადდება ზუსტი ზომებით, მათი დამუშავებული ზედაპირი კი საუკეთესო ხარისხის უნდა იყოს, რასაც, უმთავრესად, აბრაზიული მასალებისაგან დამზადებული მჭრელი იარაღებით აღწევენ.

გარდა ლითონების დამუშავებისა, აბრაზივები ფურთოდ იხმარება წარმოების სხვადასხვა დარგებშიც: ხის, ჩვეულებრივი და ოპტიკური მინის, ძვირფასი ქვების, მარმარილის, ძვლების, რქების, ტყავის, პლასტიკური მასების, მუყაოს და სხვა მასალების დასამუშავებლად.

აბრაზივებით დამუშავებას დიდი ხის ისტორია აქვს. პრაქტიკაში მან პირველად გამოყენება პპოვა სამყაულების, სანაღირო, საომარი და სხვა იარაღების დამზადებისას. იმ დროს ლითონის ნაკეთობათ, ძვლებს, რქებს და სხვა მასალებს სალი ბუნებრივი ქანებით ლესავდნენ.

ტექნიკის განვითარებასთან ერთად მოთხოვნილება აბრაზიულ მასალებზე გაიზარდა. ბუნებაში მოპოვებული მზამზარეული აბრაზიული მასალები

ვეღარ აქმაყოფილებდნენ გაზრდილ მოთხოვნილებებს, ამიტომ წარმოების სხვადასხვა დარგებისათვის დამზადებულ იქნა ახალი, ხელოვნური იარაღები.

აბრაზიული მჭრელი იარაღები მზადდება აბრაზიული ფხვნილისა და შემკვრელი მასალებისაგან. აბრაზიული ფხვნილების მარცვლების ზომები უძილება სხვადასხვა იყოს: 2,5-დან 0,005 მმ-დე. აბრაზიულ მჭრელი იარაღში ეს მარცვლები მუშაობენ ისე, როგორც საჭრისები მრავალსაჭრისიან იარაღში. ამიტომ აბრაზიული მარცვლების სისალეს დიდი მნიშვნელობა აქვს. ცნობილია, რომ ლითონიდან ბურბუშელას მოსახლეობად მჭრელი იარაღის სისალე დასამუშავებელი ლითონის სისალეზე გაცილებით მეტი უნდა იყოს.

აბრაზიულ მარცვლებს აქვს მრავალზახნაგოვანი, მახვილი და სხვა ფორმა (იხ. სურ. 1 და 2).


აბრაზიული მასალის სისალეს საზღვრავენ სხვადასხვა მეთოდით. ყველაზე მარტივი მეთოდია გაზომვა მოსის სკალით. ეს არის შედარებითი მეთოდი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: გვაქვს სპეციალურად შერჩეული 10 ან 7-ეტი მინერალი, რომელთა სისალე პირობითად ფასდება 1-დან 10-დე (იხ. ცხრილი).

ცისალის ცხრილი

ალმასი	10,0	მინდვრის შპატი	6
კარბონატი	9½	აპატიტი	5
კორუნდი (ზელოვნური)	9½	ნდნობი შპატი	4
ლალი	9	კირპეატი	3
ტოპაზი	8	თაბაშირი	2
კვარცი	7	თალკი	1

თალკის სისალე მიღებულია ერთის ტოლად, იღმისას კი 10-ის; ყველა სხვა მინერალი სისალის მიხედვით მოქცეულია მათ შორის.

აბრაზიული მასალის სისალის განსასაზღვრავად იღებენ ამ მასალის ნატესს და შეეცდებიან მოსის სკალაზე სისალის მიხედვით დალაგებული მინერალების გაკაშვრას და იმ მინერალზე შეჩერდებიან, რომელზედაც საცდელმა აბრაზიულმა მასალამ ნა-



ნახ. 1. კორუნდის აბრაზიული მარცვლები.

კაწრი ვერ დატოვა. ამ შემთხვევაში დაასკვნიან, რომ ალებული აბრაზივის სისალე მოქცეულია ამ ორ მინერალს შორის.

ცხადია, ეს ხერხი მუდამ როდი მოგვცემს დამაკ-მაყოფილებელ შედეგს, სისალის უფრო ზუსტი განსაზღვრა წარმოებს ასე: წინასწარ აწონილი და ცდისათვის მომზადებული ლითონის ორ ფირფიტას შორის ჩაყრიან გამოსაცდელი აბრაზივის მარ-ცვლებს და წნევის ჭვეშ ხეხვენ. ამის შემდეგ ლი-თონის ფირფიტებს ხელახლა აწონიან. მათი წონა აბრაზივის მარცვლებისაგან ბურბუშელას მოხსნის გამო შემცირდება; ლითონის ფირფიტების წონის შემცირების მიხედვით მსჯელობენ აბრაზივის სი-სალეზე და მის ხეხვის უნარზე.

აბრაზივებს, სისალის გარდა, უნდა ახასიათებდეს მარცვლების სიბლანტე. რომელიც მათ ანი-ჭებს უნარს დაუმსხვრევლად გაუძლონ გარედან მცყენებულ ძალებს (სიმტკიცის ზღვრებში). აბრა-ზიული იარაღის მუშაობის დროს აბრაზიულ მარ-ცვლებზე მოქმედობს ძალა, რომელსაც ჭრის ძა-ლას უწოდებენ. ჭრის ძალას შეუძლია ეს აბრაზი-ული მარცვალი ვადაზე ადრე გამოფხვნას აბრაზი-ული იარაღის მუშა-ზედაპირიდან. აბრაზიული მა-სალის სიბლანტე ისეთი უნდა იყოს, რომ სახეხმა-მარცვალმა განსაზღვრული დროის განმავლობაში იმუშაოს იარაღის მუშა-ზედაპირზე. დაჩლუნების შემდეგ აბრაზიული მარცვალი უნდა გამოიფხვნას და წარმოქმნას ახალი მჭრელი წიბო (სურათები 2 და 4).

მე-3 და მე-4 სურათებზე ნაჩვენებია აბრაზიუ-ლი მარცვლების მჭრელი წიბოები მახვილ და გა-ცვეთილ მდგომარეობაში. გაცვეთა მოხდება დაახ-1

ლოებით ისე, როგორც მეოთხე სურათზეა ნაჩვე-ნები. ა—აბრაზიული მარცვლებია, ბ კრასხუნების წრის შემკვრელი მასა. იმ უნარს, რომლის შესუდ-ვითაც მუშაობის პროცესში დაჩლუნებული მარ-ცვალი უნდა გამოიფხვნას და ახალი მჭრელი წიბო წარმოქმნას, აბრაზივის თვითლესვის უნარი ეშვ-დება.

აბრაზივის შექანიცური თვისებები დამკიდებუ-ლია მასალის შემაღენლობის სისუფთავეზე: გა-რეშე მინარევები აუარესებენ აბრაზიულ თვისე-ბებს.

აბრაზიული მასალები ორ ჯგუფად იყოფა: ბუ-ნებრივ და ხელოვნურ აბრაზივებად. ხელოვნური აბრაზივები თავისი ბუნებით ბუნებრივზე გაცი-ლებით მაღლა დგანან. ამიტომ თანამედროვე ტექ-ნიკაში მათ ძალზე ფართო გამოყენება მოიპოვეს.

გუნებრივი აბრაზიული მასალები

წარმოებაში იხმარება შემდეგი ბუნებრივი აბ-რაზივები: ა) კორუნდები (მათ შორის ზუმფარაც), ბ) კაჟი, გ) კვარცი, დ) გრანატი, ვ) მინერალ და ე) ალმასი.

კორუნდი ბუნებაში გვხვდება სამი ძირითა-დი სახით: კეთილშობილი კორუნდები (ლალი, სა-ფირნი), ჩვეულებრივი კორუნდები და ზუმფარა. აბრაზიული იარაღების დასამზადებლად ხმარობენ ჩვეულებრივ კორუნდებს და ზუმფარას.

ჩვეულებრივი კორუნდი შედგება კრისტალურ მდგომარეობაში მყოფ ალუმინის ეანგისა და სხვა უმნიშვნელო მინარევებისაგან. კორუნდები ჩა-ლის-ყვითელი ფერის ან მუქი-ნაცრისფერია. მისი კრისტალები არაგამჭვირვალეა და ფორმით უახ-ლოვდებიან კუბს. კორუნდის აბრაზიული მარ-ცვლები გახლეჩის დროს მახვილ მჭრელ წიბოებს წარმოქმნან. ბუნებრივი კორუნდების სისალე მოოსის სკალაზე 6-დან 8-დე იცვლება.

ბუნებრივი კორუნდებიდან ამზადებენ სახეს ფხვნილებს, აბრაზიულ ქაღალდს და სახეს ჭრეებს. ბუნებრივი კორუნდები დამტვრევის დროს რა-ცონნალური ფორმის მარცვლებს წარმოქმნან (სურ. 5).

ზუ მფარა თავისი ჭიმიური შემაღენლობით მიეკუთვნება კორუნდების ჯგუფს. მისი სისალე უფრო მცირეა, ვიღრე ბუნებრივი კორუნდებისა, იგი მეტ მავნე მინარევებს შეიცავს, ვიღრე კო-რუნდები, და ამის გამო ძირითადად აბრაზიული

ფეხნილების სანით იშმარება. ზუმფარას ფეხნილებს ქეჩის ელასტიკურ სახეს წრეებზე და ზუმფარას ფეხნილის ფურცლების დასამზადებლად ხმარობენ. როგორც ქეჩის ელასტიკური წრეები, ისე ზუმფარას ფურცლები ლითონის ზედაპირის გასაკრიალებლად იშმარება.

კაჟი გვევდება ბუნებაში მასივური მთის ქანების, ძარღვებისა და კენჭების სახით. მისი სისალე მოოსის სკალაზე 7-დან 8-დერცელება, სააპროზივო წარმოებაში კაუი იქმარება აბრაზიული იურცლების დასამზადებლად, რომლებსაც ლითონებს ზედაპირების გასაკრიალებლად ხმარობენ.

კვარცი მთის ქანია, რომელიც დიდი მასივი-
ბისა და ქვიშის სახით გვხვდება. მისი სისალე მოო-
სტეს სკალზე 8-ს უახლოვდება. ბუნებაში გვხვდება
აგრეთვე კვარცის ქვიშიანი ქვები, რომლებიც წარ-
შატებით იხმარებოდა ძველად. მაგალითად, მე-18
საუკუნეში ზარბაზნის ლულისათვის ზუსტი ზომის
მისაცემად კვარცის ქვიშიანი ქვებით ხეხვას მი-
მართავდნენ. აბრაზიულ ნაკეთობათა წარმოებაში
კვარცის ქვიშა იხმარება წვრილი ფხენილების სა-
ხით. წინათ კვარცი იხმარებოდა აგრეთვე აბრა-
ზიული ფურცლების დასამზადებლად. ამ ბოლო
დროს კვარცს იყენებდნენ ისეთი სახესი წრეების და-
სამზადებლად, რომლებიც უცენტრო ხეხვის დროს
იხმარება; აქ კვარცის სახესი წრეები მარეგული-
რებული სახესი წრეების როლს ასრულებენ. ამრი-
გად, კვარცის მარეგულირებული სახესი წრეებით
შეგვიძლია შეცვალოთ დეფიციტური აბრაზივის
სახესი წრეები.

გრანატი ძლიერ ლამზი მუქი-წითელი ან
ალუბლის ფერისაა. მისი სისალე იცვლება 7-დან
8-დან. აბრაზიულ მრეწველობაში გრანატს იშვია-
თად იყენებენ, ისიც მხოლოდ აბრაზიული ფურც-
ლების დასამზადებლად.


მანქაფა ფორიანი ვულკანური მინაა, რო-
მელიც ვულკანური ამოფრევების დროს მიიღება.
მინქაფას სისალე უდრის 6. მისაგან თლიან აბრა-
ზიულ ძელაკებს და იყენებენ ლითონების ხეხვის
და ლესვის საქმეში, აგრეთვე ხის ზედაპირის და-
სამუშავებლად. ლითონების მილესვისას მინქაფა
უფრო კარგ შედეგს იძლევა, რადგან დამუშავე-
ბულ ზედაპირზე ნაკაწრებს არ ტოვებს.

ა ლ მ ა ს ი კ რ ი ს ტ ი ა ლ უ რ ი ა გ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ნ ა ხ შ ი რ -
ბ ა დ ი ა , რ ა მ ლ ი ს ს ი ს ა ლ ე უ დ რ ი ს 10-ს . ა ლ მ ა ს ზ ე ს ა -
ლ ი მ ა ს ა ლ ა ბ უ ნ ე ბ ა შ ი ჭ ე რ - ჭ ე რ ო ბ ი თ ა რ ა რ ი ს ც ნ ი -
ბ ი ღ ი თ ა რ ე წ ხ ე ლ ვ ც ნ უ რ ა ღ მ ი უ ლ ი ა თ . ა ლ მ ა ს ი ხ ა -

სიათებრ უმაღლესი აბრაზიული თვისებებით და
ყველაზე უკეთეს აბრაზიულ მასალად როგორც
ალმასის ფართო გამოყენებას აბრაზიულ მრეწველობაში ხელს უშლის მისი დეფიციტურობა და
სიძვირე. დიდი სისალის მიუხედავად, ალმასი მყი-
დეა, იგი ვერ უძლებს დარტყმით ძალებს და ძლი-
ერ მგრძნობარება ტეპერატურის ცვლილებები-
სადმი. თუ მუშაობისას გახურებულ ალმასს წყლის
წვეთი მოხვდა, ის სკლომით იშლება, სახმარად
უვარგისი ხდება.

ტექნიკური ალმასი მთლიანი კრისტალების, მარ-
ცვლებისა და მტკვერის სახით იხმარება. მთლიანი
კრისტალები გამოყენებულია სახები წრეების შე-
სწორება-გადალესისათვის. სალი შენაღნებიასგან
დამზადებულ ნაკეთობებს აღმასის საჭრისებით
ჩარხავენ. ალმასის მარცვლები და მტკვერი იხმა-
რება ალმასის საჭრისების გასაღესად. აღმასის
მარცვლებით და მტკვერით ამზადებენ სახე
წრეებს, რომლებითაც ლესავენ ძლიერ სპასუნის-
მგებლო მჭრელ იარაღებს.


ამ ბოლო ღროს აღმასის ნამცეცებიდან აშშადე
შენ ე. წ. აღმას-ლითონურ ფანქრებს, რომლებიც
ფართოდ იქმარება, როგორც აღმასის შემცვლე-




ლუბი, სახები შრეების შესწორება-გადალესვისათვის.

ხელოვნური აპრაზიული მასალები

ხელოვნური აპრაზიული მასალებიდან გამოყენებულია: მინა, კარბორუნდი, ბორის კარბიდი და ელექტრო-კორუნდი. ხელოვნურ აპრაზიულ მასალებს მიეკუთვნება აგრეთვე ჭარმოების ნარჩენა—ზოგიერთი წილები.



ნაჩ. 3



ნაჩ. 4

მინა. ჩვეულებრივი დაფხვნილი მინა იხმარება აპრაზიული ფურცლების დასამზადებლად. ამ ფურცლებით კი სარგებლობენ ხის, ტყავის და ძვლის ნაკეთობათა სუფთა ზედაპირების მისაღებად.

კარბორუნდი ანუ სილიციუმის კარბიდი ფართოდაა გამოყენებული ლითონების დასამუშავებლად. იგი მიიღება ელექტროლუმელებში კვარცის ქვიშისა და ნახშირბადოვანი მასალებისაგან (ნაკობის კოქსი, ანტრაციტი). ეს კაზი ელექტროლუმელებში დაახლოებით 2000 გრადუსამდე გახსრებით გვაძლევს კარბორუნდს. კარბორუნდის ამ მასალას შემდგომ ამტვრევენ სპეციალურ სამტვრევ მანქანებში, მიღებულ ფხვნილს ცრიან და ახარისხებენ მარცვლების ზომის მიხედვით. ამრიგად მომზადებული კარბორუნდის ფხვნილი იხმარება სახები ძელაკების, სახები ქალალების და სხვა აპრაზიული მასალა-იარაღების დასამზადებლად.

ტექნიკური კარბორუნდის ფერი იცვლება მწვანიდან შავამდე. კარბორუნდი, როგორც აპრაზიული მასალა, სჭობნის ბუნებრივ აპრაზიულ მასალებს. მისი სისალე მოოსის სკალაზე $9\frac{1}{2}$ -ს აღწევს, ე. ი. ჩამორჩება მხოლოდ ალმასს და ბორის კარბიდს. კარბორუნდის კრისტალებს ქვს მახვილი მჭრელი წიბოები და გლუვი წანაგები.

მრავალი საუკეთესო აპრაზიული თვისების მიუხდავათ, კარბორუნდს უარყოფითი მხარეც აქვს: ეს არის მისი სიმყიფე. მანქანათმშენებლობაში კარბორუნდი იხმარება თუჭის, ბრინჯაოს, თითბე-

რის, ალუმინის, ზესალი შენადნების, ოპტიკურა მინის და სხვა მასალების დასამუშავებლად. არის ორი ხარისხის კარბორუნდი: 1) ჩვეულებრივი შავი ფერის კარბორუნდი და 2) მწვანე ფერის ექსტრა-კარბორუნდი. ჩვეულებრივი შავი ფერის კარბორუნდი ნაკლებ სალია, ვიდრე მწვანე ფერის კარბორუნდი, სამაგიეროდ მეტი სიბლანტით ხასიათდება, ე. ი. შეუძლია გაუძლოს ჭრის მეტი ძალას. ამის გამო ჩვეულებრივი შავი ფერის კარბორუნდებისაგან დამზადებულ აპრაზიულ იარაღებს იყენებენ აგლეჭვით ანუ შავ სამუშავებზე, მწვანე კარბორუნდს კი — სუფთა დამუშავების ოპერაციებში. მწვანე ექსტრა-კარბორუნდისაგან დამზადებული სახები წრეები სალი მჭრელი იარაღების სალესად და სხვა აპრაზიული მასალებისაგან დამზადებული სახები იარაღების შესწორება-გადალესვისათვის იხმარება.

ბორის კარბიდი მიიღება ბორის შეერთებით ნახშირბადთან. მისი სისალე უდრის $9\frac{3}{4}$, უახლოვდება ალმასის სისალეს და ყველა სხვა ცნობილ აპრაზივებზე მეტია. ბორის კარბიდის კრისტალები არაგამჭვირვალეა, მათ მახვილი მჭრელი წიბოები აქვთ, მაგრამ მასალა საკმაოდ მყიფეა. ბორის კარბიდი იხმარება ფხვნილებისა და აპრაზიული პასტების სახით მიღესვითი ოპერაციების შესასრულებლად. ბორის კარბიდისაგან დამზადებული სახები წრეებით სარგებლობენ, როგორც ალმასის სახები წრეების შემცვლელებით და მჭრელი იარაღების დაყვანით ოპერაციებში.

ელექტრორუნდი აგებულების აპრაზივია. მისი ძირითადი შემაღებენელი ნივთიერებაა ალუმინის ქანგი, რომელიც კორუნდში კრისტალურ მდგომარეობაში იმყოფება. ელექტრო-კორუნდში ალუმინის ქანგი მეტი რაოდენობითაა, ვიდრე ბუნებრივ კორუნდებში, მაგნე მინარევებს კი იგი უფრო ნაკლები რაოდენობით შეიცავს. ელექტრო-კორუნდის აპრაზიული მარცვლები უფრო მტკიცეა, ვიდრე კორუნდისა. ყველა ამ თვისების გამო მან ფართო გავრცელება პპოვა აპრაზიულ ტექნოლოგიაში. ელექტრო-კორუნდის სისალე კარბორუნდთან შედარებით მცირეა, ბუნებრივ კორუნდთან შედარებით კი — მეტი. ელექტრო-კორუნდის აპრაზიული მარცვლები ხეხვისას წარმოქმნილი დიდი ჭრის ძალების დროსაც კარგად მუშაობენ. ამიტომ ელექტრო-კორუნდის ჭარმატებით შმარიბენ დიდი რღვევითი წინაღობის

შექმნებული თოროვნების, კურძოთ, ფორმადების დამუშავების დროს.


ხელოვნური ელექტრო-კორუნდების დასამზადებელ ნედლეულს წარმოადგენენ ბოქსიტები. ელექტრო-კორუნდის მისაღებად ბოქსიტებს ნახშირბადთან ერთად ყრიან ელექტრო-ლუმელში, სადაც 2000 გრადუსზე ბოქსიტებიდან გამოიყოფა მინარევები, დახალასებული ალუმინის უანგი კი კრისტალდება და ბლოკების სახით მიიღება ელექტრო-კორუნდი, რომლის დამარცვლება და დახარისხება სჭარმოებს ისე, როგორც კარბორუნდისა.

ელექტრო-კორუნდის სისალე $9\frac{1}{4}$ -ს აღწევს. სისალე დამოკიდებულია მასში შემავალი ალუმინის უანგის პროცენტულ რაოდენობაზე; რაც მეტია ელექტრო-კორუნდში ალუმინის უანგი, მით უკეთესი ხარისხისაა იგი.

არსებობს სამი ხარისხის ხელოვნური კორუნდები: 1) შავი კორუნდი, რომელიც 92%-დე ალუმინის უანგს შეიცავს კრისტალურ მდგომარეობაში, 2) ნორმალური ხელოვნური, რომელშიც შედის 92—97%-დე ალუმინის უანგი, ეს კორუნდია ან მუქი-ყავის ფერისა; 3) თეთრი ანუ ექსტრა-კორუნდი, რომელიც შეიცავს 98—99%-დე ალუმინის უანგს კრისტალურ მდგომარეობაში. ეს კორუნდი ყველაზე მეტად ძებულია, მის დასამზადებელ ნედლეულს წარმოადგენენ არა ბოქსიტები, არამედ სუფთა თიხამიწა. თეთრი ელექტრო-კორუნდი იხმარება დეტალების სუფთა ხეხვის დროს, განსაკუთრებით საპასუხისმგებლო მილესვით სამუშაოებში და ზოგიერთ სრუა პროცესებში.

ხელოვნურ აბრაზივებს მიეკუთვნება აგრეთვე ლითონების (ქრომი, მანგანუმი და სხვ.) ალუმინო-თერმიული პროცესით გამოღნობის დროს გამოყოფილი წილა. ეს წილები დიდი რაოდენობით შე-

ცავენ ალუმინის უანგს კრისტალურ მდგომარეობაში, რომელიც ამ წილებს აბრაზიულ თვისებებს ანიჭებს.



და 5

ამ წილების სისალე მოსის სკალაზე იცვლება 8 დან 9-დე, რაც დამოკიდებულია წილაში შემავალი ალუმინის უანგის პროცენტულ რაოდენობაზე და წილის სტრუქტურულ აგებულებაზე.

კორუნდის შემცველი წილები, როგორც აბრაზიული მასალა, იხმარება სახეხი წრეების დასამზადებლად და აბრაზიული ფხვნილების სახით. მაგალითად, ლითონური მანგანუმის წილისაგან დამზადებული სახეხი წრეები იხმარება ლითონების ხეხვისა და მურელი იარაღების ლესვის დროს. კარგ შედეგებს იძლევა წილის აბრაზიული ფხვნილები ისეთი ლითონების გაკრიალებისას, რომლებიც კორუნდების ან ზუმფარის ფხვნილებით მუშავდებოდა.



ნახევარგამტარების უფლება

3. ე. ღაშვარევი

უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

ნახევარგამტარების ფიზიკა — მყარი სხეულის თანამედროვე ელექტროფიზიკის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა განყოფილება.

არც ისე შორსაა ის დრო, როცა ნახევარგამტარები არავის აინტერესებდა. ელექტროტექნიკოსები, სარგებლობდნენ რა გამტარებითა და იზოლატორებით, ნახევარგამტარებიდან იყენებდნენ მხოლოდ ელექტროლიტებს.

ახლა მდგომარეობა ძირიანფესვიანად შეიცვალა. ნახევარგამტარები სწავლულთა სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იპყრობენ. ნახევარგამტარებში მიმდინარე პროცესების შესწავლა ეხმარება მეცნიერებს მყარი სხეულის თეორიის ჩამოყალიბებაში და ელექტრულ მუხტებსა და ჩივთიერებას შორის კავშირის უფრო ღრმად გარკვევაში. ინტერესი ნახევარგამტარებისადმი განსაკუთრებით გაიზარდა უკანასკნელ ღროს — ამ სხეულთა ტექნიკური გამოყენების ახალ პერსპექტივებთან დაკავშირებით.

ნახევარგამტარები გამოყენებულია ცვლადი დენის გამმართველების მშენებლობისათვის, რომლებიც უალრესად მარტივია ექსპლოატაციაში და რომელთა მარგი მოქმედების კოეფიციენტი 50%-ს აღემატება. მყარი ნახევარგამტარიანი გამმართველები კავშირგაბმულობის ტექნიკაში იხმარება როგორც გადასატანი რადიოსატელეფონობის დადგმულობების არსებითი ელემენტები, როგორც „ჰარმონიკების გენერატორი“ აპარატებში, რომლებითაც ხორციელდება მრავალრიანი კავშირი ქალაქებს შორის და ა. შ.

ნახევარგამტარიანი თერმობატარიები სითბურენერგიას გარდაქმნიან ელექტროენერგიად ისეთი მარგი მოქმედების კოეფიციენტით, რომელიც ახლა სამანევრო ორთქლმავლის მარგი მოქმედების კოეფიციენტს უახლოვდება.

„ვენტილიანი ფოტოელემენტები“, რომლებიც ნახევარგამტარებიდან მზადდება, ყველაზე უფრო ეფექტურად გარდაქმნიან სინათლის ენერგიას ელექტრულ ენერგიად. მათი მარგი მოქმედების კოეფიციენტი აღწევს ერთ პროცენტს...

ნახევარგამტარები იხმარება აგრეთვე ძაბვის სტაბილიზატორების, ოქსიდური იზოლაციის და სხვ. დასამზადებლად.


გავეცნოთ უფრო დაწვრილებით ნახევარგამტარების თავისებურებებს, მათში მიმდინარე ფიზიკურ პროცესებს.

ნახევარგამტარები წარმოადგენენ იმ სხეულთა მრავალრიცხვან კლასს, რომლებიც მდებარეობენ გამტარებსა და დიელექტრიკული შორის. პირველთა კუთრი წინაღობა განიზომება ომის მეასიათასედებით, მეორეთა — მრავალი მილიარდი ომით. განსაკუთრებით საინტერესოა ელექტრონული ნახევარგამტარების კლასი, რომლებშიც ისე, როგორც მეტალში, დენის გავლას ქიმიური ცვლილებები არ ახლავს.

ნახევარგამტარები გამტარებისაგან განსხვავდებიან არა მარტო ნაკლები ელექტროგამტარობით, არამედ მთელი რიგი სხვა თვისებებითაც.

სრულიად სხვადასხვანაირად რეაგირობენ გამტარები და ნახევარგამტარები, მაგალითად, ტემპერატურის ცვლილებაზე. გამტარებს წინაღობის უარყოფითი ტემპერატურული კოეფიციენტი აქვთ: ტემპერატურის გადიდებისას მათი ელექტროგამტარობა მცირდება. ნახევარგამტარებს (გრეთვე დიელექტრიკებს), პირიქით, დადებითი ტემპერატურული კოეფიციენტი ახასიათებს; მათი ელექტროგამტარობა ტემპერატურის ზრდის შესაბამისად იზრდება. საკმაოდ დაბალ ტემპერატურებზე გამტარების ელექტროგამტარობა მკვეთრად იზრდება და ჩვენ ვნებდებით ახალ მოვლენას — ზეგამტარობას. ნახევარგამტარები კი საკმაოდ გაცივებისას სრულიად ჰყარგავენ ელექტროგამტარობას და პრაქტიკულად იზოლატორები ხდებიან.

ნახევარგამტარების მეორე თავისებურებას წარმოადგენს მკვეთრი დამკიდებულება დამზადების პროცესში ნიმუშის დამუშავების ხასიათისაგან, აგრეთვე თუნდაც მცირდები მინარევის ყოფისაგან სხეულში. აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა წესით დამუშავებული ზოგიერთი ნახევარგამტარების ელექტროგამტარობა რამდენიმე ათასჯერ ცვლილობა დამუშავების ხასიათის მიხედვით. ნახევარგამტარების ეს თავისებურება შესაძლებლობას იძლევა ნებისმიერად ვცვალოთ მათი ელგამტარობა ფართო ზღვრებში, რაც, რასაკვირვევია, მეტად ხელსაყრელია ტექნიკური თვალსაზრისით.



გამტარებში ელექტრობა გადააწევთ
თავისუფალ ელექტრონებს.

ნახევარგამტარებში ელექტრონულ
დევიაცია ერთად აღილი აქვს „ნახევარგა-
მტარებში“ დევიაცია. გარეგანი ელექტრონული ძაბ-
ზის „გავლენით ელექტრონების გადასვლა

მაგრამ, როგორ ხორციელდება ელენის გავ-
ლა ნახევარგამტარებში?

ელექტროგამტარობის ფიზიკურ ბუნებას გან-
საზღვრავს იმ ელექტრული მუხტების ბუნება,
რომლებიც ელექტრული დენის შექმნაში იღებენ
მონაწილეობას. არსებობს ორი ტიპის მუხტები:
ელექტრონები და იონები. ელექტრული მუხტის
მტარებლები აპირობებენ სამი სახის ელგამტარო-
ბას: ელექტრონულს; იონურს და შერეულს. პირ-
ელ შემთხვევაში ელექტრონების გადატანას ანხორ-
ციულებენ ელექტრონები, მეორეში — იონები,
მესამეში — ერთნიც და მეორენიც.

ელექტრონული გამტარობა ახასიათებს მეტა-
ლუბსაც, დიელექტრიკებსაც და ნახევარგამტა-
რებსაც. იმისათვის, რომ აღვილი ჰქონდეს ელექ-
ტროგამტარობას, ნივთიერებაში უნდა იყოს
ელექტრონები, რომლებიც შეკავშირებული არ
აქნებიან ატომებთან — ეგრეთშოდებული „თა-
ვისუფალი ელექტრონები“. ნახევარგამტარებში
თავისუფალი ელექტრონები გაცილებით ნაკლე-
ბია, ვიღრე მეტალებში. ელექტრონების მოძრა-
ობით გამოწვეული დენი ნახევარგამტარებში, სხვა
თანაბარ პირობებში, უფრო სუსტია, ვიდრე მეტა-
ლებში.

თავისუფალი ელექტრონები ტევაულებრივ პი-
რობებში უწესრიგოდ მოძრაობენ. რაც უფრო მა-
ღლალია ტემპერატურა, მით უფრო სწრაფად (სა-
შუალოდ) მოძრაობენ ელექტრონები. მაგრამ
უწესრიგო მოძრაობაში არ არის უპირატესი მი-
მართულება და ამიტომ ასეთი მოძრაობა დენს არ
იძლევა. დენი რომ აღვძრაო, ქაოსური მოძრაობა
მიმართულების მქონე მოძრაობად უნდა ვაქციოთ.
ეს შესაძლებელია, თუ სხეულს პოტენციალთა

ვრეტი — უარყოფითი სოლუსისაკენ ინ-
ცვლებს. „ნახევრების“ გადანაცვლება და-
დებითი მუხტის გადატანის ეპივალენ-
ტურია.

დაილექტრიზმი ელექტრული ცვლი
გაცვლით დენი პარაგების ფასად არ აღი-
ცვლის. ატომებისა და მოლეკულების და-
მუხტული ნაწილაკები მხოლოდ რამდე-
ნიმედ გადანაცვლებენ — დიულგეტრიკი
პოლარიზდება.

ერთგარ სხვაობას მივუყენებთ, ე. ი. მასში ელექ-
ტრულ ველს შევქმნით.

თანამედროვე ფიზიკო თერმოელექტრული და
მაგნიტური გამოკვლევების საშუალებით შესაძ-
ლებელი გახადა იმის ნათელყოფა, რომ დენის
მტარებლები ნახევარგამტარებში მარტო ელექ-
ტრონები როდი არაა. დენის მტარებლები არაან
ტრიუნვიტო ნახევარგამტარებში მოგზაური ელექ-
ტრიუნვიტი შეუცვები ადგილები, ეგრეთ წოდებუ-
ლი „ნახევრეტები“.

შევცადოთ უფრო დაწვრილებით განვიხილოთ
საკითხი. წარმოვიდგინოთ, რომ სხეულში ელექ-
ტრონები ცოტა არაა, პირიქით, ბევრია. მაგრამ
შინც არის აღგილები, რომლებიც ელექტრონებს
არ უკავია. თითოეული ასეთი ცარიელი ადგილი
„ნახევრეტი“ შეიძლება ღაიკვის შეზობელმა
ელექტრონმა. იმასთან ერთად, ნახევრეტები გადა-
ელექტრონმა ნახევარგამტარებში. ელექტრული ვე-
ლის დაფენისას ასეთი „ნახევრეტები“, საშუალოდ,
მოძრაობებით, საითენაც იმოძრავებდა დადებით
მუხტი. სწორედ ამ სახის ელექტრულ დენს ეწო-
დება „ნახევრეტების“ დენი.

მართლაც, „ნახევრეტების“ გადაადგილება შეიძ-
ლება მივამსგავსოთ ერთგარი დადებითი მუხტის
გადატანას, რომელიც აბსოლუტური სიდიდით
მარტოების მუხტს უდრის და საპირისპირო მა-
რატულებით მოძრაობს.

სწორედ ამგვარ დენს აქვს ადგილი მრავალ
ელექტრონულ ნახევარგამტარები იმ დენის პარა-
ლელურად, რომელიც თავისუფალი ელექტრონე-
ბის მოძრაობითაა გამოწვეული.

თავისუფალი ელექტრონების ჩიცვის გაღიდე-
ბა ნახევარგამტარებში „შეიძლება „ბმული“ ელექ-
ტრიუნვიტის გადანაცვლების და მოძრაობის მიმართ ერთგარ საშუალების გადატანის ეპივალენტურია.“

ტრონების „თავისუფალ“ მდგომარეობაში გადა-
ყვანის გზით. ეს ენერგიის ღარჯვების მოითხოვს.
ამ ენერგიის მიღება შეიძლება სითბოს ხარჯზე,
სხეულის მიერ შთანთქმული სინათლის ხარჯზე,
სხვა ელექტრონთან ღარჯვების ხარჯზე და ა. შ.

თუ ნახევარგამტარს მოვათავსებთ სიბნელეში,
დავიცავთ მას სინათლის სხივებისაგან, დამატები-
თი ენერგიის ერთად-ერთი წყარო შეიძლება იყოს
მხოლოდ სითბური მოძრაობა. ამიტომ ცხადი ხდე-
ბა, რომ საკმაო გაცივებისას და სიბნელეში ნახე-
ვარგამტარები მოქმედობენ, როგორც იზოლატო-
რები, ვინაიდან ყველა ელექტრონი ასეთ პირო-
ბებში „ბმულ“ მდგომარეობაში იქნება, და რომ
ტემპერატურის გადიდების მიხედვით „თავისუფა-
ლი“ ელექტრონების რიცხვი და, რაშასადამე, ნახე-
ვარგამტარის ელგამტარობა გაიზრდება.

ნახევარგამტარების ფიზიკური თავისებურება-
ნი შესაძლებლობას იძლევიან გამოვიყენოთ ისი-
ნი მრავალი შესანიშნავი ხელსაწყოს ასავებად.

ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეში, 1888 წელს,
რუსმა მეცნიერმა გ. ა. ულიანინმა ოღმოაჩინა გან-
საციფრებელი მოვლენა. ნახევარგამტარ სელე-
ნის ფირფიტაზე მან სხვა მეტალის თხელი ფენა
დაადგა და შენიშნა, რომ ასეთი ხელსაწყო განათვ-
ბისას დენის წყარო ხდება. ასე იქნა აგზული
პირველი ფირფიტების ტერმი „ჩამკეტი ფენით“.


ნახევარგამტარისა და გამტარის საზღვარზე სი-
ნათლის გავლენით აღგილი აქვს მოვლენას, რომ-
ლის შედეგადაც გამტარი და ნახევარგამტარი სა-
პირისპიროდ იმუხტებიან. სინათლის გავლენით
ელექტრონები ნახევარგამტარიდან გამტარში გა-
დადინ და მას უარყოფითად მუხტავენ. ამგვარ
მოვლენას აქვს აღგილი, მაგალითად, სპილენძ-სპი-
ლენძის ქვეუანგის საზღვარზე. მეტალიდან ნახე-
ვარგამტარში ელექტრონების გადასვლას კი აღი-
ლი არა აქვს: საზღვარი მეტალსა და ნახევარგამ-
ტარს შორის მოქმედობს როგორც „ჩამკეტი ფე-
ნა“, რომელიც ელექტრონების მხოლოდ ერთი მი-
მართულებით ატარებს.

ვენტილიანი ფოტოელემენტები, დამზადებული
ნახევარგამტარებისაგან, ემყარება „ჩამკეტი ფე-
ნის“ გამოყენებას. ისინი ყველაზე უფრო მაღალ
ტურად გარდაქმნიან სინათლის ენერგიას უშუა-
ლოდ ელექტრულ ენერგიად.

უფრო გვიან, 1920 წელს, შენიშნეს, რომ სპი-
ლენძის ფირფიტას, ერთი მხრიდან ქვეუანგამდე
დაუანგულს, სხვადასხვა წინაღობა ახასიათებს
ელექტრული დენისადმი, იმისდამიხედვით, თუ რა
მიმართულება აქვს უკანასკნელს. როცა სპილენძი
კაონდის როლს ასრულებს და, მაშასადამე, ელექ-
ტრონების ნაკადი მეტალიდან ნახევარგამტარისა-
კენ მიემართება, დენი გაცილებით უფრო მძლავ-
რია; ვიდრე მაშინ, როცა სპილენძი ანოდის როლს
ასრულებს. კონტაქტი სპილენძ-სპილენძის ქვა-
უანგი თამაშობს „ჩამკეტი ფენის“ როლს, რომე-
ლიც ელექტრულ დენს ერთი მიმართულებით ატა-
რებს. ასე შეიქმნა პირველი მყარი ნახევარგამტა-
რიანი გამმართველი — კუპროქსული გამმართვე-
ლი.

თანამედროვე ფიზიკა შემდეგნაირად ხსნის
„ჩამკეტი ფენის“ წარმოქმნას და მოქმედებას ნა-
ხევარგამტარისა და მეტალის საზღვარზე, ფენისა,
რომლის თავისებურებები გამოყენებულია კუპ-
როქსულ გამმართველებში და ვენტილიან ფოტო-
ელემენტებში. თუ შეხებაში მოვიყვანთ ორ ნაჟერ
ლითონს მათში თავისუფალი ელექტრონების
სხვადასხვა კონცენტრაციით, წარმოქმნება ღი-
ფუზიის მოვლენა, რომელიც შინაგანი გაათა-
ნაბროს მუხტების კონცენტრაცია.

ელექტრონები იწყებენ გადასვლას ერთი მეტა-
ლიდან მეორეში. ამ დროის ლითონის ერთი ნაჟერი
უარყოფითად იმუხტება, მეორე — დადებითად.
ლითონების საზღვარზე წარმოიქმნება ელექტრუ-
ლი ველი. ელექტრონების გადასვლის მიხედვით
ეს ველი იზრდება და, ბოლოს, დგება ისეთი მო-
მენტი, როცა ელექტრული ძალები წყვეტის შემ-
დგომ დიფუზიას — ელექტრონების გადასვლას
ერთი მეტალიდან მეორეში.



კუპროქსული გამმართველი დენს მხო-
ლოდ მაშინ ატარებს, როცა იგი სპილენ-
ძის ქვეუანგისაგან სპილენძისაკენ მიდის
(ელექტრონები ამ შემთხვევაში სპილენ-
ძისაგან მიღდან სპილენძის ქვეუანგის)
დენის საპირისპირო მიმართულების შემ-

თხვეგაზღვარზე წარმოქმნილი
„ჩამკეტი ფენა“ ელექტრონებს არ
ატარებს.



დაცემული ი სინათლე დამატებით ენერგიას აღლევს სპილენძის ჰესებაზე ელექტრონებს; უკანასკნელთ შესაძლებლობა ეძლივათ გაცვეთონ „ჩამცეტი ფენა“, ელექტრონების გადატანის გამო სპილენძი უარყოფითად იმუშავება, სპილენძის ჰესებაზე კი დადგითად. მათ შორის აღიძების ელექტრომამოძრავებული ძალა.

თუ გვაქვს მეტალ-მეტალის კონტაქტი, კონცენტრაციის შესამჩნევ გაღანაწილებას აღილი ექნება ძლიერ ვიწრო ფენაში კონტაქტის საზღვრის ორივე მხარეზე. ამ ფენის სისქე ძლიერ მცირეა — ატომის დიამეტრის რიგისა — 0,00000001 სმ.

სულ სხვა სურათი გვეწება, თუ შეხებაში მო-
ვიყვანთ მეტალსა და ნახევარგამტარს. ვინაიდან
ნახევარგამტარებში ელექტრონების კონცენტრა-
ცია გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მეტალში, დი-
ღუზია ამ შემთხვევაში უფრო ინტენსიური იქნება
და კონცენტრაციის შეცვლა უფრო მნიშვნელოვან
სიღრმეზე და უფრო ადრე გაგრცელდება, ვიდრე
წარმოიქმნებოდეს ელექტრული ველი, რომელიც
ხელს უშლის ელექტრონების შემდგომ დიფუ-
ზიას. იმ ფენის სიღრმე, სადაც კონცენტრაცია შე-
იცვალა, მრავალ ასეულჯერ მეტი იქნება, ვიდრე
წინა შემთხვევაში. ამ მაგალითიდან ჩანს, რომ
საზღვარზე არსებულ პირობებს შეუძლიათ გავ-
ლენა მოახდინონ ნახევარგამტარებშის ოვასებებზე.
ძლიერ შესკვამლონ მისი ელექტროგამტარობა.

ამ სურათის საფუძველზე საბჭოთა მეცნიერებ-

მა ბლობინცევმა, დავიღოვმა და
პეტრმა ახსნეს მყარი გამმართვე-
ლის მუშაობა.

අඩ මේප්‍රනියෝගීමා ගාම්පාණුවියේ, තුළ
රෝගම් ජ්‍යෙෂ්ඨලදී ගාරු සෙශ්‍යල ජ්‍යෙෂ්ඨ-
ප්‍රාග්‍යලක් මතෝලි සිස්ට්‍රූමිස් මේත්‍රාං-
නාක්‍රෝගාරුගාම්ත්‍රාරිස් එකිනාලුම්ඩා. සාක්-
ශ්‍රීමා මේප්‍රනියෝගීමා පැස්සේ, තුළ රා-
ඛ්‍රාම ගාහිනියා නාක්‍රෝගාරුගාම්ත්‍රාරියුදිසා-
ගාන් ඇග්‍රේඩුල සිස්ට්‍රූමිය්ස් දෙනියා මධ්‍ය-
ලුමද ග්‍රහිත මිච්චාරිතුවුලුදියා ගාත්‍ර-
රියුදී ගැටුවා ප්‍රාග්‍යලක් මාන්දිල්ච්‍රේ ගාම්පාණු-
බුම්ඩා ව්‍යුහභාගීයා.

უკრაინელმა მეცნიერებმა გვი-
ხმანმა და სოროკსმა მიიღეს მეტიღ
ეფუძნებული მდგრადი ფოტო-

ელემენტები, რომლებსაც ჩვენ ვუწოდეთ „ფესს“. მათი მგრძნობიარობა აღწევს 3-6 ათას მიკროამ-ჰერს ლიუმენზე. ეს ფოტოელემენტები ფართოდაა გამოყენებული მეცნიერებისა და ტექნიკის მრავალ დარგში. მუშაობა ახალი ფოტოელემენტების შექმნაზე და ძველების გაუმჯობესებაზე არ წყდება. მიმღინარეობს შესწავლა ფოტოეფექტის კიდევ ერთი კლასისა — მინერალური წარმოშობის ნახევარგამტარის მონოკრისტალებში. ამ კრისტალებში სინათლის შესვლის ადგილი დადებითად არის დამუხტიული (ვინაიდან აქ სინათლემ ამოცვესა ელექტრონები), მეზობელი ადგილები კი — უარყოფითად. დამახასიათებელია რომ ამ ეფექტს სრულებით არ ახლავს „ჩამკეტი ფენის“ წარმოშენა. აქამდე ითვლებოდა, რომ ამ ეფექტის მიღება მხოლოდ მინერალების გამოყენების შემთხვევაში შეიძლება.

საბჭოთა ფიზიკოსები დაუღალავად მუშაობენ
ნახევარგამტარებში მიმდინარე ფიზიკური მოვლე-
ნების ამოცნობაზე და ამ განსაცვითორებელ სხე-
ულთა სულ ახალ-ახალ გამოყენებას პოულობენ.

(„ტექნიკა მოლოდეჟი“, № 1, 1950 წ.)

3. გ. მელიქიშვილის დაბადების 100 წლის- თავისაღი მიძღვნილი სახეცნიერო ცენტრი

1950 წლის 5 ივნისს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დაბაზში შესდგა სიცუბილეო სამეცნიერო სესია, მიძღვნილი დიდი ქიმიკოსის პეტრე მელიქიშვილის დაბადების ასი წლისთავისადმი.

სესია მოწვეული იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ.

საიუბილეო სესიაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს თვალსაჩინო მეცნიერებმა — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრებმა და წევრ-კორესპონდენტებმა, აკადემიის ინსტიტუტების მეცნიერ-მუშავებმა, უნივერსიტეტის პროფესორებმა, დოცუნტებმა, აკადემიისა და უნივერსიტეტის ასპირანტებმა. სესიას მრავალიცხოვანი სტუდენტობა ესწრებოდა.

სესიის სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ნ. კ ე ც ხ ვ ლ მ ა, რომელმაც მოკლედ დაახასიათა პ. გ. მელიქიშვილის დიდი დამსახურება მეცნიერების წინაშე და ღვაწლი, რომელიც განსვენებულს მიუძღვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარსებისა და განმტკიცების საქმეზი, როგორც მის პირველ რექტორს.

პ. გ. მელიქიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფ. ნ. ს. ციცილიშვილი.

თვეის მოხსენებაში პროფ. ნ. ციცილიშვილმა გააკეთა პ. გ. მელიქიშვილის კვლევის სამი მთავარი ციკლის — ორგანულის, არაორგანულისა და სასოფლო-სამეურნეოს მიმოხილვა, დაახასიათა მისი შრომების მეცნიერულ-თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.


განსაკუთრებით გაუსვა ხაზი მომხსენებელმა იმას, რომ საკითხები, რომლებზედაც პროფ. პ. გ. მელიქიშვილი მუშაობდა, რუს და უცხოელ ქიმიკოსთა ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა. მათს დიდ მეცნიერულ მნიშვნელობას ნათელყოფს თუნდა ის მაღალი შეფასება, რაც დიდმა მენდელეევმა მისცა პ. გ. მელიქიშვილსა და მისი მოწაფის — ლ. პისარუესკის გამოკვლევებს ზემჟავებისა და ზეჟანგების დარგში. ლ. პ. მენდელეევმა პ. გ. მელიქიშვილს,

ელემენტთა პერიოდული სისტემის განმამტკიცებელი უწოდა.


განცვიფრებას იწვევს პ. გ. მელიქიშვილის კვლევის სრულიად ახალი მეთოდები და მის მიერ სინთეზირებულ ნაცრობთა შესასწავლად გამოყენებული ხერხები, განსაკუთრებით — კვლევის ახალი ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები.

პ. გ. მელიქიშვილის მიერ პირველად მიღებულ გლიციდმჟავების ზოგიერთ ნაწარმთა შორის ღღეს დიდი პრაქტიკული გამოყენება პპოვეს გლიციდმჟავების ეთერებმა.

დასასრულ პროფ. ნ. ს. ციცილიშვილმა აღნიშნა განსვენებულის დიდი ღვაწლი თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისა და განმტკიცების საქმეში და მოუწოდა სტუდენტობას მუდამ იბრძოლონ იმისათვის, რომ განახორციელონ ამ დიდი მეცნიერის ანდერძი: „ვისწავლოთ, რათა სასრუებლონი გავხდეთ ხალხისა და სამშობლოსათვის“.



პ. გ. მელიქიშვილი თდესის უნივერსიტეტის ქიმიის დაბორაცორიაში (ჭარსული საუკუნის 80-იანი წლები).



გრიგოლ მელიქიშვილი—პ. მელიქიშვილის მამა.

პროფ. ა. ნ. ო. ღ. ა. დ. ე. ლ. მ. ა. დაახსიათა პ. გ.
მელიქიშვილის შრომები ორგანული ქიმიის დარგ-
ში.

— 3. მელიქიშვილი, — განაცხადა დასასრულ მომხსენებელმა, — მოღვაწეობდა იმ პერიოდში,

როდესაც ორგანული ქიმია განსაკუთრებით საჭი-
როებდა მეცნიერულად დასაბუთებულ ფაქტებს
ორგანული მოლეკულის სტრუქტურის დასადგე-
ნად, როდესაც დიდი რუსი ქიმიკოსი ა. ბუტლერო-
ვი საფუძვლებს უყრიდა ორგანული ნაერთების
სტრუქტურის თეორიას, ამიტომ გასაგებია, თუ რა
ღიადი როლი შეასრულა თავისი გამოკვლევებით
ორგანული ქიმიის განვითარების საქმეში ქართ-
ველმა მეცნიერმა პ. მელიქიშვილმა.

პ. მელიქიშვილს უროგები არაორგანული ქი-
მისი დარგში დაახასიათა თავის მოხსენებაში
პროფ. გ. ვ. ციციშვილ მა.

3. მელიქიშვილის კვლევის ძირითად ამოცანას
არაორგანული ქიმიის დარგში, — ამბობს მომხსენე-
ბელი, — წარმოადგენდა გარკვევა საკითხისა —
ჟეუქლია თუ არა ზემეტავებს მარილის მსგავსი ნა-
ერთების მოცემა მეტალთა უანგელულებთან (ე. ი.
იქცევიან ისინი თუ არა ჩევეულებრივ მეავებივით)
და აგრეთვე ზემეტავების ანაგობის აპსა. ეს ამო-
ცანა მეტად რთული იყო, მაგრამ პ. მელიქიშვილ-
მა ბრწყინვალედ გადაჭრა ის. ამ საკითხის გადა-
ჭრას იგი ორიგინალურად მოუდგა: მან შეარჩია
ნივთიერება, რომელსაც უნარი ჰქონდა მეავად და
ფუძედ დაეშალა ზემეტავების მარილები მათი ქი-
მიური ბუნების შეუცვლელად. ამგვარ ნივთიერე-
ბად წყალში სხნად მარილებისათვის აღებულ იქნა
ალუმინის უანგის ჰიდრატი. უხსნადი მარილებისა-
თვის გამოყენებული იყო ნახშირორუანგი. ეს მა-
რილები, მათზე განზავებული გოგირდმეავას მოქ-
მედებით, გამოყოფებ წყალბალის ზეუანგს, ხოლო
კონცენტრირებულ გოგირდმეავას მოქმედებით —
იზონირებულ უანგბალს. მთელ რიგ ექსპერიმენ-
ტულ სიძნეელეთა დაძლევით, გულმოდგინე და
ფაქტიზი ცდების შედეგად პ. მელიქიშვილმა შეს-
ძლო ამონიუმის ზეუანგის სინთეზირება, დაადგი-
ნა ამ ნაერთის შემადგენლობა და მისი საალბათო
სტრუქტურა.

— უახლესი ექსპერიმენტული და თეორიული
მასალა ზეჟანგების დარგში, — ამბობს პროფ.
გ. ვ. ციციშვილი, — სავსებით აღასტურებს პ. გ.
მელიქიშვილის გამოკვლევათა სიზუსტეს და სა-
ბოლოოდ გვარუმუნებს იმაში, რომ ეს გამოკვლე-
ვები დიდი განძია ქიმიის მეცნიერებაში, მათ შე-
საძლებელი გახდეს უფრო ღრმად ჩახედვა მო-
ლექულთა ანაგობაში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფ. გ. ქომეთიანმა გაა-კუთა მოხსენება პ. მელიქიშვილის შრომებზე სოფ-ლის მეზურნეობის დარღვში.


— მთელს მსოფლიოში სახელმოხვეჭილ მეცნიერს პ. მელიქიშვილს, — ანიშნავს მომხსენებელი, — ყოველთვის აინტერესებდა ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სასოფლო-საწეურნეო პროცესზე ტექნოლოგიასთან. საფრანგეთ-

ში ყოფნის დროს ის სპეციალურად გაეცნო აგრო-ქიმიის ერთ-ერთი ფუძემდებლის ბუსენგოს მუშა-ობას. საზღვრულებელი დაბრუნების შემდეგ ის აქტიურად ჩაება სამხრეთ-რუსეთის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მუშაობაში, სადაც დიდხანს ასრულებდა ვიცე-პრეზიდენტის მოვა-დების, ხოლო თბილისში ერთხმად იქნა არჩე-ული საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საზო-გადოების თავმჯდომარედ და ჩვენი უნივერსიტე-ტის აგრონომიული ფაკულტეტის პირველი დეკა-ნი იყო. პ. მელიქიშვილის მნიშვნელოვანი გამო-კვლევები აგრონომიული ქიმიის დარგში უმთავ-რესად ხორბლებლის ქიმიურ შემადგენლობას ეხება.

პ. მელიქიშვილი გამოდიოდა იმ ცნობილი დე-ბულებიდან, რომ გარეშე ფაქტორის ხანგრძლივი მოქმედების შემდეგ იცვლება მარცვლის არა მარ-ტო გარეგანი შეხედულება, მისი წონა და მოცუ-ლობა, არამედ იცვლება აგრეთვე შეფარდებაც მარცვლის შემადგენელ ნივთიერებათა შორის. პ. მელიქიშვილს არ ჩაუტარებია სპეციალური ცდები საცდელ ნაკვეთებზე, როგორც ახლა მი-ლებული ექსპერიმენტულ აგრონომიაში. დაკვირ-ვებისათვის მან აიღო ხორბლის ორი სახე „გირკა“ და „არნაუტკა“.

ხუთი წლის განმავლობაში აწარმოებდა ის მიღებული ნიმუშების ანალიზს. გამოირ-კვა, რომ ერთი და იმავე მოსავლის სხვადასხვა აღ-გალებიდან მიღებული ხორბლის ნიმუშის ქიმი-ური შემადგენლობა იმდენად ერთი მეორისაგან არ განსხვავდება, როგორც ერთსა და იმავე აღ-ა-გლზე აღებული სხვადასხვა წლების ნიმუშები. პ. მელიქიშვილი არ დაკმაყოფილდა მარტო არ ფაქტის დადგენით, მან გამოარკვია აგრეთვე ამის გამომწვევი მიზეზები.

პ. მელიქიშვილის ინტერესი ხორბლებულისადმი გაძლიერდა საქართველოში დაბრუნების შემდეგ, როცა მან თავისი ლაბორატორია მოაწყო სასოფ-ტო-სამეურნეო ქიმიური ლაბორატორიის ბაზაზე. აქ მელიქიშვილმა მუშაობა გაშალა ჩვენში გავრ-ცელებულ საკვების ქიმიური შემადგენლობის გარკვევის მიზნით. ჩატარებული იქნა აგრეთვე სიმინდის, ღომის, სოიას, არასის, ლობიოს და სხვ. ანალიზი. პ. მელიქიშვილმა დაწვრილებით შეისწავლა ჩვენი მეცნახობის მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები, გამოარკვია, რო არ გავლენას ახდენს კახური წესით ღვინის დაყენება მის ქიმიურ შემადგენლობაზე. დიდი მუ-შაობა ჩატარა პ. მელიქიშვილმა ჩვენებური ყვე-ლის ქიმიური შემადგენლობის გასარკვევად.



პ. მელიქიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ლაბორატორიაში.

მან თავის სამეცნიერო წერილებში არაერთხელ ნათელყო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქიმიას მოსავლიანობის გადიდებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების დროს განხორციელდა პ. მელიქიშვილს ოცნებანი ჩვენი სოფლის შეურ-ნეობის აყვავების შესახებ. ჩვენი ქვეყანა დღეს დაფარულია საცდელ დაწესებულებათა ქსელით. სოფლის შეურნეობის თითქმის ყველა დარგს მომ-სახურებას უწევს სპეციალური საცდელები ინსტი-ტუტი. ჩვენი სოფლის მეურნეობა ძირფესვიანათ შეიცვალა. კოლექტივიზაციის საოუცველზე სოფ-ლის მეურნეობის გარდაქმნამ შექმნა დოვლათი და ბარაქა, რასაც უნდა გუმადლოდეთ კომუ-ნისტური პარტიისა და ჩვენი მთავრობის პოლიტი-კას.

დასასრულ პ. მელიქიშვილის შესახებ მოგონე-ბით გამოვიდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკ-ადემიის ნამდვილი წევრები კ. კეჭელიძე და ა. შა-ნიძე, პროფესორი რ. ნიკოლაძე, დოც. ს. ჭრელა-შვილი, დამსახურებული მასწავლებელი დ. ჭორ-ჭიკია.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქარ-თველოს კ. პ. (ბ) ცკ მდივანმა ამხ. რ. ს. შადურმა.

პრადემიქოს 6. დ. ზელიცერის დეპარტა- საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე აკადემიკოს 6. კეცეოგელს

ჩემი ძვირფასი მასწავლებლისა და ღაუვიწყა-რი მეგობრის პეტრე გრიგოლის-ძე მელიქიშვილის დაბადების ასი წლისთვის საიუბილეო დღეს სუ-ლით და გულით, ფიქრებით თქვენ შორის გარ.

აკადემიკოსი ზელიცერი

3. გ. მელიქიშვილისადმი მიძღვნილი გამოფენა

3. მელიქიშვილის დაბადების ასი წლისთავთან
დაკავშირებით სტალინის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მო-
აწყო საინტერესო გამოფენა, მიძღვნილი დიდი
ქართველი მეცნიერისა და მოღვაწის ხსოვნი-
სადმი.

გამოფენაზე მრავლად არის წარმოდგენილი
3. მელიქიშვილის შრომები, სამეცნიერო სტატიები,
დაბეჭდილი ქართულ, რუსულ და უკრაინულ გამო-
ცემებში. ეს შრომები ნათლად გვიჩვენებენ პეტ-
რე მელიქიშვილის სახეს, როგორც მეცნიერისა და
ძკვლევარისა.

გამოფენაზე წარმოდგენილია პ. მელიქიშვილის
ოჯახის წევრების — მამის გრიგოლის, მმის სტე-
ფანეს, დის ეკატერინესი და სხვ. ფოტოები, აგ-
რეთვე ფოტოსურათები, რომლებიც ასახვენ
პ. მელიქიშვილის ცხოვრების სხვადასხვა მომენ-
ტებს: ოდესის უნივერსიტეტში — ლაბორატო-
რიაში და სტუდენტებს შორის, ქალთა კურსების
მსმენელთა შორის, ლაბორატორიაში მუშაობის
დროს, შვეიცარიაში მოგზაურობისას, თბილისის
უნივერსიტეტში თანამშრომელთა და სტუდენტთა
შორის და სხვ., მრავალრიცხოვანი დოკუმენტები
და წერილები, კერძოდ დოკუმენტები, რომლებიც
შეეხება პ. მელიქიშვილის არჩევას საკავშირო
შენციერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად,
და მრავალრიცხოვანი მისალმებები, რომლებიც
პ. მელიქიშვილმა ამასთან დაკავშირებით მიიღო.

აქვე არის დოკუმენტები, რომლებიც გვიჩვენე-
ბენ პ. მელიქიშვილის მუშაობას ქართული ქიმიუ-
რი ტერმინოლოგიის შედგენაზე.

აქვე ვხედავთ აგრეთვე დოკუმენტებს, რომლე-
ბიც ნათელყოფენ, თუ როგორი ზაღალი შეფასე-
ბა მისცა პ. მელიქიშვილის სამეცნიერო-პედაგო-
გიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას საქართვე-
ლოს საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელმაც სამეც-
ნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლის იუბი-
ლე გაუმართა მას.

ყურადღებას იპყრობს გენიალური დ. ი. მენდე-
ლევის „ქიმიის საფუძვლები“, წარმოდგენილი

ჩვენი სახელმ-საჟღალი

ქიმიური მემადგენლობა.



საქართველოს მთავრობის მინისტრი
Ministère de l'Éducation et de la Culture de Géorgie

262

ა. მელიქიშვილი

ქ. მელიქიშვილის

მთ. ვარაუდ ვალიალის გადაღება


ჩვენი ჩვენი

ქიმიური მემადგენლობა.

პ. მელიქიშვილის სას.-სამ. შრომების გრთი ჯგუფი.

გამოფენაზე და გადაშლილი იმ გვერდზე, სადაც
დიდი მეცნიერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მელი-
ქიშვილისა და პისარუევსკის გამოკვლევები ზე-
ჯანგებისა და ზემჟავების დარგში განამტკიცებენ
მის პერიოდულ სისტემას.

მნახველები დღის ინტერესით ათვალიერებენ
გამოფენას.



შეკუმშული ჰაერი ტექნიკაში

1230 წილადი

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

ჰიდრავლიკური ქომპრესორები

შეკუმშულ ჰაერს ფართო გამოყენება აქვს სა-
ხალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

სამთო საქმეში გაღასატანი პნევმატიკური იარა-
ღები (პერფორატორები, ჩაქუჩები, ბურლები და
სხვ.) შეკუმშული ჰაერით მოქმედებენ. წყალმომა-
რაგებაში და ნავთობის მრეწველობაში წყლის ან
ნავთობის ამოტუბება ხშირად შეკუმშული ჰაერის
საშუალებით ხდება. რკინიგზებზე, სამშენებლო
საქმეში და კომუნალურ მეურნეობაში სხვადასხვა
სამშენებლო და საექსპლოატაციო პროცესების
შესრულებისას ხშირად შეკუმშული ჰაერით სარ-
გებლობენ.

ენერგეტიკული თვალსაზრისით შეკუმშულ ჰა-
ერს შემდეგი დაღებითი მხარეებია აქვს: მაღალი
ჭრევის ჰაერის რეზივუარებში ან გადასატან ბა-
ლონებში შენახვის შესაძლებლობა; შეკუმშული
ჰაერის დრეკადი ენერგიის სრული (მთლიანი) გა-
მოყენება და მისი ტრანსპორტირების სიადვილე.

ამჟამად შეკუმშული ჰაერის მიღება მექანიკუ-
რი მოქმედების კომპრესორებით წარმოება.


არსებობს კიდევ ჰიდრავლიკური მოქ-
ედების კომპრესორები (ჰიდროკომპ-
რესორები), რომელთა კონსტრუქციული გათოო.
მება მეტად მარტივია და ისინი მაღალი მარგი მო-
ქმედების კოეფიციენტით ხასიათდებიან.

უნდა აღინიშნოს, რომ ჰიდროკომპრესორები
მანქანების ისეთ კლასს მიეკუთვნებიან, რომლე-
ბიც შეკუმშული ჰაერის მიღებისას, ნაკადის მექა-
ნიკურ ენერგიას უშუალოდ იყენებენ. ამ ტიპის
მანქანების დანერგვა საბჭოთა კავშირის ისეთ სამ-
რეწველო რაიონებშია შესაძლებელი, რომლებიც
შეკუმშული ჰაერით მომარაგებას მოითხოვენ და
ამასთან უზრუნველყოფილნი არიან წყლის საკმაო
რაოდენობით. წყლის ნაკადის მექანიკური ენერ-
გიის უშუალოდ გამოყენება საშუალებას იძლევა
დავზოგოთ ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი
რაოდენობა, რომელიც შეიძლება სხვა სახის სა-

წარმოო პროცესების შესასრულებლად გამოვიყე-
ნოთ.

ჰიდრავლიკური კომპრესორის პრინციპული
სქემა წარმოდგენილია აქ მოყვანილ ნახ-ზე. კომპ-
რესორი შემდეგ ელემენტებს შეიცავს A—საწნეო
კამერას სათავო მოწყობილობით, B—მუშა
მიღება, C—სეპარატორს შეკუმშული ჰაერის მი-
ღებით და D—შახტს. სათავო მოწყობილობა ხ ძაბ-
რით საწნეო აუზს წარმოადგენს. ძაბრზე რამდე-
ნიმე (ორივე მხრიდან ღია) E მიღავია დამაგრებუ-
ლი. ამ მიღავების ზემო ღია ნაწილი ატმოსფეროს
ეხება, ქვემო კი — წყლით არის დაფარული. ძაბ-
რი მუშა-მიღება უერთდება; ეს უკანასკნელი კი —
სეპარატორს. მუშა-მიღება და სეპარატორი შახტშია
მოთავსებული, რომლის კედლები სათანადოთ მო-
პირკეთებულია და წყლისა და ყამირის წოლვაზეა
გაანგარიშებული.

ჰიდრავლიკური კომპრესორი შემდეგნაირად მო-
ქმედობს: წყლის ნაკადი მიმყვანი არხით საწნეო



ჰიდროკომპრესორის სქემა.



აუზმი ისახეთია, აქედან კი ხ ძაბრით B მუშა-მილ-ში გადადის. გადასვლის მომენტში წყლის ჭავრი-ლი უშუალოდ ეხება ე მიღაუებს, ამასთან ჰაერის ნაწილაკებსაც იტაცებს და ცალკეული ბუშტების სახით (მუშა-მილით) სეპარატორში გადააქვს.

ამრიგად, მუშა-მილში წარმოქმნილი წყალ-ჰაერის ნარევი სეპარატორში გადმოდის. სეპარატორში წყალჰაერის ნარევის ჭავრილის სიჩქარე მნიშვნელოვნად მცირდება, რაც ხელს უწყობს ჰაერის ბუშტების ამოტივტივებას წყლის თავისუფალი ზედაპირის ზემოთ. შეკუმშული ჰაერი სეპარატორის ზემო არეში გროვდება, საიდანაც მილის საშუალებით მოხმარების ადგილზე გადაიტანება. წყლის ნაკადი კი სეპარატორის ფუძეზე დატანებული ხერელებით გადადის შახტში, აქედან კი გამყვანი არხის საშუალებით გარეთ გამოდის.

წყლის მოძრაობა h_a გარდნის სიმაღლით წარმოებს, წყალის ჩადინება კი $h_a + h_s$ სიღრმეზე ხდება. შეკუმშული ჰაერის წნევა ეპარატორში h_s ჩაღრმავებაზე (სიღრმეზე) დამოკიდებული.

მიღებული შეკუმშული ჰაერის რაოდენობა კომპრესორში გამავალ წყლის ხარჯის რაოდენობაზეა დამოკიდებული.

ჰიდრავლიკური მეთოდით მიღებული შეკუმშულ ჰაერის ტემპერატურა წყლის ტემპერატურას უახლოვდება, იგი ნაკლებ ტენიანია და თითა-შემის არ შეიცავს მტვერსა და მექანიკურ მინარევებს.

საბჭოთა კავშირში ჰიდროკომპრესორების წარმოებაში დანერგვის მიზნით ამ ტიპის მანქანების მოქმედების შესასწავლად დიდი ოეორიულ-ექსპრესმენტული მუშაობა ჩატარდა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკულ ინსტიტუტში ეს მუშაობა ტარდებოდა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის მ. მოსტოკოვის ხელმძღვანელობით.

ინსტიტუტის ჰიდრავლიკურ ლაბორატორიაში აგებულ იქნა ჰიდროკომპრესორის მოდელი, რომლითაც ჩატარდა ცდები წყლის მოძრაობის სხვადასხვა რეჟიმის, აგრეთვე სხვადასხვა პირობებში წყლისა და ჰაერის ხარჯის შესასწავლად.

ჰიდროკომპრესორის მუშაობის თეორიულმა შესწავლამ და მოდელის ექსპერიმენტულმა გამოკვლევამ ცხადჰყო ამ მანქანის უდავო ეფექტურობა.

ერლიფტი მარტივ პნევმატიკურ ამწევს წარმოადგენს, რომლის საშუალებით მიწის სხვადასხვა სიღრმილიან ნავთობის ან წყლის ამოტუმბვა ხორციელდება. ერლიფტის მოქმედება შეკუმშული ჰაერით წარმოებს.

ტექნიკის თანამედროვე პირობებში ნავთობის ამოტუმბვა ღრმა ჭაბურღილებიდან მხოლოდდამხოლოდ ერლიფტების საშუალებით ხდება.

ნავთობის მრეწველობაში ერლიფტი პირველად 1897 წელს ბაქოს რაიონში გამოიყენეს. ერლიფტის გამოგონება რუს ინჟინრებს შუხოვსა და ბარის ეკუთვნის.

ერლიფტი ორ ერთმანეთთან შეერთებული მილისაგან შედგება (იხ. ნახ.). დიდი დიამეტრის P მილს სითხის ამწევი მი-

ლი ეწოდება, ხოლო პატარა დიამეტრის A მილი ჰაერის მიმწოდებელ მილს წარმოადგენს. P და A მილები ერთმანეთს ბოლო ნაწილებით უერთდებიან და ხელოვნურად მოწყობილ მილოვან ჭაში საჭირო სიღრმემდე არიან ჩაშვებული.

ერლიფტის ჩაღრმავების სიგრძე ჭაში მყოფი ნავთობის ან ყამირწყლის დონის სიღრმეზეა დამოკიდებული. ამიტომ P და A მილები დასაშლელია და საჭიროებისამებრ ამ მილების დაგრძელება ან დამოკლება ერლიფტის სუფთების საშუალებით ხდება.

ჰაერის მილი კომპრესორს უერთდება¹, საიდანაც შეკუმშული ჰაერი ამ მილით P მილში გადადის.

ერლიფტის მოქმედების პრინციპი შემდევშია: ერლიფტის ჩაშვება ჭაში ნავთობის ან ყამირწყლის თავისუფალ ზედაპირის ქვევით განსაზ-

¹ ერლიფტებში შეკუმშული ჰაერის მიწოდება მეტწილად მექანიკური მოქმედების კომპრესორებიდან წარმოებს, ერლიფტებში აგრეთვე შეიძლება გამოყენებულ იქნა ჰიდროგლიკური კომპრესორებიც, რაღაც ჰიდრატულური მიღებული შეკუმშული ჰაერი დაბალი ტემპერატურისა, არ შეიცავს მტვერსა და მექანიკურ მისარევებს, ამიტომ მას ამოსატუმბავი სითხის ფიზიკურ თვისებებზე არავითარი ზეგავლენა არ მეუძლია იქონიოს.

ღვრულ ჩ სიღრმეზე ხდება (იხ. ნახ.). ამწევი მილის ბოლო ნაწილში B ხვრეტებია დატანებული, ამიტომ გადასატუმბი სითხე ერლიფტში ჩ სიმაღლემდე აიწევს. ამის შემდეგ A მილით ამწევ მილში შეკუმშულ ჰაერს წვრილი ბუშტების სახით შეუშვებენ¹ და შემდეგ ერლიფტის მოქმედება იწყება.

რადგან ამწევი მილის შიგა არეში სითხის წნევა ძვევიდან ზევით მცირდება, ამიტომ ამწევ მილში იძულებით შესული ჰაერის ბუშტები ზემო მიმართულებით იწყებენ მოძრაობას. ცხადია, თითოეული ჰაერის ბუშტი განსაზღვრული ოდენობის დრეკად ენერგიას შეიცავს, ამიტომ ბუშტები ზევით მოძრაობისას სითხეზე სათანადო წნევას აძლენენ და ერთდროულად განსაზღვრული რაოდენობის სითხესაც თან წარიტაცებენ.


ამრიგად, ამწევ მილში წარმოშობილი სითხისა და ჰაერის ნარევი, მასში მყოფი შეკუმშული ჰაერის ბუშტების წნევის გამო, ზევითკენ მოძრაობას

¹ ჰაერის მილის ბოლოში მცირე ხვრეტებიანი ბუნიკა დაყენებული, რომლის საშუალებითაც ჰაერი ერლიფტში ბუშტების სახით შედის.

იწყებს და განსაზღვრულ სიმაღლეზე დამუშავებული ბ აუზში ისხმება.



ერლიფტების თეორიულ-ექსპერიმენტული შესწავლა ჯერჯერობით საბოლოოდ არ არის დამთავრებული. ამ მხრივ დიდი კვლევითი სამუშაოები იქნა ჩატარებული პროფ. ვ. ბალდასაროვის ხელმძღვანელობით. ამ გამოკვლევების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერლიფტების მუშაობა მეტად რთულ ჰიდრავლიკურ პირობებში მიმდინარეობს, ამიტომ მის მიერ მიღებული საანგარიშო ფორმულები ჯერ კიდევ ვერ არიან სრულ-კრიტიკული. ამიტომ ერლიფტის ზომებისა და სხვა საჭარმოო მახასიათებლების გაანგარიშებისას ეს ფორმულები მიახლოვებით მნიშვნელობებს იძლევან. მიუხედავად ამისა, პროფ. ვ. ბალდასაროვის მიერ დამუშავებული ერლიფტის მუშაობის თეორია სხვა თეორიებთან შედარებით უფრო ზუსტია და სრულქმნილი.

მიუხედავად იმისა, რომ ერლიფტები მეტად მარტივი კონსტრუქციის არიან, მათი მაღვი მოქმედების კოეფიციენტი მეტად მცირეა ($0,2-0,3$); გარდა ამისა, ერლიფტის მოქმედებისას საჭიროა შეკუმშული ჰაერის განუწყვეტლივ მიწოდება.



ახალი თბილისი. სტადიონის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის ერთ-ერთი კუთხე.

ისცორიიდან



პერიოდული კანონის პირველი ტრიუმფი


1869 წლის ობერვალში დ. ი. მენდელეევმა ზოგიერთ ქიმიკოსს დაუგზავნა თავისი პერიოდული სისტემის პირველი მონახაზი. ამავე დროს ის წერდა: „ატომური წონის სიდიდის მიხედვით განლაგებული ელემენტები თვისებათა აშკარა პერიოდულობას გვიჩვენებენ. ელემენტთა შედარება... ატომური წონის მიხედვით შეესაბამება... მათს ატომურობას* და, რამდენიმედ, ქიმიური ბუნების განსხვავებას, რაც ნათლად ჩანს ლითოგრაფის, ბერილიუმის, ბორის, ნატურალის, აზოტის, ჟანგბალის, ფრორის მწყრივებში და მეორება სხვა მწყრივებში“.

1869 წლის 18 მარტს პროფ. ნ. ა. მენშუტკინმა დ. ი. მენდელეევის დავალებით ახლად დაარსებულ რუსეთის ქიმიურ საზოგადოებაში წაიკითხა მოხსენება „ელემენტთა თვისებებისა და ატომური წონის დამკიდებულება“ და დამსჭრეთ გაცნო პერიოდული ცხრილი**.

პერიოდულმა კანონმა და პერიოდულმა სისტემამ არსებობა დაიწყო.

ეს იყო შედეგი უდიდესი შრომისა, რომელიც დ. მენდელეევმა ჩატარა, ვიღრე თავის კანონს და სისტემას ქიმიკოსთა სამსჯავროს წარუდგენდა.

იმ დროს, როცა მისი წინამორბედნი ელემენტებს შორის კავშირის ძებნის საქმეში შემთხვევით ფაქტებს ეყრდნობოდნენ, დ. ი. მენდელეევმა ამ ურთიერთ-კავშირის დასაღვენად მონახა მტკიცე დასაყრდენი: ელემენტთა ატომური წონა, მათ ქიმიურ-ფიზიკურ თვისებებთან დაკავშირებით. დარწმუნებულმა თავისი პერიოდული კანონის სისწორეში, ელემენტთა თვისებების პერიოდულ გამეორებაში ბუნებრივი თანმიმდევრობით, დ. ი. მენდელეევმა გაბედულად შეასწორა მრავალი ელემენტის ატომური წონა, გადაუნაცვლა მათ აღგილი ცხრილში და, რაც მთავარია, ცხრილში თა-



დ. ი. მენდელეევი
ელემენტთა პერიოდული სისტემის შექმნის წლებში.

ვისუფალი ადგილები დატოვა უცნობი ელემენტებისათვის. ის იმდენად იყო დარწმუნებული ნაპოვნი კანონზომიერების სისტორეში, რომ შეეძლო არ შეშინებოდა მის გამოცდას ფაქტებით.

1871 წელს რუსეთის ქიმიური საზოგადოების უცნობში მოთავსებულ სტატუში, რომელსაც ჰქვითდა: „ელემენტთა ბუნებრივი სისტემა და მისი გამოყენება ჯერ აღმოუჩენელი ელე-ე-მენტების თვისებათა დაგენისათვის“, დ. ი. მენდელეევი წინასწარმეტყველებდა რიგ უცნობი ელემენტების არსებობას და წერილს ასე ამთავრებდა: „პერიოდულობის საფუძლების გამოყენება უცნობი ელემენტების აღმოსაჩენად და მათი თვისებების განსასაზღვრავად, ჩემის აზრით, წარმოადგენს ყველაზე მკვეთრ ფორმას იმაზე მსჯელობისათვის, თუ რამდენად გამოდგება პრაქტიკულად ქიმიური მონაცემების მეცნიერული და-

* გალენტობას. რედ.

** პერიოდული კანონის აღმოჩენისა და მნიშვნელობის შესახებ დაწერილებით იხ. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის გ. ციციშვილის სტატია „გენიალური აღმოჩენა“, „მეცნ. და ტექн.“, № 3, 1949 წ.

შუშავებისათვის ელემენტთა ბუნებრივ სისტემაზე და ჩვენთვის უკვე ცნობილი ელემენტების შესახებ არსებული ცნობების ერთობლივობაზე დამყარებული დასკვნები. ამგვარი სისტემის სამართლიანობის საბოლოო აღიარება უნდა მოხდეს ზოველ შემთხვევაში მაშინ, როცა მის საფუძველზე გამოყვანილი უცნობ ელემენტთა თვისებები სინამდვილეში გამართლდება მათი აღმოჩენით...“.

და, მართლაც, დ. ი. მენდელევმა არა მარტო იწინასწარმეტყველა უცნობი ელემენტების არსებობა, არამედ განსაზღვრა სამი მათგანის ადგილი პერიოდულ სისტემაში, მათი ატომური და კუთრი წონა, ფიზიკური და ქიმიური თვისებები. ამ ელემენტებს მან პირობითად უწოდა ეკა-ბორი, ეკა-ალუმინი და ეკა-სილიციუმი.

ამგვარად დ. ი. მენდელევმა თვითონ მოუწყო სასტიკი გამოცდა თავის პერიოდულ კანონს და სისტემას. ეს შეეძლო მხოლოდ მეცნიერული აზრის გიგანტის, მტკიცედ დარწმუნებულ თავისი შეხედულებებისა და დასკვნების სისწორეში.

გავიდა ოთხი წელიწადი და დ. ი. მენდელევის წინასწარმეტყველება ბრწყინვალედ გამართლდა.

სამოცდათხუთმეტი წლის წინათ — 1875 წლის 27 აგვისტოს ფრანგმა ქიმიკოსმა ლეკოკ დე ბუაბოდრანმა აღმოაჩინა დ. ი. მენდელევის მიერ ნაწინასწარმეტყველები ეკა-ალუმინი.

ამის შესახებ მსოფლიო მხოლოდ იმავე წლის 20 სექტემბერს გაიგო.

ამ დღეს პარიზის მეცნიერებათა აკადემიის მორიგ სხდომაზე ცნობილმა ფრანგმა ქიმიკოსმა ვიურცმა თავისი მოწაფის ლეკოკ დე ბუაბოდრანის სახელით ითხოვა გაეხსნათ პაკეტი, რომელიც აკადემიის მდივანს სამი კვირის წინათ გადაეცა.

პაკეტში შემდეგი წერილი აღმოჩნდა:

„გუშინწინ, 1875 წლის 27 აგვისტოს, ღამის სამსა და ოთხ საათს შორის მე ახალი ელემენტი აღმოვაჩინე მინერალ თუთიას კრიალაში...“

ლეკოკ დე ბუაბოდრანს 27 აგვისტოს თავის განკარგულებაში ჰქონდა თუთიას ამ მაღნეულის მარილის მხოლოდ რამდენიმე წვეთი ხსნარი, რომელშიც „მიმაღლული იყო“ უცნობი ელემენტი. შეცდომის შიშით მან ვერ გაბედა თავისი აღმოჩნდის მაშინვე გამოქვეყნება, მაგრამ პირველობა რომ არ დაეკარგა, აკადემიაში გადასცა დახურული პაკეტი პირველი ცნობით თავისი აღმოჩენის, შესახებ.

ახლა მის განკარგულებაში უკვე იყო უცნობი ელემენტის საქმაო მნიშვნელოვანი რაოდენობა არავითარი შეცდომა! ახალი ელემენტი ნამდვი-

ლად არის აღმოჩენილი. ლეკოკ დე ბუაბოდრანზა თავის საშობლოს პატივსაცემად მას გადაიტეს უწოდა (გალია—საფრანგეთის ძველი სტელლა დებაა).

როცა პარიზის აკადემიის ოქმებმა პეტერბურგს მიაღწიეს და დ. ი. მენდელევი ლეკოკ დე ბუაბოდრანის აღმოჩენას გაეცნო, მისთვის მაშინვე ნათელი გახდა, რომ გალიუმი მის მიერ ნაწინას-წარმეტყველები ეკა-ალუმინია.

რუსთავის მეცნიერებათა აკადემიის 1871 წლის 6 ნოემბრის სხდომის ოქმში ჩაწერილია:

„დ. ი. მენდელევმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ლეკოკ დე ბუაბოდრანის მიერ ამას წინათ აღმოჩენილი ელემენტი, რომელსაც გალიუმი ეწოდა, როგორც აღმოჩენის ხერხით... ისე აქამდე დადგანილი თვისებებით ემსგავსება უცნობ ეკა-ალუმინის, რომლის თვისებები მენდელევმა ოთხი წლის წინათ აღნიშნა და გამოიყვანა პერიოდული კანონის საფუძველზე. თუ გალიუმი ეკა-ალუმინის იგივია, მისი ატომური წონა იქნება 68, სიმკვრივე 5,9...“

დ. ი. მენდელევმა წერილი გაუგზავნა პარიზის მეცნიერებათა აკადემიას და შეატყობინა თავისი მონაცემები ახალი ელემენტის შესახებ.

მაგრამ ლეკოკ დე ბუაბოდრანმა პარიზში ახალი ელემენტისათვის მიიღო კუთრი წონა 4,7.

დ. ი. მენდელევი პეტერბურგიდან უსწორებს მას:

„შეცდომაა. უნდა იყოს 5,9. შეამოწმეთ, აღბათ, ნივთიერება კარგად არ იყო გაწმენდილი“.

მთელი მსოფლიოს ქიმიკოსები დაძაბული ყურადღებით აღვენებდნენ თვალყურს ამ თავისებურ პაეჭრობას.

დ. ი. მენდელევი არ შემდარა. ბოლოს და ბოლოს, ლეკოკ დე ბუაბოდრანი იძულებული გახდა ელიარებინა, რომ „მოსიე მენდელევი მართალია“.

გალიუმის აღმოჩენა პერიოდული სისტემის უდიდესი გამარჯვება იყო.

პირველ ბრწყინვალე გამარჯვებას ჩქარა მოჰყვა მოჩიგი გამარჯვებები: სკანდინავიაში ნილსონმა და კლევემ თითქმის ერთდროულად (1879) აღმოაჩინეს დ. ი. მენდელევის მიერ ნაწინასწარმეტყველები და აღწერილი ეკა-ბორი, რომელსაც სკანდიუმი ეწოდა, 1886 წ. კი ვინკლერმა იპოვა ეკა-სილიციუმი, რომელსაც ეწოდა გერმანიუმი.

პერიოდულმა სისტემამ გაუძლო თვით მისი ავტორის მიერ დანიშნულ სასტიკ გამოცდას. ის ქიმიის და, სულ ჩქარა, — რიგ მეცნიერული დისკიპლინების ქვაკუთხედათ იქცა.

მაცნერებისა და ცეკვის ქონივა

საქაზირო სამუნებლო გამოცენის
20 წლისთავი

შესრულდა ოცი წელი მოსკოვში მუდმივი საკავშირო სამუნებლო გამოფენისა და მუნებლობის საკითხების ცენტრალური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის ორგანიზაციიდან. 1930 წელს შექმნილი გამოფენა მშენებლობის მოწინავე მეთოდების ნამდვილ სკოლად გადაიცია. აქ სისტემატურად ეწყობა შრომის სტანციების ჩვენება. გამოფენაზე გამოძიოდნენ სტალინური პრემიის ლაურეატები—ცნობილი მუნებლები. ამ. ს. მირნოვი, ბალცევი, ორლოვი, მაქსიმენკინი და სხვები. მათი მუშაობის მეთოდების პროცესიდას ფართო სასიათო მიერა ქვეყნის სხვადასხვა მუნებლობებზე მოძრავი გამოფენების მოწყობის გზით.

ცენტრალური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის ფონდებში 500 ათასზე მეტი წიგნი და უზრუნლია. ბიბლიოთეკა მომსახურებას უწევს 327 სამშენებლო ორგანიზაციას ქვეყნის 112 ქალაქში. ოცი წლის განმავლობაში მკითხველებზე გაცა მილიონზე მეტი წიგნი და უზრუნლი.

საბჭოთა კავშირში მუნებლობის უმდიდრესი გამოცდილებისადმი, რაც გამოფენაზე წარმოდგენილი, დიდ ინტერესს იჩინენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მუნებლები. მხოლოდ უკანასკნელ ბანებში გამოფენა ინახულა 20 დელეგაციის პოლიტიკიდან, რუმინეთიდან, ბულგარეთიდან, უცხრეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

საკავშირო სამშენებლო გამოფენა განუშევეტლივ იქსება ახალი ექსპონატებით. ბევრი საინტერესო ახალი ექსპონატია მაღალი შენობების მუნებლობის, საშენი მასალებისა და საბინა მუნებლობის პავილიონებში. მნახველები ინტერესით ათვალიერებენ ახლად გამოფენილ ავტომობილთავებს, საშენი მასალების გადამშევებელ მანქანებს და სხვ.

ოცი წლის განმავლობაში გამოფენამ მომსახურება გაუწია თ მილიონზე მეტ მუნებელს.

(„პრავდა“).

ახალი მანქანები ქვენასშირის
მოსაპოვებლად

როგორც „პრავდის“ კორესპონდენტი იუწება, პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის მეონებით დონბასის შახტებში სულ უფრო და უფრო ფართოდ ინტერება ახალი სამთო მანქანები და მექანიზმები. ახალი საბჭოთა ტექნიკა დიდებს შრომის ნაყოფიერებას. ათავისუფლებს მაღაროელებს ხელის შემიერ სამუშაოებისაგან. განხაუზობრებით დიდი ცელიებები უკიტანა მაღაროელთა შრომაში ქვანახშარის კომისარია „დონბასმა“.

მაგრამ კომისარი „დონბასის“ თავისი სადიდით არ გამოდგება მცირე სიმძლავრის ქვანახშირის ფენების დასამუშავებლად. დონბასის პირობებში, სადაც მაღალხარისხოვანი ქვანახშირის მცირე სიმძლავრის ფენების მნიშვნელოვანი რაოდენობა, მათი დამუშავების პირობებით დიდი მნიშვნელობა მოიპოვა. ახლა ეს პირობები მაღაროელ-მექანიზატორებთან თანამედრობით წარმატებით გადასჭრა „გამროველემაშის“ კალექტივმა.

დონბასმა მიიღო ახალი შესაჩინავი მანქანა — ქვანახშირის კომისარი „უკტ-1“, რომელიც თავისი კოსტრუქციით არსებითად განსხვავდება კომისარის „დონბასისაგან“, იგი მუ-

შაობს 0,4-დან 0,7 მეტრი სიმძლავრის დამტკიცი დაქანების მქონე ქვანახშირის ლაუგებში...

გორულოვების მანქანათმშენებლებმა დამზადეს აგრეთვე ახალი მრავალბარიანი კომისარი „მბე“. პირველი ნიმუში. ეს კომისარი დაიშვნულია მაგარი ქვანახშირის შემცველი დამტკიცი დაქანების მქონე ფენების დასამუშავებლად. ახალი კომისარის უპირატესობა კადევ იმაში მდგომარეობს, რომ მისი გამოყენება შეიძლება სხვადასხვა სიმძლავრის ფენების დამუშავებისათვის და გაცილებით ადვილი დასამონტაჟებელია შახტის პირობებში.

ახალი საპრიარიტო-საპანალიზო
მანქანები

სსრკ მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოობრივი მუნებლივი სამინისტროს საწარმოებმა აითვისეს ახალი საანგარიშო და საანალიზო მანქანების წარმოება. მათ შორის არის შემჭამელი, გამოსაანგარიშებული, საანგარიშო-საანალიზო და მათემატიკური მანქანები. ისინი 3-4-ჯერ, ზოგიერთები კი—ათეულებერ აჩქარებენ გამოანგარიშებას და რთული მათემატიკური ამოცანების გადაწყვეტას.

ფართო პრატიკულ გამოყენებას პპოვებს ახალი ათკლავიშინი საანგარიშო-საწერო მანქანა „სდუ 110“, რომელსაც შეუძლია შეასრულოს შეკრების, გამოკლებისა და სალდოს გამოყენასთან დაკავშირებული საბუბპალტრო აბერაციები. ამ რთული მექანიზმის წარმოდობა ხუთინშინანი რიცხვების შეკრებისა და გამოკლებისას, კამის დაშერით 25 შესკრების შემდეგ აღწევს 1950 რიცხვს საათში. მოტორიანი ამძრავით იგივე მანქანა გამოანგარიშებთა სიჩქარეს აღიდებს 2700 რიცხვმდე საათში, ე. ი. ასრულებს სამუშაოს 2,5-ჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ჩვეულებრივ საანგარიშოს სრულდება.

მაღალი კლასის მათემატიკურ მანქანებს შორის არის ელექტრონულ-ლამპური ინტეგრატორი, ელექტრონული გამომთვლელი მანქანა და სხვ. (საკლესი).

ეილის შენახვა ულტრაიდისი
სხივის საშუალები

ლენინგრადის ხილის კომპინტის ლაბორატორიაში ჩატარებულია ცდები ციტრუსოვანთა ნაყოფის შენახვის ვალების გასაღილებლად, რისთვისაც მიმართავენ მათ მოსხივებას ულტრაიდისფერი სხივებით.

დამზადებულია ექსპერიმენტული დადგმულობა, რომელიც ორი განკუთვილებისაგან შესდგება. ერთში სწარმოებს ხილის მოსხივებისა მეონების შემდეგაც შშვენიცად იყო შენახული, მოუსხივებული ნაყოფის 15%-ზე მეტი გაფუჭებული აღმნიდნა.

ამჟამად სწარმოებს ცდები ვაშლის, მსხალის, ქლიავის შენახვის ვალების გასაგრძელებლად (საკლესი).

ԱՐԺԵՐԱՆՑՈՒԹՅՈՒՆ ՑԱՏՔՆԵՑՈՒ ԽԱՏՏԱՎՑՈՒ

აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის
ინსტიტუტმა წლეულს მეხუთედ გიავლინა (1944
წელს შემდეგ) არქეოლოგიური ექსპედიცია რუს-
თავში (ხელმძღვანელი — ინსტიტუტის უფროსი
შეცნიერი თანამშრომელი მეცნიერებათა კანდი-
დატი გ. ლომთათიძე). ინსტიტუტმა რუსთავ-
ში დიდი შენებლობის დაწყებისთანავე წესად
დაიდო შეძლებისამებრ ინტენსიურად იყვლიოს
იქაური არქეოლოგიური ძეგლები, დასწეროს ქა-
ლაქის ისტორია და ამით მოიხადოს თავისი ვალი-
ამ ქალაქის წინაშე, რომელსაც მთელი ჩვენი ხალხი
დიდი სიყვარულითა და გულმოლგინებით აგებს.

თითქმის სამი თვეა უკვე, რაც ექსპელიცია მუშაობს და წელს მას კიდევ კარგა ხანს მოუხდება თხრა, მით უმეტეს, რომ მიყვლეული იქნა შუა საუკუნეთა ქალაქის მჭიდროდ დასახლებული უბანი, რომელიც მრავალრიცხვანსა და მრავალფეროვან არქეოლოგიურ მასალას იძლევა.

თუ წლევანდლამდე თითქმის მხოლოდ სამარხების გათხრა-შესწავლა წარმოებდა, წელს უკვე სხვაგვარი ძეგლები ითხრება, ესაა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობათა ნანგრევები, რომელთაც ბევრი რამ უშოთუნახავთ მათში ოდესლაც მცხოვრებთა საოჯახო მოწყობილობისა, ხელ-საწყო-იარაღისა და ზოგჯერ სამკაულისაც. განსაკუთრებით მრავლადაა ლითონის ფული, რომელიც უფლებას აძლევს არქეოლოგებს საკმაოდ დანამდვილებით ილაპარაკონ თამარის ხანაზე, XII—XIII საუკუნეებზე.

განათხარი შენობები ქალაქის მოსახლეობის
დაბალ ფენას (ეგებ რუსთავში მოსახლე მიწის-
მოქმედებს) უნდა ეკუთვნოდეს. მათ აგებულებაში
ბევრი ისეთი ნიშანი ჩანს, რომელიც დღესაც
ცოცხლის ქართლ-კახეთის სოფლურ არქიტექ-
ტურაში. თითქმის ყველა საძირკველ-კედელი რი-
ყის ქვითაა ამოყვანილი და თიხით შედუღაბებუ-
ლია. რიყის ქვის ფენები „თევზიფხურად“ აწყვია,
ზოგ ნანგრევს აშკარად ეტყობა, რომ სანახევროდ
მიწაში ჩადგმული, დედაბოძიანი და ბანიანი სახ-
ლისა უნდა იყოს. ერთი დიდრონი, გვერდებაკე-
ცილი კრამიტით (და, მაშასადამე, ქანობიანი სახუ-
რავით) ყოფილა გადახურული. ზოგან გაჯის ნა-
ლესობაა შემორჩენილი.

რამდენსამე ადგილას აღმოჩნდა ხის ბოძათ ძირები, გამოფიტული, მაგრამ მაინც კარგად შენახული. ერთი ნაგრევის შუაგულში ქვისაგან გამოთლილი ექვსწახნაგედი იყო, რომელიც დედაბოძის საყრდენს, „ბალიშს“ უნდა წარმოადგენდეს.

ზოგი ოთახი აშეარად საცხოვრებელი ჩანს, ზოგი კი სამეურნეო დანიშნულებისა. ამ უკანასკნელებში ვხედავთ მომცრო ქვევრებსა და თონეებს. არის კერის ორიოდე ნაშთიც; ნატშირიან-ნაცრიანი. ქვევრებიდან ყურძნის კურკები ამოიკრიბა. ერთ-ერთ ოთახში სხვადასხვა ბოსტნეულის (საზამთრო, ნესვი და სხვა) თესლი და მარცვლეული (ხორბალი, ფეტვი) აღმოჩნდა და აგრეთვე რკინის პატარა თოხი, ნამდვილი დღევანდელი საბოსტნე თოხის ტიპისა. ნაპოვნია აგრეთვე წალდი, ნისკარტით ხეში ჩარჭობილი. საყურადღებოა წისქვილის ქვის, ღოლაბის აღმოჩენა იმ ადგილას, რომელიც ძველ რუს (მოვიგონოთ ქალაქის სახელი „რუსთავი“) მახლობლად და, ალბათ, მისი წყლის ძალით ბრუნავდა. თანამედროვე წისქვილებთან შედარებით ეს ღოლაბი რამდენადმე პრიმიტიული ჩანს.

ერთ-ერთი შენობის კედლის ძრავას იდო მცირე
ნატეხი ლამაზად მოჩიუქურთმებული ქვისა. საფიქ-
რებელია, რომ იგი სადღაც ახლოს მდგარი და შემ-
დეგ მიწასთან გასწორებული საექლესიო ნაგებო-
ბის (რუსთავის საეპისკოპოზო ტაძრის?) ჩუქურთ-
მოვანი სამკაულის ნაწილი ოწადა იყოს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კერამიკა, რომელშიც ჭარბობს მხატვრული, მოჭიქული ჰურჭელი. საქმაოდ ბეგრია ფაიანსის ფაზიზი ჭურჭლის ნამტვრევები. ეს გარემოება იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ კიდევ ერთხელ მოწმობს, თუ რა გაერცელებული ყოფილა ეს საქმაოდ ძვირფასი ჭურჭელი XII—XIII ს. ს. საქართველოს მოსახლეობაში. ამ გარემოებას კარგად ეხმატებილება ისიც, რომ ნანგრევთა შორის აღმოჩნდა ოქროს ორი მშვენიერი სამყაული, რომელიც აღბად იმ შენობებში მცხოვრებ ქალებს ეკუთვნონ-დათ.

მრავლადაა მინის ნაწარმი: სამაჯურები და ნა-
ირნაირი მომცრო ჭურჭელი. ამ უკანასკნელთა
შორის ზოგიერთი გასაოცრად სათუთი და მოხდე-
ნილი ნატეხი იქცევს ყურადღებას.

აღმოჩნდა რამდენიმე წარწერიანი საგანიც. ერთიც მათგანი წარმოადგენს სახურავი კრამიტის ნატეხს, რომელზედაც გამოწვამდე ამოკაწრული რაღაც სიტყვის გაუგებარი ნაწყვეტია. მეორე — შავად გამომწვარი თიხის პატარა ხელადაა, რომელსაც ორ აღგილას აწერია „თეფალე“ (პატრონის სახელი). მესამეც ხელადაა, ღია აგურისფერი, რომელსაც ყელზე აწერია ასო — „მ“ (სახელის დასაწყისი?). მეოთხე ცისფრად მოჭიქული ჯამია, რომელზედაც მოჭიქვამდე რაღაც სიტყვა ამოუკაწრავთ, გაქრული ხელით. პირველი სამი წარწერა ძველებურია, ასომთავრული, მეოთხე კი უკვე ადრინდელ მხედრულსა ჰგავს.

ასომთავრული დამწერლობის ესოდენ გავრცელებულობაც საყურადღებო კულტურულ-ისტორიული ფაქტია, ვინაიდან ზოგიერთ მეცნიერს ასომთავრული მხოლოდ საეკლესიო-საზეიმო დამწერლობა ეგონა. აქ კი ცხადად ჩანს, რომ იგი მოსახლეობის უფართოეს ფენებში იხმარებოდა თავისუფლად: მეკრამიტე ოსტატიც კი სწერს ამ ასოებით რაღაცას, სანამ კრამიტი გმოიწვოდეს. ლითონის ფული 450-დე ცალი აღმოჩნდა. მათი უმეტესობა ერთად იყო ჩაფლული ერთ-ერთი შენობის სათონის კუთხეში (განძი, რომელიც 395 ფულს შეიცავდა და 8,2 კგ იწონიდა); სხვა ოთახში ოცდათორმეტი იყო ერთად, ერთ დიდ, ძირმრგვალ თიხის საღულარში, რომელიც კერასთან ახლოს აღმოჩნდა, ოთხი ფული ეგდო, იყო ცალ-ცალკე მიმობნეული მონეტებიც და ა. შ.

ამ ფულის დიდი უმეტესობა ეკუთვნის თამარ მეფესა (1184—1213) და მის ძეს, გიორგი ლაშას (1213—1222). არის აგრეთვე: თამარისა და დავით სოსლანის სახელით 1200 წელს მოჭრილი ფული; თამარის მამის, გიორგი III-ს ფული (1156—1184) და, ბოლოს, ხვარაზმაპის ჯალალედღინის დამღა-

ნაკრავი ფული (1125—1130). დანარჩენები ჭერი გერობით გაუწმენდავი და შეუსწავლელია.

XI—XIII საუკუნეთა შენობების ნანგრევებს ქვეშ აქა-იქ თავი იჩინა გაცილებით უფრო ძველი, დაკუთხული ქვით ამოყვანილი და კირით შედუღაბებული კედლების ნაშთებმა და თითო ოროლა, უფრო ძველებური კერამიკის ნატეხმა. ბოლო ხანებში აღმოჩნდა აგრეთვე რამდენიმე შავი თიხის ჭურჭელი, რომელნიც ეგ. წ. I ათასწლეულს უნდა ეკუთვნოდეს. ასე რომ, თამარის დროინდელ ნაქალაქარს ძირს ძალიან ძველი კულტურული ფენებიც უგია, როგორც ჩანს.

განათხარი ძეგლების რაგვარობაც, ძირითადი თარიღიცა და მონაპოვრის შემადგენლობაც ზოგადად ძალიან მოგვარნებს დღანისში 1936—1937 წ. წ. და უფრო კი თბილისში 1948—1949 წ. წ. განათხარ ძეგლებსა და მონაპოვარს. კერძოდ, სწორედ ასევე უეცრად განადგურებულ-გადამწვარი აღმოჩნდა თბილისში გათხრილი ცერამიკული სახელოსნოები, ხოლო იქ ნაპოვნ, აგრეთვე მრავალრიცხვან მონეტებს შორისაც უახლესი ჯალალედინისა იყო. მაგრამ, მეორე მხრივ, აქ ბევრი რამა ახალი და უმჯობესიც კი. ეს ითვემის კერამიკის ზოგიერთი ნიმუშისა და, განსაკუთრებით, ოქროს სამკაულის შესახებ, რომელთა აღმოჩნდა XII—XIII საუკუნეთა შენობებს შორის, პირველი შემთხვევაა საქართველოს არქეოლოგიაში.


ამრიგად, რუსთავის ექსპედიციის წლევანდელი მუშაობის შედეგები რამდენიმე მხრივაა საყურადღებო: თვით ქალაქ რუსთავის ისტორიისათვის, საერთოდ ფეოდალური საქართველოს ქალაქების შესწავლისათვის (რაც ახლო საქმეა ჩვენში) და XII—XIII საუკუნეთა საქართველოს ნივთიერი კულტურისა და მეურნეობის შესწავლისათვის.

ექსპედიცია მუშაობას განაგრძობს.



ყველაზე მძიმე ნივთიერება

ეს საკირველებათა შორის, რომლებიც იძილებან საშაროს სიღრმეებში, ალბათ, სამუდამოთ ერთ-ერთ პირველ ადგილს შეინარჩუნებს პატარა ვარსკვლავი სირიუსის მახლობლად. ეს ვარსკვლავი შესდგება ნივთიერებისაგან, რომელიც 60.000-ჯერ უფრო მძიმეა, ვიდრე წყალი! როცა ხელში ვიღებთ ვერცხლისწყლით სასეს ჭიქას, ჩვენ გვაევირვებს მისი სიმძიმე. იგი დაახლოებით 3 კგ იწონის. მაგრამ აბა რას ვიტყოდით ჩვენ ისეთ ერთ ჭიქა ნივთიერებაზე, რომელიც 12 ტონას ათწონიდა და გადასაზიდათ ჩინიგზის პლატფორმას მოითხოვდა! ეს შეიძლება აბსურდათ მოვცემენოს, მაგრამ ასეთია ასტრონომიის ერთ-ერთი უახლესი აღმოჩენა...



ნახ. 1. სირიუსის დაკლაკილი გზა ვარსკვლავთა შორის 1793 წლიდან 1884 წლამდე.

ამ აღმოჩენას გრძელი და უაღრესად საგულისხმო ისტორია აქვს. უკვე დიდი ხანია შენიშვნული იყო, რომ ბრწყინვალე სირიუსი პლატფორმებს შორის მოძრაობს არა სწორხაზოგანად, როგორც სხვა ვარსკვლავების უმრავლესობა, არამედ უცნაური დაკლაკილი გზით (ნახ. 1). მოძრაობის ამ თავისებურების ასხსნელად ცნობილმა ასტრონომმა ბესსელმა დაუშვა, რომ სირიუსს ახლავს თანამგზავრი, რომელიც თავისი მიზიდულობით არღვევს მის მოძრაობას. ეს იყო 1844 წელს — ორი წლით ადრე მანამდე, როცა ლევორიემ „თავისი კალმის წვერზე“ ნეპტუნი აღმოჩინა. 1862 წელს კი, უკვე ბესსელის სიკვდილის შემდეგ, მისი მოსაზრება სავსებით გამართლდა, ვინაიდან სირიუსის ნავარაუდევი თანამგზავრი ტელესკოპით შენიშნეს.

სირიუსის თანამგზავრი, — ეგრეთწოდებული „სირიუს ბ“ — მთავრი ვარსკვლავი ვარშემო სრულ შემოვლას ანდომებს 49 წელს ისეთ მანძილზე, რომელიც 20-ჯერ აღემატება მანძილს, რომლითაც დედამიწა უვლის ვარშემო მზის (ნახ. 2)... ეს არის სუსტი — მე-8—მე-9 სიღრიდის ვარსკვლავი, მაგრამ მისი მასა მეტად დიდია — ჩვენი მზის


მასის თითქმის რვა მეტადს შეადგენს. იმ მანძილზე, რომელზედაც სირიუსი იმყოფება, მზეს უნდა ენათებია, როგორც მესამე სიღრიდის ვარსკვლავს. ამიტომ სირიუსის თანამგზავრს რომ პერიოდა ზედაპირი, შემცირებული (ზეს ზედაპირთან შედარებით) ამ მნათობთა მასების პროპორციულად, მას უნდა ენათებია (იმავე ტემპერატურის პირობებში) დაახლოებით როგორც მე-4 სიღრიდისა და არა მე-8-9 სიღრიდის ვარსკვლავს. მის ასეთ სუსტ სიკაშვაშეს ასტრონომები თავდაპირველად იმით ხსნიდნენ, რომ მის ზედაპირზე ტემპერატურა დაბალია: მას თვლიდნენ გაცივების პროცესში მყოფ მზედ, რომელიც უკვე მყარი ქერქით იფარება.

მაგრამ ეს აზრი შემცირავი აღმოჩნდა. ოცდაათიოდე წლის წინათ დაადგინეს, რომ სირიუსის პატარა თანამგზავრი არა ქრობადი ვარსკვლავა, არამედ პირიქით, ეკუთვნის იმ ვარსკვლავთა რიცხვს, რომელთაც ახასიათებს მაღალი ზედაპირული ტემპერატურა, უფრო მაღალი, ვიდრე ჩვენს მზეს აქვს. ეს სრულებით ცვლის საშემა. მშასალამე, სუსტი სიკაშვაშე უნდა მიეწეროს ამ ვარსკვლავის ზედაპირის მხლობ მცირე სიღრიდეს. გამოანგარიშებულია, რომ ის 360-ჯერ ნაკლებ სინათლეს გზავნის, ვიდრე მზე, ამგვარად მისი ზედაპირი, ყოველ შემთხვევაში, 360-ჯერ ნაკლები უნდა იყოს მზის ზედაპირთან შედარებით, რაღიცავი კუ 360, მ. ი. 19-ჯერ ნაკლები, ვიდრე მზისა, აქედან დაგასკნით, რომ სირიუსის თანამგზავრის მოცულობა უნდა შეაგენდეს მზის მოცულობის $\frac{1}{6800}$ -ზე ნაკლებს იმ ღროს, როცა მისი მასა დღის მნათობის მასის თითქმის 0,8 შეადგენს. ეს მოწმობს, რომ ამ ვარსკვლავის ნივთიერება მეტად გამკვრივებულია. უფრო ზუსტი გამოანგარიშება პლანეტის დამეტრისათვის იძლევა სულ 40.000 კმ და, მაშასალამე, სიმკრივისათვის გლებულობთ იმ საკირველ ციფრს, რომელიც ჩვენ სტატიის დასაწყისში მოყიფანეთ: წყლის სიმკრივეზე 60.000-ჯერ მეტი (ნახ. 3).

* ცირკუსი

ნახ. 2. სირიუსის თანამგზავრის ორბიტა სირიუსის მიმართ. ამ კაშკაშა ვარსკვლავის თანამგზავრიც ვარსკვლავია, მაგრამ არა ისე დიდი და კაშკაშა (სირიუსი არ იმყოფება ნილული მლიტოსის ფრაკუსში, ვინაიდან ჰეშმარიტი ელიფსი პროექციითაა დამარინჯებული—ჩვენ მას კუთხით ვხედავთ).

„სმენა გამახვილეთ ფიზიკოსები: განზრახულია თქვენს სფეროში შემოჭრა“, — გვაგონდება კეპლერის სიტყვები, რომელიც მან სულ სხვა საბაზით თქვა. მართლაც, ვერა-ფერს ამის მსგავს აქამდე ვერც ერთი ფიზიკოსი ვერ წარმოიდგენდა. ჩვეულებრივ პირობებში ასეთი მნიშვნელოვანი სიმკერივე ყოფლად წარმოუდგენელია, ვინაიდან შორისეთები ნორმალურ ატომებს შორის მყარ სხეულებში მეტად მცირეა იმისათვის, რომ დასაშვები იყოს მათი ნივთიერების რამდენიმედ შესამჩნევი შექუმშვა. სულ სხვა მდგომარეობა გვექნება „დასახიჩრებულა“, ე. ი. ისეთი ატომების შემთხვევაში, რომელმაც დაჭკარვეს ბირთვის გარშემო მბრუნავი ელექტრონები. ელექტრონების დაკარგვა რამდენიმე ათას-ჯერ ამცირებს ატომის განივას ისე, რომ მისი წონა თითქმის არ მცირდება. გაშშვლებული ატომგული ნორმალურ ატომთან შედარებით დაახლოებით იმდენჯერ მცირეა, რამდენჯერაც ბუზი დიდ შენობაში პატარაა. გადამტული კოლოსალური წნევით, რომელიც გამეცებულია ვარსკვლავის სფეროს წილში, ეს შემცირებული ატომ-ბირთვები შეიძლება მრავალ ათასერ უფრო მციდროთ მიუახლოვდნენ ერთმანეთს, ვიდრე ნორმალური ატომები, და შექმნან ის წარმოუდგენელი სიმკერივის ნივთიერება, როგორიც აღმოჩენილია სირიუსის თანამგზავრზე. უფრო მეტი: ამჟამად აღნიშნული სიმკერივე გადაჭარბებულია სხვა ვარსკვლავში. ამ მე-12 სიღიდის ვარსკვლავს, რომელიც დედამიწას არ აღემატება, წყალთან შედარებით 400.000-ჯერ უფრო მცვრივი ნივთიერება აქვს.



ნახ. 3. სირიუსის თანამგზავრი შესდგება ნივთიერებისაგან, რომელიც 60.000-ჯერ უფრო მცვრივია, ვიდრე წყალი. რამდენიმე კუბურ სანტიმეტრ ამ ნივთიერებას შეეძლო გაეწონას-წორებინა ორი ათეული ადამიანის წონა.


და ეს კიდევ არ არის სიმკერივის ზღვარი. მუსირისულად შეიძლება დაშვებულ იქნეს გაცილებით უფრო მცვრივი ნივთიერებათა არსებობა. ატომგულის დამეტრი შეადგენს ატომის დამეტრის არა უმეტეს ერთი მეათათასედისა, მოცულობა კი, მაშასადამე, არა უმეტეს ატომის მოცულობის ერთი მე-1.000.000.000.000-სა ($\frac{1}{10^{12}}$). ერთი კუბური მეტრი

ლითონი შეიცავს დაახლოებით $\frac{1}{10000}$ მეტატომგულებს და ამ პარაშუტიკტელა მოცულობაში თავმოყრილია ლითონის მოელი მასა. ამგარად, ერთი კუბური სანტიმეტრი ატომგულები უნდა იწონიდნენ დაახლოებით 10 მილიონ ტონას (ნახ. 4).

ამის შემდეგ წარმოუდგენლად ვერ ჩიათვლება აღმოჩენა ვარსკვლავისა, რომლის ნივთიერების საშუალო სიმკერივე 500-ჯერ აღემატება „სირიუს — ბ“-ს მატერიის სიმკერივეს. ჩვენ ვლაპარაკობთ მე-13 სილიდის პატარა ვარსკვლავზე კასიოპეის კრებულში, რომელიც 1935 წლის დამლეს აღმოჩინეს. ეს ვარსკვლავი მოცულობით მარსის მოცულობას არ აღემატება, დედამიწასთან შედარებით კი რვაჯერ ნაკლებია, მაგრამ მისი მასა თითქმის საშერ (უფრო ზუსტად — 2,8-ჯერ) აღემატება ჩვენი მზის მასას ჩვეულებრივ ერთეულებში ამ ვარსკვლავის ნივთიერების საშუალო სიმკერივე გამოიხტება რიცხვით 36 000 000 გ/მტ. ეს ნიშნავს, რომ ამ ნივთიერების ერთი კუბური სანტიმეტრი დედამიწაზე $31\frac{1}{2}$ ტონაში მეტს აიწონიდა. ეს ნივთიერება, მაშასადამე, თითქმის ორ მილიონჯერ უფრო მცვრივია, ვიდრე ოქრო.

რამდენიმე წლის წინათ მეცნიერებაში, რასაკვირველია, წარმოუდგენლად ჩათვლიდნენ პლატინასთან შედარებით მილიონობით უფრო მცვრივი ნივთიერების არსებობას.

სამყაროს სივრცეები, აღბათ, ბუნების კიდევ მრავალ მსგავს პარადოქსს ფარავენ.



ნახ. 4. ერთ კუბურ სანტიმეტრ ატომგულებს შეეძლო გაეწონას-წორებინა საოცავან გემი, თუნდაც რომ ისინი ძლიერ მჭიდროდ არ ყოფილიყვნენ მიკვრული ერთმანეთთან. ერთი ფუბრი სანტიმეტრის მოცულობაში მოქცეული და ერთმანეთთან მჭიდროდ მიკრული ატომგულები 10 მილიონ ტონას აიწონიდა.

როგორი ამინდია მთვარეზე?



არსებოთად რომ ვთქვათ, მთვარეზე არავითარი მინდია არ არის ამ სიტყვის პირდაპირი გაეცით. რა ამინდი შეიძლება იყოს იქ, სადაც სრულებით არ არის ატმოსფერო, ღრუბლები, წყლის ორთქლი, ნალექები, ქარი? ერთად-ერთი რამ, რის შესახებაც აქ შეიძლება ლაპარაკი — ეს არის ნიადაგის ტემპერატურა.

ამჩინად, რამდენად არის გამთბარი მთვარის ნიადაგი? ასტრონომებს ამა გააჩნიათ ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც შეიძლება გაიზომოს არა მარტო ჟორეული მნათობების ტემპერატურა, არამედ მათი ცალკე უბრნებისაც. ხელსაწყო აგებულია თერმოელექტრობის მოვლენაზე: გოტარში, რომელიც მიზიულია ორი სხვადასხვა ლითონისაგან, როცა ერთ მინარჩილი მეორეზე უფრო თბილია, ელდენი წარმოიქმნება, წარმოქმნილი დენის ძალა ტემპერატურათ სხვაობაზეა დამოიდებული და შესაძლებლობას იღება გაიზომოს შთანთქმულ სითბოს რაოდენობა.


ხელსაწყოს მგრძნობიარება განსაციიფრებელია. მიკროსკოპიული ზომის მიუხედავათ (ხელსაწყოს საპასუხისმგებლონაში ისიდე 0,2 მმ არ აღმატება, და 0,1 მილიგრამს იწონის), იგი მე-13 სიდიდის ვარსკვლავთა მათბობ მოქმედებასაც კი ეხმატება (ამ შემთხვევაში ტემპერატურა გრადუსის მეათმილიონებით ნაწილებით იზრდება). ეს ვარსკვლავები არ სჩანან უტელესკოპოთ, ისინი 600-ჯერ უფრო სუსტად ანათებენ, ვადრე ვარსკვლავები, რომლებიც თვალით ხილვადობის ზღვარზე იძყოფებიან. სითბოს ასეთი მცირე რაოდენობის დაჭრა იგივეა, რაც სანთლის სითბოს შეგრძნობა რამდენიმე კილომეტრის მანძილზე.

ასტრონომებს, რომლებიც შეიარაღებული არიან ასეთი განსაციიფრებელი ხელსაწყოთი, შეჰყავდათ იგი მთვარის ტელესკოპური გამოსახულების სხვადასხვა უბრნებში, ზომავდნენ მიღებულ სითბოს და ამის საფუძველზე განსაზღვრავდნენ მთვარის ცალკე ნაწილების ტემპერატურას (ათ გრადუსამდე სიზუსტით). აი შედეგებიც (იხ. ნახ.): სავსე მთვარის დისკოს ცენტრში ტემპერატურა ას გრადუსს აღემატება. აქ მთვარის ნიადაღზე დაღვრილი წყალი ნორმალური წნევის ქვეშ აღუღდებოდა. „მთვარეზე ჩვენ არ დაგვჭირდებოდა საჭმლის მომზადება ფილაზე, — სწერს ერთი ასტრონომი — მისი როლის შესრულება შეუძლია ყოველ მახლობელ ქლდეს“. დისკოს ცენტრიდან დაწყებული ტემპერატურა თანაბრად კლებულობს ყველა მიმართულებით, მაგრამ ცენტრალური წერტილიდან 2700 კილომეტრზედაც კი იგი 80 გრადუსზე დაბალი არ არის. შემდეგ ტემპერატურის კლება უფრო სწრაფად მიღის და განათებულ დისკოს მახლობლად 50 გრადუსი ყინვაა. კიდევ

უფრო ცივა მთვარის ბნელ, მისიაგან მიქცეულ შხამის საღაც ყინვა 153 გრადუსს აღწევს.

დაბრელებათა დროს, როცა მთვარე დედამიწის ჩრდილში შედის, მისი ნიადაგი, მოკლებული მზის სიათლეს, სწრაფად ცივდება. გაზომეს, თუ რამდენად დიდია ეს გაცვება: ერთ შემთხვევაში დადგენილია ტემპერატურის დაცემა მინუს 117 გრადუსამდე. ე. ი. თითქმის ორას ჯერ რაღაც $11\frac{1}{2} - 2$ საათის განმავლობაში. დედამიწაზე კი მსგავს პირობებში, ე. ი. მზის დაბრელების დროს, შემჩნეულია ტემპერატურის დაწევა მხოლოდ ორი, მაქსიმუმ — სამი გრადუსით.

ეს განსხვავება უნდა აისწნას დედამიწის ატმოსფეროთი, რომელიც შედარებით გამჭვირვალეა მზის ხილული სხივებისათვის და აკავებს გამთბარი ნიადაგის უზილავ „სითბურ“ სხივებს.



ტემპერატურა მთვარეზე ხილული დისკის ცენტრში 110° აღწევს და სწრაფად ეცემა დისკის კიდეებისაკენ — მინუს 50 გრადუსამდე და უფრო დაბლა.

ის გარემოება, რომ მთვარის ნიადაგი ასე სწრაფად ჭყარგდეს მის მიერ დაგრივებულ სითბოს, იშვევ დროს ნათელყოფს მისი ნივთიერების მცირე სითბოტევადობას და ცუდ სითბოგამტარობას, რის შედეგადაც გათბობის დროს სითბოს მცირე მარაგის დაგროვება ესწრება.

(ი. ბ ე რ ლ ა მ ა ნ ი — „სახალისო ასტრონომია“).





ს ა რ ჩ ი ზ ი

88.

მ. სფალინი—პასუხი ამხანაგებს	1
განძი ბოლშევიზმის ისტორიაში	6
სტახანოვური მოძრაობის 15 წლისთავი—აპოლონ ნუცუბიძე, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი	8
აალი ტექნიკა ქევანახშირის მრეწველობაში—გ. ბალდასარ ოვი, კომბინატ „საქნახშირის“ უფროსი ინჟინერი, მეორე აანგის სამთო დირექტორი	11
სტალინის სახელობის შახტის XV წლისთავი	13
როგორ მიიღო ადამიანმა რკინა—გიორგი გელევანი შვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი	15
სამგორის მელიორაციის ეკონომიური მნიშვნელობა—ნიკოლა იაშვილი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოკტორი	19
აბრაზიული მასალები და მათი გამოყენება—დავით გაფურინდაშვილი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი	24
ნახევარგამტარები—ვ. ე. ლაშქარევი, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი	29
პ. გ მელიერშეილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია	33
შეკუმშული ჰაერი ტექნიკაში—დავით წიკლაური, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი	37
მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიიდან—რ. მ.	41
მეცნიერებისა და ტექნიკის ქრონიკა	42
არქეოლოგიური გათხრები რუსთავში	43
სხვადასხვა	45

პასუხისმგებელი რედაქტორი—რ. აგლაძე

სარჩევადაცვით კოლეგია:

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი რ. აგლაძე, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ვ. კუპრაშვი, პროფესორი ვ. კაპაბაძე, დოცენტი მ. მირიანაშვილი, ინჟინერი ქ. გურგენიძე, ინჟინერი შ. ჯაბუა, ე. ჭულაძე (რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი).

ქაღალდის ზომა 60×92, 2 საბ. ფ., სულ 6 საბ. ფ., 1 ფურცელზე 120000 სასტამბო ნიშანი.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.8.50 წ., უმ 05357, შეკვ. № 432. ტირაჟი 5.000

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, აკ. წერეთლის ქ. № 7.
Типография Академии наук Грузинской ССР, Тбилиси, ул. Ак. Церетели № 7.

ლ ე ბ უ ლ ე ბ ა

3. გ. მელიქიშვილის სახელობის პრემიის შესახებ

1. 3. გ. მელიქიშვილის სახელობის პრემია 25 000 მანეთის რაოდენობით წესდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 7 ივნისის № 835 დადგენილების თანახვად და მიენიჭება სამ წელი-შადში ერთჯერ ქიმიისა და ფიზიკის დარღვევის სასუკეთესო შრომისათვის.

2. 3. გ. მელიქიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილი შრომების განხილვასა და შეფასებას ეწვევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა განყოფილების ბიუროს მიერ გამოყოფილი კომისია, რომელიც წესდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრებისა, წევრ-კარესპონდენტებისა და სათანადო სპეციალისტებისა-გან და რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი.

3. 3. გ. მელიქიშვილის სახელობის პრემიის მინიჭება ხდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკა-დემიის პრეზიდიუმის მიერ.

4. პრემიის მოსაპოვებლად შრომა წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

5. პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარდგენილ იქნას წინა სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული შრომები.

6. 3. გ. მელიქიშვილის სახელის პრემია მანიჭება თამთავებული, ორიგინალური შრომისათვის, რომელიც შეიცავს ახალ მონაცემებს ან განხილვებებს, აგრეთვე ისეთი მეცნიერული აღმოჩენისათვის ან მეთოდისათვის, რომელსაც აქვს დიდი თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობა.

7. 3. გ. მელიქიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად შრომები წარევინება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა განყოფილებას პრემიის მინიჭების წლის პირველ თებერვლამდე.

8. შრომა პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარდგენილ იქნას სამეცნიერო საზოგადოების, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის, უმაღლესი სასწავლებლის, რამელიმე უწყების, საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და ცალკეული მოქალაქეს მიერ.

9. შრომა წარდგენილ უნდა იქნას სამ ცალად, დაბეჭდილი სასტამბო წესით. ან საბჭედ მანქანაზე; შრომასთან ერთად წარდგენილ უნდა იქნას ავტორის მოქლე ავტობიოგრაფია და სამეცნიერო შრომებისა და გამოგონებთა სია.

10. 3. გ. მელიქიშვილის სახელის პრემია შეიძლება გაიყოს მხოლოდ ორ ნაწილად და იმ პირობით, თუ ორივე ნაშრომი თანაბრად ღირსი აღმოჩნდება პრემიისა.

11. 3. გ. მელიქიშვილის სახელის პრემია მიენიჭება ინდივიდუალურ ან კოლეგიტურ ნაშრომს.

12. 3. გ. მელიქიშვილის სახელის პრემიის მინიჭება ხდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადე-მიის პრეზიდიუმის მიერ 11 ივლის—პ. გ. მელიქიშვილის დაბადების დღეს.

13. საპრემიოდ წარმოდგენილი შრომების განმხილველ-შემფასებელი კომისია მოვალეა განიხილოს შრომები და პრემიის მინიჭების წლის არა უფრო ნებისმიერ პირველ მისისა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს დასამტკიცებლად წარუდგინოს პრემიის მისაღებად შერჩეული კანდიდატები.

14. პრემიის მინიჭება არ მოხდება, თუ არცერთი წარმოდგენილი შრომა საკმაოდ ღირსეული არ აღმოჩნდა.

15. საპრემიოდ წარმოდგენილ შრომათა გამზილველ-შემფასებელი კომისიის სხდომას მოიწვევს კო-მისიის თავმჯდომარე და იგი კანონიერად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა არა ნაკლებ ორი მესამედისა.

16. საპრემიოდ წარმოდგენილ შრომათა გამზილველ-შემფასებელი კომისიის გადაწყვეტილება პ. გ. მელიქიშვილის სახელის პრემიის მინიჭების შესახებ, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა განყოფილების ბიუროს დასკვნით, დასამტკიცებლად წარუდგინება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს.

17. საპრემიოდ წარმოდგენილ შრომათა გამზილველ-შემფასებელი კომისიის გადაწყვეტილების პ. გ. მელიქიშვილის სახელის პრემიის მინიჭების შესახებ, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა განყოფილების ბიუროს დასკვნით, დასამტკიცებლად წარუდგინება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს.

18. პ. გ. მელიქიშვილის სახელის პრემიის არქივი ინახება მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა განყოფილებაში.

19. თუ პრემიამინიჭებული შრომა პრემიის მინიჭებამდე დაბეჭდილი არ იყო სასტამბო წესით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია იღებს ზომებს შრომის გამოცემისათვის. პრემიამინიჭებული შრომის სატიტულო უზრუცლებზე კეთდება წარწერა პ. გ. მელიქიშვილის პრემიის მინიჭების შესახებ.

20. კომისიის სათანადო დასკვნის საფუძვლზე, რეცენზიები პ. გ. მელიქიშვილის სახელობის პრემია-ინიჭებულ შრომაზე ქვეყნდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას ბეჭდვით არკანიზი.

ვალი 5 ვალ.

15/117

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛ
„МЕЦНИЕРЕБА да ТЕХНИКА“,
издаваемый Академией Наук
Грузинской ССР
(на грузинском языке)
Тбилиси
1950